

საქმენარჩეო დაჯიბი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. ცვლილება სანარმოს წესდებაში

პარტნიორის ხმის უფლება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1101-1037-2015

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნა-
წილობრივ ბათილად ცნობა, სანარმოს დოკუმენტაციის გამოთ-
ხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. ს-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მეორე კასატორი“ ან „მეორე საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში სს „გ-ის“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „პირველი კასატო-
რი“ ან „პირველი საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მო-
ითხოვა: ა) მოპასუხე კომპანიის 2013 წლის 19 ნოემბერს გამარ-
თული აქციონერთა კრების დღის წესრიგის პირველ და მე-2 სა-
კითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების (სა-
ზოგადოების კაპიტალის 30 000 000 ლარამდე გაზრდის, საზო-
გადოების გაუნაღებელი (განუთავსებელი) აქციების მათი გა-
დანაწილების პროპორციის მიხედვით 2013 წლის 4 დეკემბრამ-
დე შევსების შესაძლებლობისა და შემდგომში შეუვსებელი (გა-
უნაღებელი) აქციების ამ პროპორციის დაუცველად შევსების
უფლების ნებისმიერი აქციონერისათვის მინიჭების, საზოგადო-
ების წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ) და
ამ გადაწყვეტილების საფუძველზე და განხორციელების შე-
დეგად სათანადო (ფასიანი ქაღალდების/აქციათა) რეესტრში
2013 წლის 20 ნოემბერს და შემდგომში (სასამართლო გადაწყ-
ვეტილების გამოტანის მომენტიდან) შეტანილი შესაბამისი
ჩანაწერების ბათილად ცნობა; ბ) მოპასუხე კომპანიას დაე-
ვალოს: 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალ-
ტრო მონაცემებისა და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული
აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონა-

ცემების შედარების მიზნით სპეციალური შემონმების ჩატარება და ამ შემონმების მასალების ასლების მოსარჩელისთვის გადაცემა; მოსარჩელისთვის „ახალი ცენტრის“ და მასთან დაკავშირებული ბილინგის და სხვა ელემენტების შექმნა-მომსახურებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტაციისა და 2008-2012 წლების წლიური ბალანსების ასლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2006-2013 წლებში მოპასუხის მიერ აბონენტთა შესახებ მიწოდებული მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ასლების ან შესაბამისი ყოველთვიური მონაცემების ამსახველი ცნობის, 2011 წლის 1 იანვრიდან მოპასუხის მიერ დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების ან საკრედიტო ვალდებულებების ამსახველი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის ასლებისა და ამავე პერიოდში შექმნილი სატელიტური (თანამგზავრული და არა მისი ფიჭური სადგურების) მემეობით სატელევიზიო სიგნალის მიმღები რეცეივების შექმნის შესახებ ხელშეკრულებების და საბანკო გადარიცხვების ამსახველი დოკუმენტების ასლების, მომხმარებლებთან დამონტაჟებული შესაბამისი მოწყობილობების რაოდენობის და შესაბამისი აბონენტებისაგან ამოდებული ჯამური საფასურის და სააბონენტო გადასახადის შესახებ ცნობების გადაცემა; ფიჭური გადამცემების მემეობით სატელევიზიო სიგნალის მიმღები აქტიური (მათ შორის ტექნიკური) რეცეივების რაოდენობის 2008-2013 წლების მონაცემების, 2014 წლის 1 იანვრისა და 2011 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მოსარჩელისთვის გადაცემა; მოპასუხე კომპანიის მიერ სატელევიზიო სიგნალის მიმღები თანამგზავრული მოწყობილობების მოსახლეობისათვის მიწოდების პროექტთან დაკავშირებით 2011 წელს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემონმების გამო შედგენილი გაანგარიშების და ცნობების, აგრეთვე, შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის და/ან ასლების მოსარჩელისთვის მიწოდება.

2. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხე კომპანიის აქციათა 10%-ის მფლობელს.

3. მოპასუხე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილით საზოგადოების აქციონერებს ეცნობათ, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს ტარდებოდა კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. საზოგადოების კაპიტალის დადგენა და შევსების წესის განსაზღვრა; 2. საზოგადოების მოქმედ წესდებაში ცვლილებების შეტანა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში რეგისტრაცია; 3. მოპასუხე კომპანიაში სხვა მიმდინარე საკითხების განხილვა.

4. 2013 წლის 18 ნოემბერს, ანუ კრების ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, აქციონერებს ელექტრონული ფოსტით გაეგზავნათ წესდების პროექტი, რომლიდანაც გაირკვა, რომ განზრახული იყო საზოგადოების კაპიტალის 4000 ლარიდან 30 000 000 ლარამდე გაზრდა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა წესდებაში.

5. მოსარჩელის განცხადებით, 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილი აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ არ შეიცავდა რაიმე არსებით ინფორმაციას საზოგადოების კაპიტალის გაზრდის და შევსების წესის შესახებ, ამასთან, კრების დღის წესრიგის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, რის შესახებაც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იმავე დღეს ეცნობა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და მიეცა წინადადება კრების სათანადოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის შესაბამისად მოწვევის შესახებ.

6. მიუხედავად ამისა, 2013 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა აქციონერთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილებები საზოგადოების კაპიტალის 30 000 000 ლარამდე გაზრდის, საზოგადოების გაუნაღლებელი (განუთავსებელი) აქციების მათი გადანაწილების პროპორციის მიხედვით 2013 წლის 4 დეკემბრამდე შევსების შესაძლებლობისა და შემდგომში შეუვსებელი (გაუნაღლებელი) აქციების ამ პროპორციის დაუცველად შევსების უფლების ნებისმიერი აქციონერისათვის მინიჭების, საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგად შესაბამის რეესტრში 2013 წლის 20 ნოემბერს შეტანილ იქნა შესაბამისი ჩანაწერები.

7. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე კომპანიამ უგულვებელყო მოსარჩელის 2013 წლის 25 ოქტომბრის წერილში ჩამოყალიბებული მოთხოვნა 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალტრო მონაცემების და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ამ შემოწმების მასალები საჭირო იყო სათანადოდ დარღვევების, მათ შორის, მაუწყებლობის კომისიაში არასწორი მონაცემების მიწოდების გადამოწმების მიზნით. მიუხედავად, ელექტრონული ფოსტით წარმოებული მიმოწერისა და 2014 წლის 14 იანვარს გაგზავნილი შეხსენებისა, აღნიშნული მოთხოვნა დღემდე შეუსრულებელია.

8. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე კომპანიამ უგულვებელყო მოსარჩელის 2014 წლის 14 იანვრის, 12 და 27 თებერვლის, აგრეთვე, 7 მარტის მოთხოვნები წლიური ბალანსების და სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტაციის გაცნობის, ასლების მიწოდების შესახებ.

9. მოსარჩელემ დამატებით მიუთითა, რომ მან 2013 წლის 4 თებერვალს საზოგადოებას მოსთხოვა მისი აქციების გამოსყიდვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა მოპასუხე კომპანიის დომინანტ პარტნიორთან და ამავე დროს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან ვერ შეთანხმდა აქციების ფასთან დაკავშირებით.

10. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 2012 წლიდან მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები აქციონერებთან უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და დირექტორის მონაწილეობით და მიღებულ იქნა არაერთი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. სწორედ აქედან გამომდინარე გაეგზავნა მოსარჩელეს მოპასუხე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 ნოემბრის წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ რეკომენდაციები და გეგმები უკვე წარდგენილი იყო 2012 წლის 21-24 დეკემბრის აქციონერთა კრებაზე, ასევე 2013 წლის მარტი-ოქტომბრის აქციონერთა კრებებზე, რომლებსაც მოსარჩელე დაეცნო, მიიღო მონაწილეობა და მხარი დაუჭირა განსახილველ საკითხებს. კაპიტალის გაზრდაზე კომპანიის ინტერესის და მზაობის არსებობა არაერთი დოკუმენტით დასტურდება და ამის თაობაზე მოსარჩელეს 2013 წლის 29 ოქტომბერს არ შეუტყვია. მოსარჩელე, მართალია, 2012 წლის 21-24 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, მაგრამ გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერით დაადასტურა თავისი ინფორმირებულობა საზოგადოებაში კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით და გამოხატა თანხმობა ამ შევსებაზე. შესაბამისად, მოსარჩელე არაერთ აქციონერთა კრების ოქმზე ხელმოწერით დაეთანხმა საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის შევსების გარდაუვალ აუცილებლობას, რაც კომპანიის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე პოზიციის შენარჩუნების, ფინანსური სიძნელეების დაძლევისა და პოტენციურ ინვესტორებთან მიმართებაში კომპანიის ნდობის ამაღლების ერთადერთი საშუალება იყო.

11. ამასთანავე, მოპასუხემ აღნიშნა, რომ კანონმდებელი რეკომენდაციების წერილობით არარსებობას არ მიიჩნევს აქციონერთა გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლად.

12. მოპასუხემ განმარტა, რომ მოპასუხე კომპანიის ერთ-

ერთ აქციონერს და, ამავე დროს, ერთ-ერთ ძირითად კრედიტორსაც წარმოადგენს შპს „ა.“ 16 154 684 ლარის ნაწილში, რომელმაც დაიწყო მზადება არაპროპორციული წესით საზოგადოების კაპიტალის შევსებისთვის. თუმცა, გასაჩივრებული ოქმის ბათილობა აქციონერს წაართმევს ამ შესაძლებლობას და კომპანიას უახლოეს მომავალში დააყენებს გადახდისუუნარობის წინაშე. ბათილობა გამოიწვევს რა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, პრაქტიკულად იურიდიულ ძალას დააკარგინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობას, რომელიც გაიცა შპს „ა.“-ის სასარგებლოდ. გასაჩივრებული აქტის ბათილობა ჩააყენებს მოპასუხე კომპანიას მძიმე მდგომარეობაში და გარკვეული ალბათობით მოპასუხე კომპანიის აქციების ლიკვიდურობა დაეცემა, რაც არა მხოლოდ მოსარჩელის, არამედ – დანარჩენი აქციონერების ინტერესებსაც შელახავს. ამდენად, შპს „ა.“-ის მზაობის გამოყენება მოპასუხე კომპანიისთვის არის პრობლემებიდან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობა, ვინაიდან დიდი ალბათობით მოპასუხე კომპანიისადმი შპს „ა.“-ის მოთხოვნა გაიქვითება. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მოპასუხე კომპანიის ვადამოსული ვალდებულებების ნაწილს და გაზრდის კომპანიის ლიკვიდურობას. წარმოდგენილი სარჩელი კი მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეეშალოს საზოგადოების განვითარებას. მოსარჩელის მხრიდან ვლინდება უფლების ბოროტად გამოყენების მცდელობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ვერ დასტურდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5¹ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა. მოპასუხის განმარტებით, 2013 წლის 19 ნოემბერს მიღებული წესდების რედაქცია არ ეხება აქციონერის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში მისი წილის გაზრდას ან შემცირებას. გადანყვეტილება ეხება საწესდებო კაპიტალის გაზრდას აქციონერთა წილების პროპორციულად გარკვეულ ვადაში, ხოლო გაზრდის შეუძლებლობის შემთხვევაში აქციონერთა წრიდან ნებისმიერისთვის არაპროპორციულად წილის გაზრდის უფლების მინიჭებას. მართალია, არაპროპორციულ გაზრდას, შესაძლოა, მოჰყვეს სხვა აქციონერთა წილების შემცირება, მაგრამ ეს ამ გადანყვეტილების მეორადი პირობაა და სწორედ ეს პირობა ქმნის კომპანიის არსებული ფინანსური სირთულიდან გამოყვანის შესაძლებლობას.

13. მოსარჩელის მიერ აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, მოპასუხემ მიუთითა, რომ მოსარჩელემ გამოსყიდვაზე მოთხოვნა დააფიქსირა 2013 წლის 4 თებერვალს, რომლის საფუძველს წარმოადგენდა 2012 წლის 21-24 დეკემბერს მიღე-

ბული გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს არ უჭერდა მოსარჩელე. მოსარჩელის წერილზე 2013 წლის 4 მარტს ერთ-ერთმა აქციონერმა გამოხატა ინტერესი და მოსარჩელეს შესთავაზა გამოსყიდვა, რასაც მოსარჩელე 2013 წლის 6 მარტის წერილით არ დაეთანხმა. 2013 წლის 6 მარტს ჩატარდა აქციონერთა კრება, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი და მან მხარი დაუჭირა 2012 წლის 21-24 კრების ოქმით საწესდებო კაპიტალის გაზრდისათვის განსაზღვრული ვადის გაგრძელებას, ასევე კომპანიის შეფასების მიზნით აუდიტორული კომპანიის შერჩევაზე ტენდერის გამოცხადებას. სწორედ ამ შემთხვევის შედეგებით სურდა მოსარჩელეს დაედგინა კომპანიის აქტივების მდგომარეობა, რაც დაეხმარებოდა მისაყიდი აქციების ღირებულებაზე შეთანხმებაში. მოსარჩელის წარმომადგენელმა ოთხჯერ დაუჭირა მხარი საწესდებო კაპიტალის შევსებისთვის დადგენილი ვადის გაგრძელების საკითხს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელეს არ შეიძლება არ სცოდნოდა საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზანი და შესაბამისი რეკომენდაციები, გამომდინარე აქედან, მას კრებაზე შეეძლო მიეღო ყოველმხრივ ინფორმირებული გადაწყვეტილება დასმულ საკითხებთან მიმართებაში.

14. მოპასუხემ აღნიშნა, რომ იგი არ არის ვალდებული განიოს აქციონერის მიერ მოთხოვნილი შემონმების ხარჯები, რადგან ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კომპანიას ხარჯების გადახდის ვალდებულება ეკისრება, არის ის შემთხვევა, როდესაც შემონმების შედეგად დადგინდება ანგარიშში არსებითი შეცდომა. შემონმების ხარჯებს იღებს შემონმების მომთხოვნი პირი და, შემდეგ, თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ხარჯებს გასწევს საზოგადოება.

15. მოპასუხის აზრით, მოსარჩელეს არ აქვს უფლება მოითხოვოს საზოგადოების შიდა დოკუმენტების და ცნობების გაცემა, მას აქვს მხოლოდ წლიური ბალანსის, ანგარიშის სისწორის შემონმების უფლება.

16. მოპასუხემ დამატებით მიუთითა, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს ოქმის გასაჩივრების 2-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს დაევალა 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალტრო მონაცემებისა და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონაცემების შედარების მიზნით სპე-

ციალური შემონმების ჩატარება და ამ შემონმების მასალების ასლების მოსარჩელისთვის გადაცემა; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისთვის „ახალი ცენტრის“ და მასთან დაკავშირებული ბილინგის და სხვა ელემენტების შექმნა-მომსახურებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტაციისა და 2008-2012 წლების წლიური ბალანსის ასლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2006-2013 წლებში მოპასუხის მიერ აბონენტთა შესახებ მიწოდებული მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ასლების ან შესაბამისი ყოველთვიური მონაცემების ამსახველი ცნობის, ასევე, 2011 წლის 1 იანვრიდან მოპასუხის მიერ დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების ან საკრედიტო ვალდებულებების ამსახველი სხვა შესაბამისი დოკუმენტების ასლებისა და ამავე პერიოდში შექმნილი სატელეფონური მუშაობით სატელეფონო სიგნალის მიმღები რეცეივების შექმნის შესახებ ხელშეკრულებების და საბანკო გადარიცხვების ამსახველი დოკუმენტების ასლების, აგრეთვე, მომხმარებელთან დამონტაჟებული შესაბამისი მონაცემების რაოდენობის და აბონენტებისაგან ამოღებული ჯამური საფასურის და სააბონენტო გადასახადის შესახებ ცნობების გადაცემა; მოპასუხეს ასევე დაევალა ფიჭური გადაცემების მუშაობით სატელეფონო სიგნალის მიმღები აქტიური (მათ შორის ტექნიკური) რესივერების რაოდენობის მონაცემების, 2008-2013 წლების, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მონაცემების, მოპასუხე კომპანიის სატელეფონო სიგნალის მიმღები თანამგზავრული მონაცემების მოსახლეობისათვის მიწოდების პროექტთან დაკავშირებით 2011 წელს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემონმების გამო შედგენილი გაანგარიშების და ცნობების, აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ასლების მოსარჩელისთვის მიწოდება; მოსარჩელის სარჩელი მოპასუხე კომპანიის აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

18. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების სარეზო-

ლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის შემდეგი ნაწილი: „დაევალოს სს „გ-ს“ 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალტრო მონაცემების და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების ჩატარება და ამ შემოწმების მასალების ასლების ო. ს-ისათვის გადაცემა“ შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ნება დაერთოს ო. ს-ეს სს „გ-ში“ 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალტრო მონაცემების და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონაცემების შედარების მიზნით, თავისი ხარჯით ჩაატაროს სპეციალური შემოწმება“; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის დანარჩენი ნაწილი დარჩა უცვლელი; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხე კომპანიის აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები).

20. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

21. აქციათა რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მოსარჩელე არის მოპასუხე კომპანიის აქციათა 10%-ის მფლობელი;

22. მოპასუხე კომპანია სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2004 წლის 25 ოქტომბერს, მისი საიდენტიფიკაციო კოდია – ...;

23. მოპასუხის 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილით, მოსარჩელეს, როგორც საზოგადოების აქციონერს, ეცნობა, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს 15 საათზე მოწვეული იყო მოპასუხე კომპანიის აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგში მითითებული იყო საზოგადოების კაპიტალის დადგენა და შევსების წესის განსაზღვრა, საზოგადოების მოქმედ წესდებაში ცვლილებების შეტანა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში რეგისტრაცია, მოპასუხე კომპანიაში სხვა მიმდინარე საკითხების განხილვა;

24. 2013 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელის წარმომადგენელმა წერილობით მიმართა საზოგადოების დირექტორს და მიუთითა, რომ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახ-

ლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენდა გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა კანონით დადგენილი წესით ახალი კრების მოწვევა;

25. 2013 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელის წარმომადგენელმა კვლავ წერილობით მიმართა საზოგადოების დირექტორს და მიუთითა, რომ, იმ შემთხვევაში გაიზიარებდა მათ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ბევრჯერ იქნა განხილული და მათში ახალი არაფერი იყო, თუ საუბარი იქნებოდა იმავე ფორმატზე, მათ შორის კაპიტალის გაზრდის მოცულობასა და მისი შევსების სამართლებრივ პირობებზე;

26. მოპასუხე კომპანიის აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების ოქმის მიხედვით, 2013 წლის 19 ნოემბრის კრებას ესწრებოდნენ ა. ი-ი (აქციათა 62,8%-ის მფლობელი), დ. კ-ე (აქციათა 3%-ის მფლობელი), დ. შ-ძე (აქციათა 3%-ის მფლობელი), ა. რ-ის (აქციათა 17,20%-ის მფლობელი) წარმომადგენელი ა. ი-ი, შსს „ა.“-ის (აქციათა 4%-ის მფლობელი) წარმომადგენელი გ. პ-ძე.

27. ოქმის თანახმად, კრებაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე (აქციათა 10%-ის მფლობელი), რომელსაც წერილობითი შეტყობინება ჩაბარდა პირადად, კრების მოწვევამდე 20 დღით ადრე, 2013 წლის 29 ოქტომბერს.

28. კრების ოქმში მითითებულია, რომ კრებას ესწრებოდნენ საზოგადოების აქციათა 90%-ის მფლობელი აქციონერები, შესაბამისად, კრება იყო გადაწყვეტილებაუნარიანი.

29. კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აქციონერთა მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად და საზოგადოების კაპიტალი 2013 წლის 3 სექტემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში, აქციონერთა მიერ შენატანის განუხორციელებლობის გამო, კაპიტალის შემცირების და გაუნაღდებელი აქციების გაუქმების შემდეგ, გაიზარდა და განისაზღვრა 30 000 000 ლარით. საზოგადოების გაუნაღდებელი აქციების შევსება აქციონერებს შეეძლოთ 2013 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის დროით 18:00 საათამდე. აღნიშნულ ვადაში საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის შევსების და, შესაბამისად, შესატყვისი აქციების მიღების უფლება მიეცათ აქციონერებს ისე, რომ მათ შორის აქციათა გადანაწილების პროპორცია დარჩა უცვლელი. 2013 წლის 4

დეკემბრის შემდეგ საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის სრულად ან ნაწილობრივ შევსების უფლება მიეცა ნებისმიერ აქციონერს მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროპორციის დაუცველად. დღის წესრიგის მეორე საკითხს აქციონერებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად, ცვლილებები შევიდა საზოგადოების წესდებაში და დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია.

30. მოპასუხე კომპანიის 2012 წლის 21-24 დეკემბრის, 2013 წლის 6 მარტის, 2013 წლის 26 აპრილის, 2013 წლის 8 ივლისის და 2013 წლის 3 სექტემბრის კრების ოქმების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საზოგადოების აქციონერებს შორის მიმდინარეობდა კონსულტაციები საწესდებო კაპიტალის გაზრდის და საწესდებო კაპიტალის შევსების ვადის საკითხებზე.

31. 2014 წლის 14 იანვრის და 2014 წლის 12 თებერვლის წერილებით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს მიმართა საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაციის ასლების გადაცემის შესახებ, თუმცა მოსარჩელეს აღნიშნული დოკუმენტები არ მიუღია.

32. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-7 პუნქტით, მოპასუხე კომპანიის წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, კრებაზე ნებისმიერი გადანყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით და საქმეში წარმოდგენილი მოპასუხე კომპანიის 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილით, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ეცნობა და, შესაბამისად, ინფორმირებული იყო საზოგადოების დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, მისთვის ცნობილი იყო აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების მოწვევის შესახებ, თუმცა იგი კრებაზე არ გამოცხადდა.

33. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია, რომ მისთვის საწესდებო კაპიტალის 30 000 000 ლარამდე გაზრდის თაობაზე 2013 წლის 19 ნოემბრის კრებაზე საკითხის გატანის შესახებ კანონით დადგენილი წესით არავის უცნობებია და მან ამის შესახებ გაიგო 2013 წლის 18 ნოემბერს, კრების ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, მიღებული წესდების პროექტიდან; და, რომ დღის წესრიგის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები.

34. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე კომპანიის 2012 წლის 21-24 დეკემბრის, 2013 წლის 6 მარტის, 2013 წლის 26 აპრილის, 2013 წლის 8 ივლისის და 2013 წლის 3 სექტემბრის კრების ოქმებით დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საზოგადოების აქციონერებს შორის მიმდინარეობდა კონსულტაციები სანესდებო კაპიტალის გაზრდისა და სანესდებო კაპიტალის შევსების ვადის საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ კრების მონევვის შეტყობინებაზე დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების დაურთველობა არ წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

35. სააპელაციო სასამართლომ ასევე მართებულად მიიჩნია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად აღძრული აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობის თაობაზე და განმარტა, რომ სადავო კრების გადაწყვეტილებით გაიზარდა საზოგადოების კაპიტალი და ცვლილება შევიდა წესდებაში, რასაც მხარი დაუჭირეს აქციათა 90%-ის მფლობელმა აქციონერებმა. შესაბამისად, აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების გადაწყვეტილების სასამართლო წესით ბათილობის პირობებშიც შესაძლებელი იყო დომინანტი პარტნიორების მხრიდან იგივე გადაწყვეტილების ხელახლა მიღება, რაც მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, ფორმალური საფუძვლით კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, არანამდვილს ხდიდა.

36. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3² პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებზე და ასევე, მოპასუხე კომპანიის წესდების მე-7 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებზე, რომლის მიხედვით, აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს; ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ შესაბამისი მმართველობის ორგანოსაგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ. ზემოაღნიშნული ნორმებისა და მოპასუხე კომპანიის წესდების საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხე კომპანიის აქციათა 10%-ის

მესაკუთრეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა საზოგადოებისგან მოეთხოვა სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემონმება და მმართველობის ორგანოსაგან საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასაბუთებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.

37. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად დაავალა მოპასუხე კომპანიას მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემა.

38. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხე კომპანიისათვის 2007-2013 წლების განმავლობაში ბილნგის, საბუღალტრო მონაცემების და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემონმების ჩატარებისა და ამ შემონმების მასალების ასლების მოსარჩელისათვის გადაცემის დავალების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოკლებული იყო დასაბუთებას იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობდა საზოგადოებისათვის მითითებული შემონმების საკუთარი ხარჯებით ჩატარების დავალების საფუძველი.

39. სააპელაციო პალატამ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტსა და ამავე კანონის 53-ე მუხლის 3², 3⁵ პუნქტებზე დაყრდნობით განმარტა, რომ, მართალია, მოპასუხე კომპანია ვალდებული იყო გადაეცა მოსარჩელისთვის მის მიერ სარჩელით მოთხოვნილი დოკუმენტების ასლები, თუმცა, მას არც კანონი და არც საზოგადოების წესდება არ ავალდებულებდა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემონმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული შემონმების ჩატარება მოსარჩელეს უნდა უზრუნველყო საკუთარი ხარჯებით.

40. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ.

41. მოპასუხემ/პირველმა კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოსარჩელემ/მეორე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

42. მოქასუხის/პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

43. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3² პუნქტი იმპერატიულად და ამომწურავად ადგენს, რომ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ უნდა არსებობდეს წლიური ბალანსი ან რაიმე სამეურნეო მოქმედება, რომლის შემოწმებასაც მოსარჩელე ითხოვს. მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა არც ერთი წლიური ბალანსის შედგენა და დამტკიცება, არც მოსარჩელეს წარმოუდგენია ასეთი ბალანსი, რომ შესაძლებელი იყოს მისი შემოწმება. შესაბამისად, თუ შემოწმების საგანი არ არსებობს, გაუგებარია, რა უნდა შემოწმდეს.

44. პირველი საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მიერ დადგინდა ისეთი ინფორმაციის/დოკუმენტების გაცემა, რომელიც კანონით არ არის აქციონერისთვის გადასაცემ მონაცემთა რიცხვში, კერძოდ, ესეთია 2006-2013 წლებში აბონენტების შესახებ კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში წარდგენილი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები ან შესაბამისი ყოველთვიური მონაცემების ამსახველი ცნობა. აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოადგენენ გარიგებას და, პირველი კასატორისთვის გაუგებარია, რატომ უნდა გადაეცეს აქციონერს. ასევე არასწორია გადანყვეტილებით დადგენილი საბანკო გადარიცხვების ამსახველი დოკუმენტის ასლების გაცემა, დამონტაჟებული მონყობილობის რაოდენობისა და აბონენტებისაგან ამოღებული ჯამური საფასურის და სააბონენტო გადასახადის შესახებ ცნობების, რესივერების რაოდენობის მონაცემების, კონტროლის პალატის მიერ შედგენილი გაანგარიშების და ცნობების ამსახველი დოკუმენტაციის ასლების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის დადგენა. აქციონერის მიერ ყველა ამ საბუთის გაცემის მოთხოვნა სცილდება კანონით დადგენილ აქციონერის უფლებათა ფარგლებს.

45. მოსარჩელის/მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძველებს:

46. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კრების მოწვევის შეტყობინებაზე დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების დაურთველობა არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან ამ საკითხზე მიმდინარეობდა კონსულტაციები, რის თაობაზეც ინფორმირებული იყო მოსარჩელე.

47. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ კრების მონვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადანყვეტილების მისაღებად, რაც ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს და, რასაც ადგილი არ ჰქონია. ეს იმპერატიული ნორმა მიზნად ისახავს აქციონერთა საკუთრების (აქციების და მათთან დაკავშირებული ინტერესების) უფლების დაცვას, კერძოდ, საზოგადოების მართვაში მონაწილეობისას ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების უფლებას და შესაძლებლობას. მეორე კასატორმა მიუთითა, რომ მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების საქმიანობაში არსებითი მონაწილეობა.

48. მეორე კასაცო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 4000 ლარიდან 30 000 000 ლარამდე საზოგადოების კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით კონსულტაციები საერთოდ არ მიმდინარეობდა. მისი განმარტებით, მოპასუხე კომპანიის 2012 წლის 21-24 დეკემბრის, 2013 წლის 6 მარტის, 26 აპრილის, 8 ივლისისა და 3 სექტემბრის ოქმების თანახმად, გადანყდა საწესდებო კაპიტალის მხოლოდ 16 000 000 ლარამდე გაზრდა, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, საწესდებო კაპიტალის ესოდენ დიდი ოდენობით, 30 000 000 ლარამდე, გაზრდაზე, მოსარჩელეს არანაირი დასაბუთება არ მიუღია.

49. მეორე კასატორის აზრით, გაუგებარია, რის საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ წინასწარი კონსულტაციების გამართვა ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორებს კანონით იმპერატიულად გათვალისწინებული ვალდებულებისაგან, კრების დღის წესრიგს დაურთონ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადანყვეტილების მისაღებად.

50. მეორე კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, საერთოდ არ იმსჯელა მოსარჩელის იმ არგუმენტზე, რომ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 51 პუნქტის საფუძველზე, გადანყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე ყველა შემთხვევაში მიღებული უნდა ყოფილიყო ერთხმად, ვინაიდან აღნიშნული გადანყვეტილება ეხება პარტნიორის (აქციონერის) ხმის უფლებას ანუ, თუ პარტნიორი ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შეძენას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება. შესაბამისად,

შემცირდება მისი ხმის უფლებაც, რის შედეგად, პარტნიორმა შეიძლება დაკარგოს ის განსაკუთრებული უფლებებიც, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონით, თუ ის ფლობს საზოგადოებაში 5 და მეტ პროცენტს.

51. მოსარჩელემ/მეორე კასატორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით მოქმედი 2012 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ საზოგადოების წესდებას მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა და, შესაბამისად, გადანყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე ყველა შემთხვევაში მიღებული უნდა ყოფილიყო ერთხმად, რასაც ადგილი არ ჰქონია.

52. მეორე საკასაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ აქციონერთა კრების კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოწვევით და დღის წესრიგის განსაზღვრით, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების მიუწოდებლობით მოსარჩელეს მოესპო შესაძლებლობა, მიეღო დასაბუთებული, ინფორმირებული გადანყვეტილება საზოგადოების საქმიანობაში მისი შემდგომი მონაწილეობის მოცულობის, აქციების შეძენის მიზანშეწონილობის თაობაზე. ზუსტად ამ მიზანს, ანუ ყველა, მათ შორის მინორიტარი, აქციონერების უფლებების დაცვას და დომინანტი აქციონერების თვითნებობის შეზღუდვას ემსახურება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი იმპერატიული წესები. ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები კი ამკვიდრებენ დომინანტი პარტნიორების სრულ უკონტროლობას და თვითნებობას, რაც უგულებელყოფს ყველა მითითებულ ნორმას.

53. მეორე კასატორის განცხადებით, ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს მინორიტარი აქციონერის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. მეორე საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის გადანყვეტილებაზე საქმეზე *Chadzitaskos And Franta v. The Czech Republic*, რომელშიც აღნიშნულია მინორიტარი აქციონერების პოზიციის, უფლებების და შესაბამისი გადანყვეტილებების მიღების პროცედურებიდან, მათ შორის, კანონმდებლობის არასწორი გამოყენების/ინტერპრეტაციის შედეგად, გათიშვის დაუშვებლობა.

54. რაც შეეხება იურიდიული ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხს, მეორე კასატორმა აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში იურიდიული ინტერესი ნამდვილად არსებობს,

რადგან კანონით დადგენილი პროცედურის დარღვევით მიღებული სადავო გადაწყვეტილების შედეგად მნიშვნელოვნად შეილახა მოსარჩელის ქონებრივი ინტერესები და, კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, აღდგება მისი დარღვეული ქონებრივი უფლებები.

55. რაც შეეხება სასამართლოს ვარაუდს, რომ იმავე საკითხზე კრების განმეორებით ჩატარების შემთხვევაში, აქციონერთა 90% მაინც დაუჭერდა მხარს მიღებულ გადაწყვეტილებას, მეორე კასატორის განმარტებით, ინფორმირებულობის შემთხვევაში იგი მოიშველიებდა არგუმენტებს საკუთარი პოზიციის დასაცავად და შესაძლოა, კრებას არ მიეღო მსგავსი გადაწყვეტილება, ამასთან, მას მიეცემოდა საშუალება მოეზიდა სახსრები შესაბამისი დივიდენდების მისაღებად ან მიემართა მინორიტარი აქციონერების ინტერესების დაცვის კანონით განსაზღვრული სხვა საშუალებებისათვის.

56. მეორე კასაცო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია ასევე სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ არ არსებობს საზოგადოებისათვის სპეციალური შემონმების საკუთარი ხარჯით ჩატარების საფუძველი, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3² პუნქტით გარკვევით და არაორაზროვნად არის დადგენილი, რომ აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემონმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

57. მეორე კასატორის მითითებით, უდავოა, რომ სიტყვები „აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემონმება“ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ეს მოთხოვნა მიმართულია საზოგადოებისადმი, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს შემონმება. ამდენად, სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ კანონის ეს ნორმა გულისხმობს აქციონერის უფლებას თვითონ ჩაატაროს შემონმება, რის შედეგად სასამართლომ „ნება დართო“ მოსარჩელეს, მოეთხოვა საზოგადოებიდან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე თავისი ხარჯებით ჩატარებინა აღნიშნული შემონმება, თითქოს ამას სასამართლოს ნებართვის გარეშე აქციონერი ვერ შეძლებდა ან ამის უფლება არ ჰქონდა. მოსარჩელისთვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს შერჩევითი მიდგომა, როდესაც მან არ გაითვალისწინა კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შემონმების

ხარჯების განაწილების წესს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და მიაკუთვნა მოსარჩელეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, რაც წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის უხემ დარღვევას. კანონის ზემოაღნიშნული ნორმა ნათლად და არა-ორაზროვნად ადგენს, რომ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს სპეციალური შემონმება. შესაბამისად, საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს იგი. რაც შეეხება ხარჯებს, ვინაიდან კანონით ეს საკითხი არ არის დარეგულირებული, ხარჯი უნდა გასწიოს იმან, ვისაც კანონით ვეალება შემონმების ჩატარება, ანუ საზოგადოებამ.

58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის/მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის/პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაზე, დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

61. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „გ-ისა“ და ო. ს-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

62. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში კასატორები სადავოდ არ ხდიან

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა არ ეთანხმებიან ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას.

63. პირველი კასატორის პრეტენზიის თანახმად, კანონმდებელი აქციონერებს მხოლოდ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა არც ერთი წლიური ბალანსის შედგენა და დამტკიცება, არც მოსარჩელეს წარმოუდგენია ასეთი ბალანსი, რომ შესაძლებელი იყოს მისი შემოწმება. შესაბამისად, თუ შემოწმების საგანი არ არსებობს, გაუგებარია, რა უნდა შემოწმდეს.

64. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უფლება მიენიჭება მოპასუხე კომპანიაში ჩაატაროს სპეციალური შემოწმება 2007-2013 წლების განმავლობაში ბილინგის, საბუღალტრო მონაცემების და მაუწყებლობის კომისიაში მიწოდებული აბონენტთა რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით) მონაცემების შედარების მიზნით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მოპასუხე კომპანიის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოების საქმიანობის საგანია სატელეკომუნიკაციო მომსახურება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სპეციალური შემოწმების ჩატარება ითვალისწინებს ისეთი მონაცემების შედარებას, რომლებიც განეკუთვნება საწარმოს ძირითადი საქმიანობის საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო მოქმედებების სფეროს და, შესაბამისად, მიაჩნია, რომ პირველი კასატორის პრეტენზია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია.

65. ამასთან, პირველი კასატორის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მიერ დადგინდა ისეთი ინფორმაციის/დოკუმენტების გაცემა, რომელიც კანონით არ არის აქციონერისთვის გადასაცემ მონაცემთა რიცხვში და არ წარმოადგენს გარიგებას. შესაბამისად, აქციონერის მიერ ყველა ამ საბუთის გაცემის მოთხოვნა სცილდება კანონით დადგენილ აქციონერის უფლებათა ფარგლებს.

66. საკასაციო სასამართლო პირველი კასატორის ყურადღებას მიაქცევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარ-

ტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით და წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი თანაბრად ვრცელდება სააქციო საზოგადოების აქციონერზეც და უფლებას ანიჭებს მას, მიიღოს საზოგადოების ყველა პუბლიკაცია.

67. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება მეორე კასატორს, რომ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ საზოგადოების სახელით დასადები ან დადებული გარიგების ასლები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3⁵ მუხლის თანახმად, ნებისმიერი კლასის აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, სააქციო საზოგადოების შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ ამ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაცია ან/და გარიგებებთან დაკავშირებული გადანყვებილების ასლები. მოცემული ნორმა წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და სააქციო საზოგადოების აქციონერისთვის ანებს გარკვეულ შეზღუდვას, კერძოდ, აღნიშნული ნორმა მხოლოდ აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ანიჭებს საზოგადოების სახელით დადებული ან დასადები გარიგებების ასლების მიღების უფლებას, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის ზოგადი ნორმის გავრცელებას სააქციო საზოგადოების აქციონერზე, გარიგების გარდა, სხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილში.

68. ამასთან, საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე არის მოპასუხე კომპანიის აქციათა 10%-ის მფლობელი, შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს როგორც საზოგადოების მიერ დადებული თუ დასადები გარიგებების, ასევე ყველა პუბლიკაციის, მათ შორის, 2006-2013 წლებში აბონენტების შესახებ კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში წარდგენილი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ან შესაბამისი ყოველთვიური მონაცემების ამსახველი ცნობის, საბანკო გადარიცხვების ამსახველი დოკუმენტის ასლების, დამონტაჟებული მონეობილობის რაოდენობისა და აბონენტებისაგან ამოღებული ჯამური საფასურის და სააბონენტო გადასახადის შესახებ ცნობების, რესივერების რაოდენობის მონაცემების, კონტროლის პალატის მიერ შედგენილი გაანგარიშების და ცნობების ამსახველი დოკუმენტაციის ასლების მიღება.

69. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფ-

ფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

70. მოსარჩელის/მეორე კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ გადანყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე მიღებული უნდა ყოფილიყო ერთხმად, ვინაიდან აღნიშნული გადანყვეტილება ეხება პარტნიორის (აქციონერის) ხმის უფლებას ანუ, თუ პარტნიორი ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შეძენას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება. შესაბამისად, შემცირდება მისი ხმის უფლებაც, რის შედეგად, პარტნიორმა შეიძლება დაკარგოს ის განსაკუთრებული უფლებებიც, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონით, თუ ის ფლობს საზოგადოებაში 5 და მეტ პროცენტს.

71. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადანყვეტილება წარმოადგენს თუ არა ისეთ გადანყვეტილებას, რომლის მისაღებადაც აუცილებელია ყველა აქციონერის თანხმობა.

72. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ აქვთ განმარტებული.

73. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადანყვეტილება არის მრავალმხრივი გარიგება, რომლის თავისებურებას წარმოადგენს გადანყვეტილების მიღება, ძირითადად, ხმათა უმრავლესობით, თუმცა აღნიშნული წესიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტითა და 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია გამონაკლისები და, აქციონერთა ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, დადგენილია გადანყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო მე-3 მუხლის 5² პუნქტით კი აკრძალულია პარტნიორის/აქციონერის თანხმობის გარეშე ამავე პუნქტით განსაზღვრული ცვლილების შეტანა.

74. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტის თანახმად, „თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი“.

75. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-

ლის 5² პუნქტის თანახმად, „თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გადასახადებს ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია“.

76. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს“.

77. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო დანაწესებთან კაპიტალის გაზრდის თაობაზე 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისობა.

78. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრებაზე წესდებაში ცვლილების შეტანის გზით, საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა 30 000 000 ლარამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების აქციათა 90%-ის მფლობელ აქციონერთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

79. საკასაციო სასამართლო მეორე კასაციონის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (მე-3 მუხლის 5¹ და 5² პუნქტები, 9¹ მუხლის მე-6 პუნქტი, 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები) არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა სააქციო საზოგადოებას კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ყველა აქციონერის თანხმობით. კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის განსაზღვრის თავისუფლება მიანიჭა თავად აქციონერებს, რომელთა მიერ დადგენილი წესები ასახულია წესდებაში.

80. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიის წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით.

81. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონში პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, წესდების ცვლილების გზით საზო-

გადოების კაპიტალის გაზრდა რამდენად არის შემხებლობაში აქციონერის ხმის უფლებასთან, მოგებაში/ზარალში მის წილთან ან ლიკვიდაციისას მის უფლებებთან („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტი); ხომ არ აუქმებს აქციონერის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას ხომ არ აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5² პუნქტი); ამ გადაწყვეტილების შინაარსი ხომ არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე აქციონერისათვის ანდა ხომ არ ხელყოფს აქციონერის არსებით ინტერესებს („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტი).

82. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, საზოგადოების 30 000 000 ლარით განსაზღვრის შემდეგ, საზოგადოების გაუნაღდებელი (განუთავსებელი) აქციების შევსების შესაძლებლობა მიეცა ყველა აქციონერს 15 დღის ვადაში, 2013 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის შევსების და, შესაბამისად, შესატყვისი აქციების მიღების უფლება მიენიჭათ საზოგადოების აქციონერებს ისე, რომ მათ შორის აქციათა გადანაწილების პროპორცია დარჩა უცვლელი.

83. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებით აქციონერის გაუნაღდებელი აქციების შეუვსებლობა არ ინვევდა აქციონერის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას (მაგ: აქციათა შემცირებას, აქციონერის გარიცხვას და სხვა).

84. ამასთან, საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე უშუალოდ არ შეხება მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შენატანებს და აქციათა რაოდენობას. მას საკუთრებაში კაპიტალის გაზრდამდე ჰქონდა 400 ცალი აქცია და კაპიტალის გაზრდის შემდეგაც, თუ არ შეავსებდა კაპიტალს თავისი წილის პროპორციულად დარჩებოდა იმავე რაოდენობის აქციები. ამ გადაწყვეტილებით მისი აქციების რაოდენობა არ შემცირდებოდა.

85. მეორე კასატორის არგუმენტი, რომ, თუ აქციონერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შეძენას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება და, შესაბამისად, შემცირ-

დება მისი ხმის უფლებაც, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ წარმოადგენს კაპიტალის გაზრდის უშუალო, პირდაპირ და გარდაუვალ შედეგს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კაპიტალის გაზრდის შემდეგ, მოსარჩელის მიერ აქციათა გადანაწილების პროპორციულად აქციების შევსების შედეგად, მისი წილის პროცენტულობა არ შემცირდებოდა და დარჩებოდა იგივე, შესაბამისად, მისი ხმების მოცულობაც იქნებოდა მისი შენატანის შესატყვისი.

86. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადანყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე არ წარმოადგენს ისეთ გადანყვეტილებას, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ იწვევს აქციონერის ხმის უფლების ან წილის შემცირებას.

87. რაც შეეხება კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადანყვეტილების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადანყვეტილებით ყველა აქციონერს მიეცა გაუნაღდებელი აქციების შევსების შესაძლებლობა აქციათა განაწილების პროპორციულად, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადანყვეტილებით რომელიმე აქციონერისთვის არ შექმნილა არათანაბარი მდგომარეობა და არ შელახულა მათი არსებითი ინტერესები.

88. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონით დადგენილი არ არის საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადანყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა და, ამასთან, სახეზე არ არის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ და 5² პუნქტებით, აგრეთვე, 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

89. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ კანონის ისეთი ინტერპრეტაცია, რომლითაც დადგინდება აქციონერთა მიერ სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადანყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული წესი, შეიძლება გახდეს კაპიტალური საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, ვინაიდან აქციონერი, რომელსაც არ შესწევს უნარი განახორციელოს დამატებითი შენატანი ან შეავსოს განუთავსებელი აქციები მისი წილის პროპორციულად, უმრავლეს შემთხვევაში, ხმას მისცემს მსგავსი გადანყვეტილების წინააღმდეგ თავისი პროცენტული წილის შე-

სანარჩუნებლად, რაც, საბოლოო ჯამში, დააზიანებს კაპიტალური საზოგადოებების განვითარების პროცესს. ასეთი გადანაცვლებების მიღებისას, უმთავრესია, რომ აქციონერები არ იქნენ ჩაყენებულნი არათანაბარ მდგომარეობაში და თანაბრად მიეცეთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

90. მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზია მდგომარეობს ასევე იმაში, 2013 წლის 19 ნოემბრის კრების მონვევის შეტყობინებას არ ერთვოდა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, რაც სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია კრების ოქმის ბათილობის საფუძვლად, გამომდინარე იქედან, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობდა წინასწარი კონსულტაციები.

91. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს 2013 წლის 19 ნოემბრის კრების ოქმის ბათილობის საკითხი სწორედ კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წესის დარღვევის კუთხით.

92. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთო კრების მონვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადანაცვლებების მისაღებად.

93. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები ემსახურება აქციონერის მიერ გაცნობიერებული გადანაცვლებების მიღებას, იმის განსაზღვრას, თუ რა შედეგს მოუტანს საზოგადოებასა და აქციონერის ქონებრივ ინტერესებს კონკრეტული გადანაცვლებები.

94. სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხის 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილით, მოსარჩელეს, როგორც საზოგადოების აქციონერს, ეცნობა, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს 15 საათზე მონვეული იყო მოპასუხე კომპანიის აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგში მითითებული იყო საზოგადოების კაპიტალის დადგენა და შევსების წესის განსაზღვრა, საზოგადოების მოქმედ წესდებაში ცვლილებების შეტანა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში რეგისტრაცია, მოპასუხე კომპანიაში სხვა მიმდინარე საკითხების განხილვა; 2013 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელის წარმომადგენელმა წერილობით მიმართა საზოგადოების დირექტორს და მიუთითა, რომ კრების მონვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს

რეკომენდაციები, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენდა გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა კანონით დადგენილი წესით ახალი კრების მოწვევა.

95. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, აქციონერთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს (იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 2015 წლის 17 დეკემბერი). შესაბამისად, აქციონერთა კრების ოქმზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძვლები. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს.

96. მოცემულ შემთხვევაში, აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, რაც წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, რაც, თავის მხრივ, ქმნის მრავალმხრივი გარიგების ბათილობის საფუძველს, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

97. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გარიგების ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას ბათილობის საფუძვლის არსებობასთან ერთად უნდა არსებობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

98. საკასაციო სასამართლო უპირველესად ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციაზე, რომლის თანახმად, ვინაიდან საზოგადოების კაპიტალის გაზრდას მხარი დაუჭირეს აქციათა 90%-ის მფლობელმა აქციონერებმა, შესაბამისად, აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების გადაწყვეტილების სასამართლო წესით ბათილობის პირობებშიც, შესაძლებელია, დომინანტი პარტნიორების მხრიდან იგივე გადაწყვეტილების ხელახლა მიღება, რაც მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, ფორმალური საფუძვლით კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, არანამდვილს ხდის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსგავსი მიდგომა არ გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული ქცევის კეთილსინდისიერ

რების პრინციპიდან, რომლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის მსგავსი განმარტება, შესაძლოა, მომავალში აღმოჩნდეს დომინანტი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის არაკეთილსინდისიერი ქცევის წამახალისებელი.

99. აქციონერთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების, ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს.

100. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო შეამოწმებდეს სარჩელის საფუძვლიანობას, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას?... სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს რომელთაც განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა“ (იხ. სუსგ №ას-838-802-2014, 2015 წლის 19 მარტი).

101. საკასაციო სასამართლომ მოცემულ დავაში უნდა შეაფასოს, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობით საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, რაც ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება მიუთითებდეს ასევე მოსარ-

ჩელის ნამდვილ იურიდიულ ინტერესზე.

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნამდვილი იურიდიული ინტერესის შეფასებისას უნდა დადგინდეს აქციონერის მიერ უფლების განხორციელების მართლზომიერის საკითხი, რამდენადაც დავა ეხება საზოგადოების დომინანტ და მინორიტარ აქციონერებს და მათ მიერ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის კანონიერებას, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, აქციონერის იურიდიული ინტერესი რამდენად არის მიმართული მისი მართლზომიერი უფლების დაცვისა და განხორციელებისკენ.

103. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კაპიტალურ საზოგადოებაში, რომელსაც განეკუთვნება სააქციო საზოგადოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დაცვა, რათა უმრავლესობაში მყოფმა აქციონერმა, დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით, ზიანი არ მიაყენოს მას, თუმცა, ასევე არანაკლებ აუცილებელია უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბოროტად არ ისარგებლოს კანონით მისთვის მიწიჭებული უფლებებით და თავისი ქმედებებით არ შეაფერხოს საზოგადოების განვითარება.

104. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. ნებისმიერი დავის განხილვისას სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ამოწმებს თავად კრების გადაწყვეტილებას შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა დადგინდეს სამენარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა თუ არა მინორიტართა ინტერესების დარღვევის ფაქტი და მიღებული გადაწყვეტილება სამენარმეო ურთიერთობის სუბიექტთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გადანონის თუ არა უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესებს. ამასთან, მნიშვნელოვანია გაირკვეს აქციონერთა

უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხომ არ იყო მიმართული უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების შელახვისკენ და ხომ არ ემსახურებოდა მის მიზანმიმართულ განდევნას საზოგადოების საქმიანობიდან.

105. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე აქციონერთა კრების ოქმის ბათილობას ითხოვს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ კრების მონვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, თუმცა იგი არ უთითებს, რომ გადაწყვეტილებას არ ჰქონდა ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი და იგი მიღებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიეყენებინა უმცირესობაში მყოფი აქციონერისათვის. ამავე დროს, მოპასუხე კომპანია თავის შესაგებლში უთითებს, რომ საზოგადოება დგას ფინანსური სიძნელეების წინაშე. მოპასუხის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, 2012 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით მისი სასესხო ვალდებულება შეადგენდა ჯამში 4 476 457,26 ლარს და 17 598 807,95 აშშ დოლარს, 2013 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით კი – 6 649 290,09 ლარს და 26 372 255,20 აშშ დოლარს, ხოლო 2014 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, 16 230 234,78 ლარს და 24 480 785,20 აშშ დოლარს. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, მოპასუხე კომპანიის ერთ-ერთ აქციონერს და, ამავე დროს, ერთ-ერთ ძირითად კრედიტორსაც წარმოადგენს შპს „ა.“ 16 154 684 ლარის ნაწილში, რომელმაც დაიწყო მზადება არაპროპორციული წესით საზოგადოების კაპიტალის შევსებისთვის. საქმეში მოიპოვება „სს „გ-ის“ 99,9867% აქციების შპს „ა.“-ის მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება №..., რომლიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხე კომპანიის 4%-ის მფლობელს შპს „ა.“-ის განზრახული აქვს შეავსოს მოპასუხე კომპანიის კაპიტალის გაზრდილი ნაწილი, შეიტანოს საზოგადოებაში არაუმეტეს 29 996 000 ლარი და დამატებით გახდეს 99,9867%-მდე აქციების მესაკუთრე. მოპასუხის განმარტებით, შპს „ა.“-ის მზაობის გამოყენება მოპასუხე კომპანიისთვის არის პრობლემებიდან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობა, ვინაიდან დიდი ალბათობით მოპასუხე კომპანიისადმი შპს „ა.“-ის მოთხოვნა გაიქვითება. გასაჩივრებული ოქმის ბათილობა კომპანიას უახლოეს მომავალში დააყენებს გადახდისუუნარობის წინაშე. ბათილობა გამოიწვევს რა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, პრაქტიკულად იურიდიულ ძალას დააკარგვინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობას, რომელიც გაიცა შპს „ა.“-

ის სასარგებლოდ. გასაჩივრებული აქტის ბათილობა ჩააყენებს მოპასუხე კომპანიას მძიმე მდგომარეობაში და გარკვეული ალბათობით მოპასუხე კომპანიის აქციების ლიკვიდურობა დაეცემა, რაც არა მხოლოდ მოსარჩელის, არამედ – დანარჩენი აქციონერების ინტერესებსაც შელახავს.

106. საკასაციო სასამართლო უთითებს აგრეთვე მოპასუხე კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მოპასუხე კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ გაცემულ 2014 წლის 20 მაისის ცნობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოპასუხე კომპანიას 2014 წლის 20 მაისის მდგომარეობით ერიცხება საკრედიტო დავალიანება სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ არანაკლებ 66 (სამოცდაექვსი) მილიონი ლარის ოდენობით. ამასთანავე, მოპასუხე კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება შეადგენს მაქსიმუმ 40 (ორმოცი) მილიონ ლარს. წერილის მიხედვით, კომპანიაში შიდა აუდიტის მიერ მიმდინარეობს კომპანიის აქტივების და ვალდებულებების ზუსტი აღწერა, რომლის დასრულებისთანავე დაზუსტდება ინფორმაცია კომპანიის ვალდებულებებისა და აქტივების რაოდენობის შესახებ. ამასთან, წერილში მითითებულია, რომ აუდიტორების მიერ დადგენილი თანხები არ გაცდება წინამდებარე ცნობაში მითითებულ მაქსიმალური და მინიმალური თანხების ოდენობას. წერილში დამატებით მითითებულია, რომ უკანასკნელი სამი საგადასახადო წლის განმავლობაში (2011, 2012 და 2013 წლები) კომპანიას წმინდა მოგება არ ჰქონია და შესაბამისად არ მომხდარა საზოგადოების აქციონერებზე დივიდენდების გაცემა.

107. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ფინანსური სიძნელეებიდან გამოყვანა და, კაპიტალის გაზრდის გზით, მისი განვითარება.

108. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ შეძლო სასამართლოსთვის წარმოედგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მისი გადაწყვეტილება არ იყო მიმართული მოსარჩელის, როგორც მინორიტარი აქციონერის საზოგადოებიდან განდევნისკენ და მას ამოძრავებდა საზოგადოების გადარჩენისა და განვითარების ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი, ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საქმის მასალებიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხე კომპანიის 2012 წლის 21-24 დეკემბრის, 2013 წლის 6 მარტის, 2013 წლის 26 აპრილის, 2013

წლის 8 ივლისის და 2013 წლის 3 სექტემბრის კრების ოქმების თანახმად, საზოგადოების აქციონერებს შორის მიმდინარეობდა კონსულტაციები, სანესდებო კაპიტალის გაზრდისა და სანესდებო კაპიტალის შევსების ვადის საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი, ასევე იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებასთან მიმდინარეობდა წილის გამოსყიდვის თაობაზე კონსულტაციები, ყოველივე ჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებები მეტყველებს იმაზე, რომ მოსარჩელისთვის არ ყოფილა მოულოდნელი კაპიტალის გაზრდის თაობაზე კრების გადაწყვეტილება და მას, კრებაზე დასწრების შემთხვევაში, შეეძლო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გარეშე.

109. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარემ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სამენარმეო მიზნის მართლზომიერებაში. საპირისპირო მტკიცებულებები კი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

110. საკასაციო პალატა აღნიშნავს, მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, თუ რა კონკრეტული მიზნის მიღწევას ემსახურება საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილობა არ არის მიმართული აქციონერის მართლზომიერი უფლების განხორციელებისკენ, კრების მოწვევის შეტყობინებაზე რეკომენდაციების დაურთველობის მოტივით კრების ოქმის ბათილად ცნობამ შეიძლება არსებითად დააზიანოს საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები, რასაც ვერ გადანონის მოსარჩელის იურიდიული ინტერესი.

111. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის კრებაზე საზოგადოების აქციონერთა 90%-ის მფლობელი აქციონერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

112. რაც შეეხება მეორე კასატორის პრეტენზიას, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3² პუნქტის თანახმად, არ არსებობს საზოგადოებისათვის სპეციალური შემონმების საკუთარი ხარჯით ჩატარების საფუძველი, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მან „მენარმეთა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტსა და ამავე კანონის 53-ე მუხლის 3², 3⁵ პუნქტებზე დაყრდნობით შემონმების ხარჯები დააკისრა მოსარჩელეს იმ დასაბუთებით, რომ მას არც კანონი და არც საზოგადოების წესდება არ ავალდებულებდა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემონმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას.

113. ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე *Chadzitaskos And Franta v. The Czech Republic* მეორე კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მეორე საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ მოხმობილ საქმეში დავა ეხებოდა აქციების სანაცვლოდ მისაღები კომპენსაციის ოდენობის გასაჩივრებისათვის საარბიტრაჟო მექანიზმის დაწესების შესაბამისობას ევროკონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებასთან სამართლიან სასამართლოზე და, აქედან გამომდინარე, ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პროცედურული მხარის დარღვევას. შესაბამისად, მეორე კასატორის მიერ მითითებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს წინამდებარე დავის საგანთან.

114. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს მეორე კასატორის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

115. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: (ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; (ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; (გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

116. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ო. ს-ისა და სს „გ-ის“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. მოგების განაწილება

დივიდენდის განაწილება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-457-436-2015

6 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი დივიდენ-
დის სახით

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს-ის“ პარტნიორმა ა. შ-ამ სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში შპს „ს-ის“ დირექტორის, ს. ჩ-ის მიმართ და მოითხოვა
დირექტორის არამართლზომიერი მოქმედებით პარტნიორისათ-
ვის მიყენებული ზიანის – 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით
დივიდენდის სახით მიუღებელი შემოსავლის – 16 642.6 ლარის
ანაზღაურების დაკისრება შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელე არის შპს „ს-ის“ დამფუძნებელი და 15%-იანი
წილის მფლობელი პარტნიორი. საზოგადოება მუშაობს სრული
დატვირთვით და დივიდენდის განაწილება პარტნიორებს შო-
რის ხდება საწარმოს მოგებიდან, მაგრამ მისი დირექტორის
არამართლზომიერი ქმედებით საზოგადოების პარტნიორები
არასწორად იღებდნენ შემოსავალს, ირღვევა მათი უფლებები.

3. კომპანიის მიერ 2006-2010 წლების წლიური მოგების გან-
საზღვრის კანონიერებისა და პარტნიორებზე კუთვნილი დივი-
დენდების განაწილების სისწორის შემოწმების მიზნით მოსარ-
ჩელემ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩაატა-
რა საწარმოს ფინანსური დოკუმენტების ალტერნატიული შე-
მოწმება, რის შედეგადაც გამოვლინდა დარღვევები. კერძოდ,
შპს „ს-ის“ მიერ დეკლარირებულ მონაცემებსა და აუდიტის შე-
დეგებით დადგინდა მონაცემებს შორის გამოვლინდა სხვაობე-
ბი, მათ შორის, პარტნიორებზე დამატებით გასანაწილებელი დი-
ვიდენდი, რომლის ოდენობაც 2006-დან 2010 წლის ჩათვლით
შეადგენს 110 950.75 ლარს, საიდანაც მისთვის განკუთვნილი

წილი არის 16 642.6 ლარი.

4. სარჩელზე შესაგებელი წარადგინა შპს „ს-მა“, რომელიც ჩაერთო მოცემულ საქმეში მოპასუხის სახით.

5. მოპასუხის განმარტებით, არასწორია, რომ 2006-2010 წლებში გამოვლინდა პატნიორებზე დამატებით გასანაწილებელი დივიდენდი 110950,75 ლარი, ანუ მოსარჩელის დამატებით კუთვნილმა 15%-მა 16 642,6 ლარი შეადგინა. მოსარჩელემ დამატებით გასანაწილებელი დივიდენდის თანხა მიიღო შემდეგნაირად: 316 774,75 ლარს (აუდიტორული დასკვნის მიხედვით განსაზღვრული მოგება (მოგების გადასახადის გამოკლებით) – 205 824 ლარი (აუდიტორული დასკვნის მიხედვით მოგების დეკლარაციაში მითითებული მოგება მოგების გადასახადის გამოკლებით) = 110 950,75 ლარს. საგადასახადო შემონმებით დადგინდა, რომ დეკლარირებული მოგება (მოგების გადასახადის გამოკლებით) არაა 205 824 ლარია, არამედ 251 882 ლარი, ხოლო შემონმებით დადგენილი მოგება (მოგების გადასახადის გამოკლებით) არის არაა 316 774,75 ლარი, არამედ 283 855 ლარი. შესაბამისად, აუდიტორული დასკვნით ხელოვნურადაა გაზრდილი დამატებით „გასანაწილებელი დივიდენდი“. ამავე დროს, დეკლარირებულთან მიმართებით გაუნაწილებელი მოგების თანხის დივიდენდის სახით განაწილებაზე პარტნიორთა საერთო კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია.

6. მოპასუხის აზრით, ასევე არასწორია, რომ 2006-2010 წლებში საზოგადოებაში გამოვლინდა ფინანსური დარღვევები, რაც „გასანაწილებელი მოგების“ მაჩვენებლების სხვაობებში გამოიხატა. აუდიტორული დასკვნით, გარდა გამონაკლისებისა, დეკლარირებულთან მიმართებით მოგების გაზრდა, განპირობებულია რეალურად განეული იმ ხარჯების გამოქვითვებიდან ამოღებით, რომლებიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გამოქვითვას არ ექვემდებარებოდა (სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის არარსებობის გამო, ამორტიზაციის ნორმების გამოყენების გამო და ა. შ.), მაგრამ საბალანსო მოგებას ამცირებდა. გამონაკლისია შემდეგი შემთხვევები: ა) 2007 წელს აუდიტორული დასკვნით მოგება გაზრდილია უიმედო ვალის გამოქვითული თანხით (28 752 ლარი), რომელიც აუდიტორებმა არ გაითვალისწინეს ხარჯებში. მოცემული თანხა ხარჯებში თავდაპირველად საგადასახადო შემონმებამაც არ ჩართო, მაგრამ გასაჩივრების შედეგად თანხა გამოქვითვას დაექვემდებარა; ბ) 2010 წელს აუდიტორული დასკვნით განსაზღვრული მოგება (102 189 ლარი) შედარებულია თითქოსდა დეკლარირებულ მოგებასთან 48 715 ლარის ოდენობით, მაგრამ სინამდვილეში დეკ-

ლარირებულია 102 902 ლარი (იმაზე მეტი, ვიდრე დასკვნაშია მითითებული).

7. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. შ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ა. შ-ას შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურებისთვის გაღებული ხარჯის, 1000 ლარის გადახდა.

8. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-ამ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ა. შ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება ა. შ-აზე შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 1000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. შ-ას ადვოკატის ხარჯის სახით შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 600 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე, 53-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოცემულ ნორმებზე დაყრდნობით სასამართლოს ადვოკატის დახმარებისათვის საფასური უნდა განესაზღვრა საქმის მოცულობის, დავის ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულისა და სხვა ფაქტორების თანაზომიერი და გონივრული, არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ფარგლებში. შესაბამისად, პალატამ გონივრულ თანხად მიიჩნია ა. შ-ასათვის 600 ლარის დაკისრება.

11. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას დანარჩენ ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12. ა. შ-ა არის შპს „ს-ის“ დამფუძნებელი და ფლობს კაპიტალის წილის 15%-ს.

13. შპს „ს-ის“ 2006-2010 წლების წლიური მოგების განსაზღვრის კანონიერებისა და პარტნიორების კუთვნილი დივიდენდის განაწილების სისწორის შემოწმების მიზნით ა. შ-ას დაკვეთით ჩატარდა აუდიტი, რომელმაც გამოავლინა შპს „ს-ის“ მიერ დეკლარირებული მონაცემების უსწორობა.

14. აუდიტის დასკვნის მიხედვით, სულ 2006-2010 წლების ფინანსური შედეგების მიხედვით მოგების არასწორად გაანგა-

რიშების შედეგად დივიდენდის სახით ნაკლებად განაწილდა 110 950.75 ლარი. აუდიტორი წლების მიხედვით გასანაწილებელ მოგებას (დივიდენდის სახით გასაცემ თანხას) განსაზღვრავს დასაბეგრ მოგებასა და კუთვნილ მოგების გადასახადს შორის სხვაობით. აუდიტის დასკვნა შედგენილია 2014 წლის 3 ივლისს.

15. ამავე პერიოდში ჩატარდა შპს „ს-ის“ ალტერნატიული გადასახადო შემოწმება, რომელმაც დაადგინა აუდიტის დასკვნისგან განსხვავებული მონაცემები, მათ შორის წლიური მოგების ნაწილშიც.

16. გადამოწმების შედეგები პარტიონართა კრებაზე არ განხილულა, დამატებით გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა კრებას არ დაუდგენია.

17. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტსა და ამავე კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს ერთდროულად, მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ. ამავე კანონის 47-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა კი განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

18. შპს „ს-ის“ წესდების 5.14.6 პუნქტის დანაწესებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყვანა. ამავე წესდების 6.3 პუნქტის მიხედვით ბიუჯეტთან და ბანკთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი მოგება შეიძლება წარიმართოს საზოგადოების ფონდების შესაგებად. წესდების 6.3 და 6.5 პუნქტების თანახმად კი, საზოგადოება მოგებას ანაწილებს ფინანსური წლის შედეგების მიხედვით ერთხელ. ბიუჯეტთან და ბანკთან ანგარიშსწორებისა და საზოგადო ფონდების შევსების შემდეგ მოგება ნაწილდება პარტნიორთა შორის მათი წილის პროცენტულად.

19. სააპელაციო პალატის აზრით, რაიონულმა სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ პარტნიორს აქვს დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ მას დივიდენდის მოთხოვნის უფლება აქვს პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული ოდენობიდან. დივიდენდის ფონდის შექმნა პარტნიორთა კრების ე.წ. კონსტიტუციური უფლებაა და სასამართლო-

საც არ შეუძლია პარტნიორთა კრებას დაავალოს დივიდენდის იმაზე მეტი ოდენობით გაცემა, ვიდრე კრებამ დაადგინა.

20. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ პარტნიორთა კრება უნდა ჩატარებულიყო არა წლიური დეკლარაციის ჩაბარების შემდეგ, არამედ მანამდე. პალატამ აღნიშნა, რომ წლიური შედეგების შეჯამება და დივიდენდების განაწილება შეუძლებელია წლიური დეკლარაციის წარდგენამდე, რისთვისაც კანონით დადგენილია 1 აპრილამდე პერიოდი. აღნიშნულით აპელანტი ადასტურებდა იმას, რომ პარტნიორთა კრებას მისთვის მის მიერ მოთხოვნილი დივიდენდი არ გაუნაწილებია.

21. აპელანტი მიუთითებდა პარტნიორთა კრების ოქმების უსწორობაზე, რომ მასში დივიდენდის თანხა არ იყო პერსონიფიცირებული. ამასთან, აპელანტი პრეტენზიას არ აცხადებდა იმის თაობაზე, რომ დივიდენდის ოქმში დაფიქსირებული საერთო თანხიდან მას მისი პროპორციული თანხა არ ჰქონდა მიღებული. პალატამ უდავოდ დადაგენილად მიიჩნია, რომ კრების ოქმები აპელანტს არ გაუსაჩივრებია.

22. აპელანტი ასევე მიუთითებდა მის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნის სისწორეზე, მაგრამ მოპასუხის მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრების გასაქარწყლებლად მას არაფერი წარმოუდგენია.

23. სასამართლომ განმარტებით, აპელანტის პრეტენზიას, რომ საწარმომ ერთობლივი შემოსავლიდან არასწორად გამოქვითა უიმედო ვალი, საქმესთან არსებითი კავშირი არ ჰქონდა. თუმცა, პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილებით უიმედო ვალის გამოქვითვა სწორად ჩაითვალა.

24. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო საჩივრის ავტორის პრეტენზია საწარმოს დირექტორის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების თაობაზე და აღნიშნა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა საწარმოს დირექტორის, არამედ საწარმოს მიმართ.

25. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე ა. შ-ამ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება ძირითადად იმავე დასაბუთებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, კერძოდ:

26. სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა და მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ აუდიტორული დასკვნა

გაკეთებულია სახელმწიფო შემონმების შედეგად და არა მანამდე, რომ საწარმოს დირექტორი აღიარებს არასწორ დარიცხვას და უკან უბრუნებს სახელმწიფოს თანხას, რომ საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება იმისა, რომ შემოსავლების სამსახურმა უიმედო ვალის გამოქვითვა ჩათვალა სწორად. პალატამ აღნიშნა, რომ საგადასახადო შემონმების აქტით დადასტურდა აუდიტორული სისწორე, მაშინ, როცა აუდიტორული დასკვნის არაავითარი შემონმება არ მომხდარა და აქტიც არ შედგენილა.

27. სასამართლო დაეყრდნო მოპასუხის მიერ წარმოდგენილ შპს-ს ოქმებს, სადაც არ არის აღნიშნული ინფორმაცია დამატებითი დივიდენდების მოთხოვნის შესახებ და მიუთითა, რომ მხოლოდ კრებამ უნდა განსაზღვროს დამატებითი დივიდენდების გაცემა, რის დავალდებულებასაც შპს-სადმი სასამართლო მოკლებულია, მაგრამ სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ კრების ის ოქმები, რომელიც წარმოდგენილია საქმეში, შედგენილია სამეურნეო წლის აპრილის თვეში დეკლარაციის დამტკიცების შემდეგ და არა სამეურნეო წლის დამთავრების და მისი შედეგების მიხედვით („ს-ის“ ნესდება 6.2.). ფაქტობრივად კი, მოგების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში მონაცემები დივიდენდის განაწილების შესახებ საერთოდ არ შეიტანება, აღნიშნული დეკლარაციის ფორმა არ ითვალისწინებს.

28. სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია, რომ ოქმში არ არის შეტანილი დივიდენდის განაწილება წილობრივი პროპორციულობით, მხოლოდ ჩანერილია მოგების თანხა და მითითებულია, რომ ეს მოგება დამტკიცდეს.

29. სასამართლოს არ შეუფასებია აუდიტის დასკვნა, რომელმაც გამოავლინა საზოგადოების დირექტორის ს. ჩ-ის დანაშაულებრივი ფაქტორი, რითაც ზიანი მიადგათ, როგორც სხვა პარტნიორებს, ისე მოსარჩელეს. ამისათვის კი დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, მთელი მისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

30. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ასახულა 2002 წლის 24 ივლისის შედარების აქტი, რომლის მიხედვით დადგენილია, რომ პარტნიორებს მოგებიდან დააკლდათ დივიდენდები და ეს თანხა კომპანიის დირექტორმა წლიურ დეკლარაციაში ასახა, როგორც უიმედო ვალი. აუდიტორები კი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ 28 752 ლარი, როგორც უიმედო ვალი 2007 წლის წლიურ დეკლარაციაში გამოქვითულია სათანადო დასაბუთების გარეშე და ექვემდებარება აღდგენას ამავე წლის მოგების ანგარიშ-

ზე.

31. კასატორის განცხადებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა შემოწმება, რომელმაც დადო იგივე შედეგი, რაც ა. შ-ას მიერ დანიშნულმა აუდიტორმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ს. ჩ-ი პირდაპირ და უშუალოდ პასუხისმგებელია ორგანიზაციისათვის მიყენებულ ზიანზე ა. შ-ასა და პარტნიორებზე დივიდენდების არასწორად დარიცხვის გამო.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 მაისის განჩინებით ა. შ-ას საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. შ-ას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

35. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

36. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ პარტნიორს აღძრული ჰქონდა სარჩელი შპს-ს დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დირექტორის მიერ პარტნიორთა

კრებისათვის არასწორი წლიური ანგარიშებისა და არასწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის გამო, რამაც პარტნიორთა კრების მიერ წლების განმავლობაში დივიდენდების ნაკლები ოდენობით განაწილება გამოიწვია.

37. სარჩელზე შესაგებელი დირექტორის ნაცვლად წარადგინა თავად სანარმომ, ხოლო პარტნიორის სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა, როგორც სანარმოს მიმართ დივიდენდის მოთხოვნა.

38. მოთხოვნის ასეთი ტრანსფორმაციის არამართებულობის ან მოპასუხის არასათანადოობის შესახებ მოსარჩელეს არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო საჩივარში მიუთითებია. შესაბამისად, როგორც პირველ, ისე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა წარმართა მოპასუხე შპს „ს-ის“ მიმართ დივიდენდის გაცემის მოთხოვნით.

39. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში კასატორი აღნიშნულ ფაქტზე, როგორც დარღვევაზე, არც საკასაციო საჩივარში უთითებს.

40. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მართებულობა დივიდენდის გაცემის თაობაზე სანარმოს მიმართ. მიუხედავად, აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს, გააკეთოს ზოგიერთი განმარტება სარჩელში მითითებულ თავდაპირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

41. როგორც უკვე აღინიშნა, პარტნიორს აღძრული ჰქონდა სარჩელი შპს-ს დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დირექტორის მიერ პარტნიორთა კრებისათვის არასწორი წლიური ანგარიშებისა და არასწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის გამო, რამაც პარტნიორთა კრების მიერ წლების განმავლობაში დივიდენდების ნაკლები ოდენობით განაწილება გამოიწვია. პარტნიორი მიუღებელი შემოსავლის სახით ითხოვდა იმ დივიდენდს, რომელიც მისი მითითებით სანარმოს დირექტორის მიერ საკუთარი მოვალეობების დარღვევის შედეგად პარტნიორებზე არ განაწილდა.

42. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კომპანიის დირექტორს აკისრია

განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება „ფიდუციური მოვალეობები“, და სხვასთან ერთად მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

43. ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს „მენარმეთა შესახებ“ კანონის იმავე 9.6 მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

44. შესაბამისად, თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების (ზრუნვის ან ერთგულების მოვალეობის) დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა („მენარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5), თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირდაპირ მისთვის, მიყენებულ ზიანზე.

45. მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის წინააღმდეგ პარტნიორმა სარჩელი აღძრა საკუთარი სახელით და მიუთითებდა უშუალოდ მის მიმართ მიყენებულ ზიანზე. პარტნიორი ზიანად მიიჩნევდა სანარმოს მიერ გაუცემელ დივიდენდს, რომელსაც, მისი მითითებით, საზოგადოების პარტნიორთა კრება გასცემდა დირექტორის მიერ სწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ასეთი სახით, პარტნიორის მოთხოვნას დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

46. პარტნიორის მოთხოვნა დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაშიც, თუ მას

განვიხილავთ, როგორც მოთხოვნას საწარმოს მიმართ.

47. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. ანალოგიური პრინციპია დადგენილი მოცემულ შემთხვევაში შპს „ს-ის“ წესდებითაც.

48. ამრიგად, როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით, გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას. საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში კი სასამართლო შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს.

49. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, შპს-ს ნებისმიერი პარტნიორი ვალდებულია აღნიშნული საკითხის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, მოსთხოვოს პარტნიორთა კრებას. თუ დივიდენდის განაწილების საკითხის განსახილველად პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ მისი მოთხოვნა საწარმოს მიერ არ კმაყოფილდება, პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რომ სასამართლომ დაავალდებულოს კომპანია მოიწვიოს პარტნიორთა კრება.

50. წინამდებარე საქმეში, თუ პარტნიორის მიერ ჩატარებულია შემოწმებამ დირექტორის მხრიდან პარტნიორთა კრებისათვის არასწორი ფინანსური მონაცემების წარდგენა გამოავლინა, სარჩელის აღძვრამდე პარტნიორის ზემოაღნიშნული ვალდებულება გულისხმობდა საწარმოსათვის პარტნიორთა კრების მოწვევის, შემოწმების შედეგების განხილვისა და დამატებითი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნას.

51. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორმა მართალია წარუდგინა პარტნიორთა კრებას აუდიტის შემონმების შედეგები, მაგრამ მას აღნიშნულ კრებაზე დამატებითი დივიდენდის გაცემის საკითხი არ დაუყენებია (არ იკვეთება პარტნიორთა 2014 წლის 15 აგვისტოს რიგგარეშე კრების ოქმით). პარტნიორთა კრების მიერ არ იქნა გაზიარებული აუდიტის შემონმების შედეგები, თუმცა დამატებითი დივიდენდის გაცემაზე პარტნიორთა მიერ არც დადებითი და არც უარყოფითი გადანყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში კი, როცა არ არსებობს პარტნიორთა კრების რაიმე (დადებითი ან უარყოფითი) გადანყვეტილება დამატებითი დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე, შეუძლებელია სასამართლომ შეამონმოს ჰქონდა თუ არა ადგილი პარტნიორთა კრების მიერ საკუთარი დისკრეციის არამართლობიერ გამოყენებას. ასეთ პირობებში შეუძლებელია, დირექტორის მოქმედებასა და დივიდენდის არგაცემას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენაც, რადგან სასამართლომ რომც გაიზიაროს მოსარჩელის მითითება, რომ შპს-ში დივიდენდის განაწილების დროს პარტნიორთა კრება ეყრდნობოდა დირექტორის მიერ წარდგენილ არასწორ ფინანსურ მონაცემებს, ვერ დგინდება პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ამ მონაცემების წარდგენასა და დივიდენდის ნაკლები ოდენობით გაცემას შორის, რადგან შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, უფრო მეტი ფინანსური რესურსის პირობებში რა გადანყვეტილებას მიიღებდა პარტნიორთა კრება, მიმართავდა თუ არა იგი მთელ მოგებას დივიდენდის გასაცემად, თუ გამოიყენებდა მას სხვა დანიშნულებით.

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია არაკვალიფიციურია.

53. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

54. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. მაგ. სუსგ 2009 წლის 2 ივლისის №ას-75-408-09 განჩინება; სუსგ 2015 წლის 17 დეკემ-

ბრის №ას-863-813-2015 განჩინება, სუსგ 2015 წლის 21 დეკემბრის №ას-378-359-2015 განჩინება, სადაც განმარტებულია საზოგადოების დივიდენდების განაწილებისას სანარმოს პარტნიორთა კრების დისკრეციაში სასამართლოს შეჭრის დასაშვებობა და მისი სამართლებრივი ასპექტები).

55. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

56. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ა. შ-ას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

57. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 833 ლარის 70% – 583.1 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. შ-ას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

2. კასატორ ა. შ-ას (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2015 წლის 27 აპრილს №19 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 833 ლარის 70% – 583.1 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დივიდენდის განაწილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-552-527-2016

6 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის
დივიდენდების განაწილების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. ხ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკა-
საციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს
„ს-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოპასუხე კომპანია“ ან „მო-
პასუხე საწარმო“) და მისი დირექტორის – ც. მ-ის (შემდგომში –
„მოპასუხე კომპანიის დირექტორი“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 30 მაისის №5 პარტნი-
ორთა კრების ოქმის ბათილობა;

1.2. მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა
კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების და-
ვალდებულება.

2. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2.1. მოსარჩელის წილი მოპასუხე კომპანიაში შეადგენს 25%-
ს;

2.2. მოპასუხე კომპანიის დირექტორი არის კომპანიის 75%-
იანი წილის მესაკუთრე.

2.3. 2014 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრებაზე განიხილეს
მოპასუხე კომპანიის 2013 წლის წლიური შედეგები და დივი-
დენდების განაწილების საკითხი. დადგინდა, რომ საწარმოს
2013 წლის გასანაწილებელი მოგება შეადგენდა 32324 ლარს,
მაგრამ არასწორი აღრიცხვიანობის გამო საწარმოს დაერიცხა
დამატებით 20270 ლარი და სანქცია-საურავი 15000 ლარი, რაც
2013 წელს საწარმოს წაგებაზე მიუთითებდა. თუმცა, მოსარჩე-
ლისთვის არ წარუდგენიათ რაიმე საბუთი, რაც დაადასტურებ-
და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების
ფაქტს, რის გამოც, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნუ-

ლი მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს და, შესაბამისად, ბათილია პარტნიორთა კრების ოქმიც. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხე კომპანიის დირექტორს უნდა დაევალოს დივიდენდის განაწილება.

2.4. მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ მას არ ეძლევა საშუალება, გაცნოს საწარმოს საქმიანობასა და ბუღალტრულ დოკუმენტებს.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ 2013 წლის მოგება არ განაწილებულა იმის გამო, რომ ყველა საფინანსო დოკუმენტი, მოსარჩელის საჩივრების საფუძველზე, გადაგზავნილია ფინანსურ პოლიციაში, რაც ხელს უშლის კომპანიის საქმიანობას. ამასთან, საგადასახადო შემონღმების პროექტი შესამონღმებელია. პარტნიორთა კრება დივიდენდების განაწილების შესახებ არ ჩატარებულა და ვერც ჩატარდება მანამ, სანამ სახელმწიფო აუდიტის მიერ არ განხორციელდება საბოლოო ბუღალტრული ექსპერტიზა.

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრების ოქმი №5; მოსარჩელის სარჩელი პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

5. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ყოველი პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრების მოწვევის წესს და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ესარგებლა კანონით დადგენილი პროცედურით.

6. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულებაზე უარის თქმისა და საპროცესო ხარჯების განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწ-

ყვეტილება; მოპასუხე კომპანიას დაევალა მოსარჩელეზე 2013 წლის დივიდენდის სახით 8081 ლარის გაცემა.

8. სააპელაციო პალატამ მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 30 მაისის №5 პარტნიორთა კრების ოქმით დაადგინა, რომ 2013 წელს სანარმოს წმინდა მოგებამ შეადგინა 37 198 ლარი, ხარჯები, რომელიც არ გამოიქვითა, 4 874 ლარი იყო, ხოლო საფინანსო მოგება – 32 324 ლარი.

9. სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხე კომპანიაში მოსარჩელის წილი შეადგენს 25%-ს.

10. სააპელაციო პალატამ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, 44-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 46-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ სამენარმეო სუბიექტის დაფუძნების მიზანია მოგების მიღება; პარტნიორის ინტერესიც, როდესაც იგი ხდება სანარმოს განსაზღვრული წილის მესაკუთრე, არის სწორედ სანარმოს მოგებიდან მისი წილის პროპორციული მოგების მიღება დივიდენდის სახით. სხვა სიტყვებით, სანარმოს მიერ მიღებული მოგების შესაბამის წილზე პარტნიორს წარმოეშობა საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს ეფუძნებოდა და განმარტა, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებულია პარტნიორთა კრების უფლება და შესაძლებლობა, გაანაწილოს დივიდენდი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონი არ შეიცავს მოთხოვნას, რომ დივიდენდი აუცილებლად უნდა განაწილდეს მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის ასეთი განმარტება უსამართლო და არაპროპორციულად შემზღუდველი იქნებოდა ამ სიტუაციაში, როდესაც ცალსახა იყო, რომ სანარმოს დომინანტი (75% წილის მესაკუთრე) პარტნიორი, კანონით გაუთვალისწინებელ საფუძველზე (სანარმოში 2013 წელს მოგება არ დადგინდა, რადგან სანარმოში მიმდინარეობდა აუდიტორული შემოწმება, შესაბამისად, არ მომხდარა მისი განაწილება) მითითებით, არ იღებდა გადაწყვეტილებას 2013 წელს სანარმოს მიერ მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე, რითაც უკანონოდ იზღუდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება სანარ-

მოს მიერ მიღებული მოგების 25%-ზე (რაც შეადგენდა სწორედ 32324 ლარს, 25%-ი კი 8081 ლარი იყო).

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხე კომპანიამ და მისმა დირექტორმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით მოპასუხე კომპანიისა და მისი დირექტორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 9¹ მუხლის პირველ, მე-2, მე-5, მე-6 და მე-10 პუნქტებზე და უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს კრების მოწვევის უფლებამოსილებით არ უსარგებლია, არ განუსაზღვრავს დღის წესრიგი, არ გაუგზავნია იგი პარტნიორებისათვის. გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, მიეღო გადაწყვეტილება მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე ანუ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო სანარმოს შიდა-სამეურნეო საქმიანობაში.

16. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, განმარტა, რომ კანონი არ შეიცავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით.

17. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებული წესდების მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო არის პარტნიორთა კრება (6.1. მუხლი), რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მათ შორის წლიური შედეგების დამტკიცებისა და შედეგების გამოყენებაზე (6.7.7. მუხლი),

ხოლო მე-8 მუხლით დივიდენდი ნაწილდება შესაბამისად, ყოველი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით (8.2. მუხლი).

18. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეტციას წარმოადგენდა და მასზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვერ მიიღებდა.

19. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის საჩივრების საფუძველზე მიმდინარეობდა საზოგადოების შემოწმება, რომლის დასრულების შემდეგ გაირკვეოდა, მიიღო თუ არა საზოგადოებამ გასანაწილებელი მოგება.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო და უნდა დარჩენილიყო უცვლელად.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შემცირებული და დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევის დავალებულება შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

22. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

22.1. კასატორის განმარტებით, მან სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის სხდომაზე შეამცირა და დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია დაზუსტებულ მოთხოვნაზე. კერძოდ, მოსარჩელემ განაცხადა, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორს უნდა დავალებოდა პარტნიორთა კრების მოწვევა დივიდენდთან დაკავშირებით, თუმცა არ მოუთხოვია, რომ სასამართლოს პირდაპირ დაევალებულიყვნინა დირექტორი დივიდენდის აუცილებლად განაწილების თაობაზე, როგორც ეს თავდაპირველად ჰქონდა მოთხოვნილი, არამედ მოსაწვევე სხდომაზე უნდა ემსჯელათ, დარჩა თუ არა საწარმოს რეალურად მოგება და, თუ დადგინდებოდა მოგების არსებობა, მხოლოდ ამის შემდეგ გა-

ნიხილავდნენ დივიდენდის განაწილების საკითხს;

22.2. სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ საკითხზე, თუ რატომ უნდა მოეწვია კასატორს აუცილებლად კრება და რატომ არ შეიძლებოდა კრების მოწვევის საზოგადოების დირექტორისათვის დავალდებულება, მაშინ როდესაც დივიდენდების განაწილების საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია წლიური ანგარიშის შედგენასა და მოგება-არმოგების დადგენასთან, ხოლო წლიური ანგარიშის შედგენა უშუალოდ დირექტორის ვალდებულებას წარმოადგენს. თუ დირექტორმა არ შეადგინა წლიური ანგარიში, ანგარიშის განხილვა-დამტკიცებაზე კრების მოწვევას აზრი ეკარგება. დირექტორს კი არ შეუსრულებია ვალდებულება და არ შეუდგენია 2013 წლის ანგარიში. ხოლო, თუ სასამართლო დაავალებს დირექტორს ამ საკითხზე კრების მოწვევას, მაშინ იგი იძულებული გახდება, რომ წლიური ანგარიში შეადგინოს. კასატორის განმარტებით, მოპასუხე კომპანიის დირექტორს 2013 წლის წლიური ანგარიში უნდა გაემზადებინა 2014 წლის 1 აპრილს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს დაწყებული საგადასახადო შემონმება დასრულდა 2014 წლის 27 აგვისტოს და საზოგადოებას 2014 წლის 1 სექტემბრის საგადასახადო მოთხოვნით დამატებით გადასახდეულად, ჯარიმა-საურავიანად, სულ დაერიცხა 23903 ლარი, მოპასუხე კომპანიის დირექტორს მაინც არ შეუდგენია 2013 წლის წლიური ანგარიში.

22.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და საერთოდ არ იმსჯელა იმ მითითებებზე, რომლებიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით მისცა მას, კერძოდ, არ გამოიკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველზე-

ბის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილდეს.

26. საკასაციო სასამართლოს შემომწმების საგანია სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება, რომელიც შეეხება მოპასუხე საწარმოს პარტნიორთა შორის წლიური მოგების დივიდენდის სახით განაწილების საკითხს.

27. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა განიხილავს კასატორის იმ პრეტენზიას, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაზე.

28. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2016 წლის 19 აპრილის სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მონვევის დავალდებულება შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების შესახებ გადანყვეტილების მიღება (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის სხდომის ოქმი, 12:36:25).

29. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებაზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს კრების მონვევის უფლებამოსილებით არ უსარგებლია, არ განუსაზღვრავს დღის წესრიგი, არ გაუფზავნია იგი პარტნიორებისათვის და, გამომდინარე აქედან, სასამართლოს არ აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხე კომპანიაში პარტნიორთა კრების მონვევისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე ანუ სასამართლოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს საწარმოს შიდასამეურნეო საქმიანობაში.

30. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ფაქტობრივად არ პასუხობს დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნას, რადგან, როგორც მოცემული განჩინების 28-ე პუნქტშია მითითებული, მოსარჩელე საქმის სააპელაციო წესით განხილვისას არ მოითხოვდა და 2013 წლის მოგების აუცილებლად განაწილებას, არამედ მის მოთხოვნას შეადგენდა 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მხოლოდ მოგების არსებობის შემთხვევაში,

მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების თაობაზე გადანყვეტილების მიღება.

31. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დაზუსტებისას დაცულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე და 381-ე მუხლების მოთხოვნები, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას მოსარჩელეს არ შეუძვლია დავის საგანი და არც დავის საგნის გადიდება აქვს ადგილი.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

33. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერებაზე მოსარჩელის დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით.

34. განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ პარტნიორთა კრებას არ მიუღია გადანყვეტილება 2013 წლის წლიური მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე.

35. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება (სუსგ №ას-1328-1170-2010, 2011 წლის 6 ივნისი).

36. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დივიდენდის განაწილების საკითხს არეგულირებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა საერთო კრების გადანყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური მოგებისა და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. დივიდენდი უნდა გაიცეს წესდებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოგების განაწილების შესახებ შესაბამისი გადანყვეტილების მიღებიდან 9 თვისა.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საწარმოს წლიური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ გადანყვეტილების მიღება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადანყვეტილების მი-

ლებს უფლებამოსილებას.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოში წლიური მოგების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მოგების დივიდენდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მენარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანს სწორედ მოგების მიღება წარმოადგენს და პარტნიორებს გააჩნიათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ მოგების არსებობის შემთხვევაში მიიღებენ დივიდენდებს, პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღებას უნდა ჰქონდეს ასევე ლეგიტიმური სამენარმეო მიზანი და სწორედ აღნიშნული მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას.

39. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს (იხ. სუსგ №ას-378-359-2015, 2015 წლის 21 დეკემბერი; №ას-457-436-2015, 2016 წლის 6 ივნისი).

40. მოპასუხე კომპანია შესაგებელში უთითებს, რომ პარტნიორთა კრებაზე დივიდენდები არ განაწილებულა, რადგან ყველა საფინანსო დოკუმენტი, მოსარჩელის საჩივრების საფუძველზე, გადაგზავნილია ფინანსურ პოლიციაში, რაც ხელს უშლის კომპანიის საქმიანობას.

41. მოპასუხის ზემოაღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი

მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

42. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომლებიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ეკისრება სასარჩელო განცხადებაში მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადასწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურსამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

43. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არ არსებობს იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ საფინანსო დოკუმენტების ფინანსურ პოლიციაში გადაგზავნა წარმოადგენს პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ხელის შემშლელ ფაქტორს. საკასაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსი გამომძიებლის – დ. ჭ-ს მიერ 2013 წლის 19 სექტემბერს გაცემული №... წერილი, რომლის თანახმად, საგამოძიებო ორგანოს მიერ მოპასუხე საწარმოდან ამოღებულ საბუღალტრო დოკუმენტებზე მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება, ხოლო იმ კითხვასთან დაკავშირებით – შეუძლია თუ არა საგამოძიებო ორგანოს გამოძიების დასრულებამდე შეაფერხოს მოპასუხე კომპანიაში დივიდენდების განაწილება, განმარტებულია, რომ ასეთი უფლებამოსილება საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ... სამმართველოს ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით არ შეუზღუდავს. პარტნიორებს შორის დივიდენდების განაწილება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

44. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 30 მაისის №5 პარტნიორთა კრების ოქმზე, რომლის თანახმად, 2013 წლის წლიური ანგარიშისა და დი-

ვიდენდის განაწილების საკითხის განხილვისას საწარმოს ბუღალტერმა კრებას მოახსენა, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა საგადასახადო მოგებამ შეადგინა 43762 ლარი, წმინდა მოგებამ – 37198 ლარი, ხოლო საფინანსო მოგებამ – 32 324 ლარი. მისი განმარტებით, საგადასახადო შემონმების პროექტით საწარმოს ერიცხება 20270 ლარი საურავების გარეშე, ხოლო საურავების რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 15000 ლარს; საგადასახადო შემონმების პროექტი გასაჩივრებულია, განხილვა ჯერ არ დასრულებულა და უცნობია, თუ რა შედეგით დამთავრდება იგი.

45. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ კრების ოქმთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 30 მაისის №5 პარტნიორთა კრების ოქმი ბათილად ცნო და ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

46. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათილად ცნობილ კრების ოქმში საწარმოს ბუღალტრის განმარტება კრების ჩატარების პერიოდისთვის საგადასახადო დავალიანების არსებობის თაობაზე საქმის მასალებით არ დასტურდება.

47. საქმეში არსებობს 2014 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის №38763 ბრძანება, რომლის თანახმად, მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 27 აგვისტოს კამერალური საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე, მოპასუხე საწარმოს, საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხა სულ 16221 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 10800 ლარი, ჯარიმა – 5421 ლარი.

48. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებით ვერ დასტურდება პარტნიორთა კრების ჩატარებისას ანუ 2014 წლის 30 მაისისთვის საწარმოზე საგადასახადო დავალიანების დარიცხვის ფაქტი.

49. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები (სუსგ №ას-1063-1018-2014, 2015 წლის 8 აპრილი). სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. ნებისმიერი დავის

განხილვისას სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ამონმებს თავად კრების გადაწყვეტილებას შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა დადგინდეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება (სუსგ №ას-1101-1037-2015, 2016 წლის 27 სექტემბერი).

50. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ 2013 წლის წლიური მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღება მიუთითებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ისეთი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, დაადასტურებდა მის მიერ შესაგებელში მითითებულ გარემოებებს, მოპასუხე მხარემ მოსარჩელის კვალიფიციური სარჩელის საპირისპიროდ ვერ მიუთითა პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღების ლეგიტიმურ სამეწარმეო მიზანზე, რითაც უსაფუძვლოდ შეზღუდა პარტნიორის ქონებრივი უფლება დივიდენდის მიღებაზე.

51. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს, როგორც პარტნიორს, არ უსარგებლია კრების მონვევის უფლებამოსილებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოპასუხე კომპანიის წესდების 8.1. და 8.2. პუნქტებზე, რომელთა თანახმად, საზოგადოების წლიურ ანგარიშს ადგენს გენერალური დირექტორი სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 (სამი) თვის ვადაში. დივიდენდი ნაწილდება შესაბამისად, ყოველი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით. ამავე წესდების 6.7. და 6.7.7. პუნქტების თანახმად, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს წლიური შედეგების დამტკიცებისა და შედეგების გამოყენების თაობაზე.

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოპასუხე კომპანიის წესდების თანახმად, დირექტორის ვალდებულებას წარმოადგენს საზოგადოების წლიური ანგარიშის შედგენა, ამასთან – სამეურნეო წლის

დამთავრებიდან 3 თვის ვადაში. შესაბამისად, მოპასუხე კომპანიის დირექტორს წლიური ანგარიში უნდა შეედგინა 2014 წლის მარტის თვის ბოლომდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დირექტორს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია.

53. იმის გათვალისწინებით, რომ დივიდენდი ნაწილდება სწორედ სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით, მითითება იმის თაობაზე, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით თავად პარტნიორია უფლებამოსილი მოიწვიოს კრება, არ არის მართებული და საკმარისი, რადგან დირექტორის მიერ 2013 წლის ანგარიშის შედგენის გარეშე პარტნიორის მიერ კრების მოწვევა არ იქნება შედეგის მომცემი და მისი უფლება დივიდენდის მიღებაზე ვერ იქნება რეალიზებული.

54. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

55. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე კომპანიის დირექტორს დაევალოს პარტნიორთა კრების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

56. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან

ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები (2014 წლის 1 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა; შპს „ს-ს“ მიერ 2016 წლის 3 მაისს გაცემული ცნობა 2012-2015 წლებში შპს „ს-ს“ შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის შესახებ) მთლიანობაში „05“ ფურცლად.

57. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

58. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 970,74 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ს-ს“ დირექტორს დაევალოს პარტნიორთა კრების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილე-

ბა-არგანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

5. შპს „ს-ს“ (ს/კ: ...) დ. ხ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს დ. ხ-ის მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 970.74 ლარის გადახდა;

6. კასატორ დ. ხ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2014 წლის 1 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა; შპს „ს-ს“ მიერ 2016 წლის 3 მაისს გაცემული ცნობა 2012-2015 წლებში შპს „ს-ს“ შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის შესახებ), მთლიანობაში „05“ ფურცლად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებთან ურთიერთობის რეგულირება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-693-664-2016

13 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ჭ-მა (შემდგომში „მოსარჩელე“, „საკასაციო საჩივრის ავტორი“ ან „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა მისი ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 30 ნოემბრის №49 1516 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

2. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე 2014 წლის 12 სექტემბრიდან მოპასუხის №842 ბრძანებით დაინიშნა ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ დირექტორის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური სარგო შეადგენდა 1000 ლარს. მოპასუხის 2015 წლის 30 ნოემბრის №49 1516 ბრძანებით იგი უკანონოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მოსარჩელის განმარტებით, განთავისუფლების მიზეზად ბრძანებაში მითითებულ ფაქტს – „ქმედებაში ეთიკის ნორმების, ქცევის სტანდარტების დარღვევა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, რითაც არსებითი ზიანი მიადგა საჯარო ინტერესებს“ – ადგილი არ ჰქონია.

3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოე-

ბის მასალებიდან არ ირკვევა და აღნიშნულ წარმოებაში მონა-
წილე პირმა – ვ. ჭ-მაც ვერ დაადასტურა, რომ მან ჩაიღინა ისე-
თი ქმედება, რომელიც შელახავდა ეთიკის ნორმებს და იქნებო-
და ქცევის სტანდარტთან შეუსაბამო. ამასთან, მოპასუხე მო-
სარჩელის სამსახურიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით
გადანწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნო მხოლოდ ვ.
ჭ-ის ახსნა-განმარტებას. არასწორია იმის მტკიცებაც, რომ თით-
ქოს მან სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებაში
ხელი შეუშალა ვ. ჭ-ს და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩე-
ლესა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუ-
ტატ ვ. ჭ-ს შორის, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარეა, მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება ამ უკანას-
კნელის სამუშაო ოთახში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკ-
რებულოში. დაპირისპირება შეეხებოდა ვ. ჭ-ის, როგორც დეპუ-
ტატის, გამონათქვამებს მოსარჩელის მიმართ ა(ა)იპ „ხარაგა-
ულ კეთილმოწყობის“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის
პერიოდში არსებული ხარვეზების შესახებ. ვ. ჭ-მა საკითხის გან-
სახილველად მიმართა პოლიციასა და მოპასუხეს. მისი განცხა-
დების საფუძველზე მოპასუხემ დაიწყო ადმინისტრაციული
წარმოება, გამოიკითხნენ მხარეები და მიღებულ იქნა გადან-
ყვეტილება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შე-
სახებ.

5. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის სამსახურიდან გა-
თავისუფლება გამონვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი არა-
კორექტული ქცევით, ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც,
რომ მოსარჩელე დანიშნული იყო თვითმმართველი ერთეულის
მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის დირექტორად და მას ევალეზობდა მუნიციპალიტეტის
სხვა თანამდებობის პირებთან ურთიერთობაში ქცევის წესე-
ბის დაცვა.

6. მოპასუხის განმარტებით, მას მიმართა საკრებულოს დე-
პუტატთა უმრავლესობამ, რათა შეესწავლა მოსარჩელესა და
ვ. ჭ-ს შორის არსებული დაპირისპირების ფაქტები და გაეტარე-
ბინა შესაბამისი ზომები. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნულ-
მა დაპირისპირებამ შეაფერხა ბიუჯეტის მიღება და მუნიციპა-
ლიტეტისათვის სხვა აქტუალური საკითხების გადანწყვეტა. მო-
პასუხემ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელეს მიმდინარე წლის გან-
მავლობაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და-
კავშირებით მიღებული ჰქონდა 2 გაფრთხილება (ერთი – სიტ-
ყვიერი და ერთიც – წერილობითი), ხოლო ვ. ჭ-თან დაკავშირე-

ბით კი მინიმუმ სამჯერ მაინც იქნა სიტყვიერად გაფრთხილებული, რათა არ ჩარეულიყო დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებაში.

7. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის 2015 წლის 30 ნოემბრის №49 1516 ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა 2015 წლის 30 ნოემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

8. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 იანვრის №5 განკარგულებით დაფუძნდა ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმონყობა“, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

11. 2014 წლის 12 სექტემბრიდან, მოპასუხის №842 ბრძანებით, ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმონყობის“ დირექტორის თანამდებობაზე დანიშნა მოსარჩელე და მის ყოველთვიური სახელფასო სარგოდ განისაზღვრა 1000 ლარი.

12. საწარმოს წესდების თანახმად, ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმონყობის“ საქმიანობაზე ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საწარმოს დირექტორის მოვალეობებს შეადგენდა: ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვა და ორგანიზება, ორგანიზაციის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებლობა, გარიგებების დადება, წარმომადგენლობა ნებისმიერ ინსტანციაში, პასუხისმგებლობა ფულადი პოლიტიკის გატარებასა და სწორად ხარჯვაზე, თანამშრომელთა დანიშვნა, წახალისება, დისციპლინუ-

ლი პასუხისმგებლობის დაკისრება, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის პროექტების წარდგენა, წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კანონით მინიჭებული სხვა მოქმედებების განხორციელება.

13. მოპასუხის 2015 წლის 30 ნოემბრის №49 1516 ბრძანებით მოსარჩელე 2015 წლის 30 ნოემბრიდან განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან მის ქმედებაში ეთიკის ნორმების, ქცევის სტანდარტების დარღვევისა და დაკავებულ თანამდებობასთან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობის მოტივით. მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვ. ჭ-ის განცხადება 2015 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელის მხრიდან ვ. ჭ-ის მიმართ შეურაცხყოფის თაობაზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად შედგენილი დასკვნა.

14. მოპასუხის მიერ ვ. ჭ-ის განცხადებასთან დაკავშირებით მოკვლევა განხორციელდა 2015 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე, რა დროსაც მოისმინეს ვ. ჭ-ისა და მოსარჩელის მოსაზრებები 2015 წლის 20 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის შესახებ. დასკვნაში დაფიქსირდა, რომ მოსარჩელის მიერ ადგილი ჰქონდა ეთიკის ნორმების დარღვევას, რაც ადასტურებდა მისი პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას დაკავებულ თანამდებობასთან.

15. სააპელაციო პალატამ დამატებით დაადგინა, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა – დ. კ-ემ, გ. გ-მა, ვ. თ-მა, მ. ბ-ემ, დ. ლ-მა, გ. თ-ემ და ნ. ზ-მა განმარტეს, 2015 წლის 20 ოქტომბრის ინციდენტს ისინი არ შესწრებიან, თუმცა დაადასტურეს ამ ინციდენტიდან გამომდინარე საკრებულოს სხდომების ჩაშლის ფაქტი. ამასთან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ნოემბრის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმით სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ კომიტეტის სხდომა, სადაც იხილებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია – შეწყდა. სხდომის შეწყვეტის მიზეზი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა, რეაგირება მოეხდინა 2015 წლის 20 ოქტომბერს ვ. ჭ-სა და მოსარჩელეს შორის მომხდარ ინციდენტზე.

16. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული ურ-

თიერთობის შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების ანალიზის შედეგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარმე სუბიექტების ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილების შეწყვეტის მატერიალურ საფუძველს ინტერესთა კონფლიქტი და საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს. ზემოთ მითითებული ნორმებისა და ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ წესდების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას და მათ უფლება აქვთ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ დირექტორები სამუშაოდან.

17. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოების დირექტორებიდან პირის გათავისუფლებისას შრომის კოდექსის ნორმები არ უნდა იქნას გამოყენებული, ვინაიდან ამ თანამდებობის პირთა გათავისუფლებაში დაყოვნებამ, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე, შეიძლება საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. ასეთ ვითარებაში შრომის სამართლის იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს განსაზღვრავს (წინასწარი გაფრთხილება გათავისუფლების თაობაზე და სხვა) მიზანშეუწონელია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საზოგადოების დირექტორთა სპეციფიური სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მათი მუშა-მოსამსახურეებთან გათანაბრება გაუმართლებელია და საზოგადოებას და დირექტორს შორის შრომითი ურთიერთობა მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს.

18. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის განჩინებაზე (საქმე №ას-23-23-2016) და აღნიშნა, რომ შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, ხოლო დირექტორი წარმოადგენს მენარმეს და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს „მენარმეთა შესახებ“ კანონით. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება, რომ მოპასუხის მიერ ბრძანების გამოცემისას დარღვეული იყო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტის და საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მოთხოვნები, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის

30 ნოემბრის №49 1516 ბრძანების მართლსაწინააღმდეგო გარიგებად მიჩნევისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი გახდა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არასწორი იყო.

19. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე, 105-ე მუხლებით და საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების: მოპასუხისადმი მოსარჩელის წერილობითი ახსნა-განმარტების, მოპასუხის მიერ 2015 წლის 20 ოქტომბრის ინციდენტთან დაკავშირებით ჩატარებული სხდომის ოქმისა და ამ სხდომაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტების, მოპასუხისადმი ვ. ჭ-ის განცხადების, მოპასუხის 2015 წლის 16 აპრილის ბრძანების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ნოემბრის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმის, 2015 წლის 20 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შსს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში ჩატარებული მოკვლევის მასალების (გამოკითხვის ოქმები) შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მოსარჩელის, როგორც დირექტორის მიერ, პარტნიორის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ არამართლზომიერ და ეთიკის ნორმებთან შეუსაბამო მოქმედებებს, რაც გამოიხატა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთან (დეპუტატთან) მის სამუშაო ოთახში პირადი დაპირისპირების საფუძველზე კონფლიქტური სიტუაციის შექმნასა და პატივისა და პროფესიული საქმიანობის შემლახავი სიტყვებით მიმართვაში, რამაც გამოიწვია საკრებულოს სხდომების ჩაშლა და პარტნიორის საქმიანობის შეფერხება, ასევე, საფრთხე შეექმნა მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და სხვა საჯარო ინტერესებს.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლისა და ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ წესდების თანახმად, საზოგადოების პარტნიორი – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს მმართველობით უფლებამოსილებას, ადგენს საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, რამეთუ სწორედ პარტნიორია საზოგადოების ქონების მესაკუთრე და მის ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური განვითარება. დირექტორი კი არის პარტნიორის მიერ შემუშავებული სამეურნეო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავარი ფიგურა, რომელიც ვალდებულია თავისი მოვალეობა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. ამრიგად, კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსარჩელეს, როგორც ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილ-

მონყობის“ დირექტორს, უფლება არ ჰქონდა პირადად, კონფლიქტური სიტუაციისა და უხეში დაპირისპირების შექმნით მოეთხოვა განმარტებები მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატისაგან, დეპუტატის უფლებამოსილების ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებებზე, მით უფრო, ისეთ საკითხებზე, რაც მის (დეპუტატის) კომპეტენციას არ წარმოადგენდა და მოპასუხის, როგორც პარტნიორის, უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა.

21. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საზოგადოების პარტნიორსა და დირექტორს შორის ურთიერთობა, უპირველესად, უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას. დირექტორსა და პარტნიორს შორის უთანხმოების შემთხვევაში, სამენარმეო უნარჩვევებით აღჭურვილ საზოგადოების ხელმძღვანელთანაც კი შრომითი ურთიერთობის გაგრძელება გაუმართლებელია.

22. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას, ისეთი მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც არის მოსარჩელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და დამფუძნებელი პარტნიორის ნების სანინააღმდეგო და არაეთიკური მოქმედებების განხორციელება, საკმარის საფუძველს წარმოადგენდა პარტნიორის მიერ დირექტორის სამუშაოდან განთავისუფლებისათვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც მიჩნეული იქნა, რომ ამ ქმედებისათვის მოსარჩელის მიმართ გატარებული დისციპლინური ღონისძიება – სამუშაოდან განთავისუფლება – არაადეკვატური იყო მის მიერ ჩადენილი გადაცდომის მიმართ.

23. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ განთავისუფლების საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არასწორი იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები, რაც გააქარწყლებდა სასამართლო სხდომაზე დამტკიცებულ ყველა ფაქტს, არ არსებობდა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

24. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

25. კასატორის განცხადებით, მოპასუხის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად 2015 წლის 30 ნოემბერს მიღებული დასკვნა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ კანონსაწინააღმდეგო იყო, რადგან განთავისუფლების მიზეზად მითითებულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ბრძანების გამოცემისას მოპასუხე დაეყრდნო მხოლოდ ვ. ჭ-ის ახსნა-განმარტებას, რომელმაც ვერ დაადასტურა, რომ თითქოს მას კასატორმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში შეუშალა ხელი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. კასატორის განმარტებით, მასსა და ვ. ჭ-ს შორის საუბარი არ გასცდენია ეთიკის ფარგლებს და, მითუმეტეს, კასატორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ვ. ჭ-ისთვის სადეკუტატო უფლებამოსილებისათვის ხელის შეშლას, ვინაიდან აღნიშნული საუბარი შედგა 19:00 საათზე, არასამუშაო დროს. საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ მოსარჩელე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მივიდა ვ. ჭ-ის სამუშაო კაბინეტში, მიმართა მას უცენზურო სიტყვებით და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ფაქტის თვითმხილველები არ არიან და მხოლოდ ვ. ჭ-ის გადმოცემით იციან, რომ ადგილი ჰქონდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მოსარჩელის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას. საქართველოს შსს ხარაგაულის რაიონული სამმართველოდან წარდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ვ. ჭ-მა 2015 წლის 20 ოქტომბერს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ხარაგაულის რაიონულ სამმართველოს მიმართა 2015 წლის 21 ოქტომბერს, შედგა გასაუბრების ოქმები და მოსარჩელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო.

26. საკასაციო საჩივრის ავტორის განცხადებით, მოპასუხის მიერ გატარებული დისციპლინური ღონისძიება არაადეკვატურია მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით.

27. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის მიმართ სასამართლომ არასწორად გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, მ. ჭ-

ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

31. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

32. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია მოსარჩელის ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 ნოემბრის №49 1516 ბრძანების მართლზომიერება და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, როგორცაა სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმპერატიული ჩანაწერის შესაბამისად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. აღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლება-

მოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

34. აქედან გამომდინარე, დირექტორის მიერ საზოგადოების ნებასთან დაპირისპირებაში ყოფნა ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნევა. სწორედ დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი საზოგადოებას უფლება აქვს გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა გავრცელდეს (იხ. სუსგ საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი).

35. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „...საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, გასწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს... ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მეწარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს

ურთიერთობა ახლოს. მსგავს მონესრიგებას შეიცავს ამ კუთხით სამოქალაქო კოდექსის 35.2 და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 მუხლები. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არაერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკაცო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მონესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ასევე გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც

საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა შრომის უფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შევბუღებაზე და სხვა, რაც, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნას მოწესრიგებული არასამენარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით“ (იხ. სუსგ საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი).

36. ზემოაღნიშნულ ნორმათა განმარტებების შეჯერების საფუძველზე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა აღარ არსებობს, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს დირექტორის მხრიდან საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო, არაეთიკური მოქმედებების განხორციელებაში.

37. განსახილველ შემთხვევაში სადავო საზოგადოების დირექტორის მიერ განხორციელებული ქცევის შესაბამისობა საზოგადოების ინტერესებთან. კასატორი მიიჩნევს, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება კანონსაწინააღმდეგოა, რადგან განთავისუფლების მიზეზად მითითებულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე და დადგენილია, რომ მხარე, რომელიც მისი სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვას მოითხოვს, ვალდებულია, სარწმუნოდ დაადასტუროს და თავადვე წარადგინოს მისი მოთხოვნის მართებულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

39. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით ამოწურავადა რეგლამენტირებული მხარის საპროცესო უფლებები და აღნიშნულია მის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის აუცილებლობის თაობაზე. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია მტკიცების სტანდარტი და დადგენილია მხარეთა შორის მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცების განაწილების წესი. კანონის დასახელებული ნორმების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომ-

ლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

40. კანონმდებლის აღნიშნული მითითებები ემყარება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგანაც შეჯიბრებითი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფარგლებში სასამართლო მხოლოდ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში ადგენს ფაქტებს და ახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას.

41. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით.

42. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

43. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელესა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატ ვ. ჭს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება ამ უკანასკნელის სამუშაო ოთახში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. საუბარი შეეხებოდა ვ. ჭს-ის მიერ სადეპუტატო უფლებამოსილების ფარგლებში გაკეთებულ განცხადებს ბაზალეთის ტერიტორიულ ერთეულში ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის თანხის ჩარიცხვასთან, ასე-

ვე ა(ა)იპ ხარაგაულის კეთილმოწყობისათვის შენობისა და ავტომანქანის გადაცემასთან დაკავშირებით, რაზეც ვ. ჭ-ს, როგორც საკრებულოს დეპუტატს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოთქმული ჰქონდა უარყოფითი მოსაზრებები, თუმცა აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ვ. ჭ-ის კომპეტენციაში არ შედიოდა და საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა; აღნიშნული შეხვედრა მხარეთა შორის დაპირისპირებასა და ხმამაღალ ყვირილში გადაიზარდა, რის გამოც სამგზის არ შედგა საკრებულოს სხდომა და ვერ განიხილეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო მუშაობის 9 თვის შედეგები, 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და სხვა მიმდინარე საკითხები; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატთა ჯგუფმა განცხადებით მიმართა გამგებელს და მოითხოვა შესაბამისი ზომების მიღება აღნიშნული ინციდენტის გამო. სწორედ აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის შედეგები და თავად დეპუტატ ვ. ჭ-ის განცხადება დაედო საფუძვლად მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას; საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელეს ერთი წლის განმავლობაში მოპასუხისგან მიღებული აქვს ერთი ნერილობითი და ერთი სიტყვიერი გაფრთხილება იმ მიზეზით, რომ არ გაითვალისწინა მოპასუხის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია საზოგადოების წესდებაში ცვლილებებთან დაკავშირებით.

44. სასამართლოს მიერ დადგენილი, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსარჩელის, როგორც საზოგადოების დირექტორის მიერ, საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ არამართლზომიერ და ეთიკის ნორმებთან შეუსაბამო მოქმედებებს (რაც გამოიხატა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთან (დეპუტატთან) მის მიერ კონფლიქტური სიტუაციის შექმნაში, რამაც გამოიწვია საკრებულოს სხდომების ჩაშლა და პარტნიორის საქმიანობის შეფერხება, ასევე, საფრთხე შეექმნა მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და სხვა საჯარო ინტერესებს). ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული მასალებით დგინდება მოსარჩელის მიერ ორგანიზაციის ნების საწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელების ფაქტი, კასატორის პრეტენზია, რომ გათავისუფლების ბრძანების საფუძვლად მითითებულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ვერ მიიჩნევა იმგვარ სა-

კასაცხო შედავებად (პრეტენზიად), რაც ზემოაღნიშნული დადგენილი გარემოებების სასამართლოს მიერ მტკიცებულების სახით გაზიარების შესაძლებლობას გამოიწვევდა.

45. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

46. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, სადაც განმარტებულია საწარმოს დირექტორის გათავისუფლების საფუძვლების შემონგების სამართლებრივი საკითხები.

47. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

49. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარ-

ჩეს განუხილველი;

2. კასატორს მ. ჭ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 11 ივლისს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე
უფლებამოსილ პირებთან ურთიერთობის
რეგულირება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-918-884-2016

10 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე აღ-
დგენა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ჭ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმოს ყოფილი ან მეორე დირექტორი, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, პირველი აპელანტი ან კასტორი) და თ. ჩ-მა (საწარმოს ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი), რომელიც შპს „B-T“-ის (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, საწარმო, მეორე აპელანტი ან კასტორი) 80%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი იყო, ერთმანეთი გაიცნეს 2013 წელს.

2. ზემოხსენებული საწარმოს პარტნიორთა კრების 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საწარმოს 20%-იანი წილის მესაკუთრეს – თ. ს-ეს ნება დაერთო, გაესხვისებინა თავისი წილი იმავე საწარმოს 80%-იან პარტნიორზე; იმავე კრების გადაწყვეტილებით, საწარმოში შემოღებულ იქნა მეორე დირექ-

ტორის თანამდებობა და მასზე დაინიშნა მოსარჩელე ისე, რომ ამ უკანასკნელსაც მიენიჭა საწარმოს სრულუფლებიანი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. უკვე 2013 წლის 6 დეკემბრიდან, საწარმოს ჰყავდა ერთადერთი პარტნიორი (იხ. პირველი პუნქტი) და ორი დირექტორი: თვითონ პარტნიორი და მოსარჩელე.

3. საწარმომ 2014 წლის იანვარ-თებერვალში შეიძინა 924 ცალი ცხვარი, რომლებიც დაიკლა და დამუშავდა ამავე საწარმოს ბაზაზე; დამზადებული 12 200 კგ ხორცი, ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ, მესამე ცდაზე გატანილ იქნა ერაყში და საკუთრებაში გადაეცა ერაყულ კომპანიას „S. LTD“-ს (წარმომადგენელი: ს. ჰ. ნ-ი, შემდეგში: ერაყული კომპანია), რომელსაც მიღებული საქონლის სანაცვლოდ უნდა გადაეხადა გამყიდველისათვის 126 880 (ას ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცი) აშშ დოლარი. ამ მოთხოვნის უზრუნველყოფა რაიმე საშუალებით (გარანტიის შექმნით) არ განხორციელებულა.

4. ცხვრების შეძენის და დამუშავების დოკუმენტაციას (შესყიდვის აქტებს და სხვ), ასევე, ერაყულ კომპანიასთან 2014 წლის 12 თებერვალს დადებულ ცხვრის ხორცის ნასყიდობის ხელშეკრულებას (შედგენილია ქართულ ენაზე), ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული საწარმოს სახელით, ხელს აწერს დირექტორი, რომელიც განსახილველი დავის მოსარჩელეა.

5. საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა (იხ. პირველი პუნქტი), 2014 წლის 23 მაისს გამართულ პარტნიორთა კრებაზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ისე, რომ წინასწარი შეტყობინება (გაფრთხილება) მეორე დირექტორს კრებაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ მიუღია. უკვე 2014 წლის 27 მაისს, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, მოსარჩელის, როგორც დირექტორის, რეგისტრაცია შეწყვეტილი იყო.

6. სარჩელის საფუძვლები

6.1. ყოფილმა დირექტორმა 2014 წლის 4 აგვისტოს სარჩელი აღძრა საწარმოსა და მისი 100%-იანი პარტნიორის წინააღმდეგ და მოითხოვა:

6.1.1. საწარმოს პარტნიორთა 2014 წლის 23 მაისის კრების №1/14 ოქმის ბათილად ცნობა და მოსარჩელის აღდგენა ამავე საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე;

6.1.2. მოპასუხეებისათვის (საწარმოსა და მისი ერთადერთი პარტნიორისათვის) მოსარჩელის სასარგებლოდ 295 930.18 ლარის გადახდის სოლიდარულად დაკისრება.

6.2. სასარჩელო მოთხოვნები დაეფუძნა შემდეგ ფაქტებს:

6.2.1. საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა და დირექტორმა, დაარწმუნა მოსარჩელე, რომ ჰქონდა მომგებიანი და პერსპექტიული საწარმო; მოსარჩელეს, როგორც ძველი მეგობრის შვილს, შესთავაზა, დახმარებოდა ამ საწარმოს გაძღოლაში, რის შედეგადაც მიღებულ მოგებას გაინაწილებდნენ. მოსარჩელე დათანხმდა და ერთადერთმა პარტნიორმა იგი 2013 წლის 5 დეკემბერს საწარმოს დირექტორად დანიშნა;

6.2.2. მოსარჩელე ენდო საწარმოს ერთადერთი პარტნიორის დაპირებებს და საწარმოში არსებული დავალიანების, ცხვრების შექენის, მათი დაკვლა-დამუშავებისა და ხორცის ერაყში ექსპორტისათვის, გასწია პირადი ხარჯები – 295 930.18 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაათი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი, რაც საწარმოსათვის სესხად მიცემულ თანხას წარმოადგენს;

6.2.3. საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების თავიდან არიდების მიზნით, 2014 წლის 23 მაისს უკანონოდ, ისე, რომ არც შეუტყობინებია, ეს უკანასკნელი (მეორე დირექტორი) გაათავისუფლა საწარმოს დირექტორობიდან და მიიმალა.

7. ერთადერთი პარტნიორისა და საწარმოს შესავებელი

7.1. მოპასუხეებმა არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და შემდეგ ფაქტებზე მიუთითეს:

7.1.1. მოსარჩელე 2013 წლის ნოემბერში დაუკავშირდა საწარმოს ერთადერთ პარტნიორს და სთხოვა საკუთარ ბიზნესში (ავტომანქანების სანავიგაციო მომარაგების უზრუნველყოფა) დახმარება, თუმცა, როდესაც საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა მოსარჩელეს განუცხადა, რომ არ აინტერესებდა ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული ბიზნესი, ამ უკანასკნელს გაუჩნდა ახალი იდეა – განეხორციელებინათ ცხვრის ხორცის ექსპორტი ერაყში, რისთვისაც მან ითხოვა ყველა აუცილებელი ნებართვისა და სხვა დოკუმენტაციის მოპოვება-წარმოებისათვის დანიშნულიყო საწარმოს დირექტორად, რაზედაც საწარმოს პარტნიორი დათანხმდა;

7.1.2. მეორე დირექტორად მოსარჩელის დანიშვნის მომენტში, საწარმოს არ ჰქონია არანაირი დავალიანება, პირიქით: 2013 წლის ბოლოსათვის, საწარმოს მიღებული ჰქონდა 30 493 ლარის მოგება, რაც დასტურდება საგადასახადო შემომწმების აქტით. მეორე დირექტორს მის მიერ საწარმოში რაიმე თანხის შეტანის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება, როგორცაა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის ან საწარმოს სალაროში შეტა-

ნის ორდერები, არ წარუდგენია; ასევე, არ არსებობდა მის მიერ სხვა ხარჯების განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

7.1.3. დირექტორის თანამდებობიდან მოსარჩელე გათავისუფლდა იმის გამო, რომ იგი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კეთილსინდისიერად არ ასრულებდა საკუთარ მოვალეობას და სანარმოს მიაყენა ზიანი, რომლის ანაზღაურების მიზნით სანარმომ აღძრა კიდევ შეგებებული სარჩელი.

8. სანარმოს შეგებებული სარჩელის საფუძვლები

8.1. სანარმომ, რომელიც თავდაპირველ სარჩელში ერთადერთ პარტნიორთან ერთად მოპასუხეა, თავის მხრივ, 2014 წლის 2 ოქტომბერს შეგებებული სარჩელი აღძრა ყოფილი დირექტორის (ძირითადი მოსარჩელის) წინააღმდეგ და მოითხოვა:

8.1.1. შეგებებული სარჩელის მოპასუხეს დაეკისროს 126 880 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე – დაეკისროს 121 566 ლარის გადახდა.

8.2. შეგებებული სარჩელის მოთხოვნები შემდეგ ფაქტებს ემყარება:

8.2.1. სანარმოს კუთვნილი, 126 880 აშშ დოლარის ღირებულების ცხვრის ხორცი ერაყულ კომპანიაზე (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) გასხვისდა და ერაყში გაიგზავნა მოსარჩელის დაუწინებელი მოთხოვნით, ყოველგვარი გარანტიის შექმნის გარეშე. ნასყიდობის ფასი დღემდე არ გადაუხდია მყიდველს, რის გამოც სანარმოს მიადგა ზიანი, რომლის ანაზღაურებაზეც პასუხისმგებელია მეორე დირექტორი (მოსარჩელე);

8.2.2. მოსარჩელის ქმედებების შედეგად, რომელიც ერთპიროვნულად მართავდა სანარმოს, ამ უკანასკნელს, ასევე მიადგა ზიანი – 121 566 ლარი, რაზედაც პასუხისმგებელია სწორედ მეორე დირექტორი, კერძოდ:

ა) 924 ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად, სანარმოს რეალურად უნდა მიეღო არა 12200 კგ (ესე იგი – საშუალოდ ერთი ცხვრისაგან 13.2 კგ ცხვრის ხორცი, არამედ – უფრო მეტი, ვინაიდან ერთი საშუალო ზომის ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად მიიღება 21.4 კგ ხორცი; ესე იგი, სანარმოს უნდა მიეღო 7576 კგ-ით მეტი ხორცი, ვიდრე ეს ბუნებრივად იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, 1 კგ ცხვრის ხორცის ღირებულების (12 ლარი) გათვალისწინებით, 7576 კგ ხორცის ღირებულებაა 90 912 ლარი, რაც წარმოადგენს სანარმოს დანაკლისს;

ბ) 2014 წლის 23 მაისისათვის მოპასუხე სანარმოს სალაროში ნაშთის სახით უნდა ყოფილიყო 7 234 ლარი, რაც არ აღმოჩნდა;

გ) 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე საწარმოს მიერ სხვადასხვა პირებისათვის განეული მომსახურების (დაიკლა 307 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი; დაიკლა 924 ცხვარი და დამუშავდა 311 ტყავი) შედეგად, საწარმოს უნდა მიეღო შემოსავალი 14 420 ლარი, რაც არ არის ბუღალტრულად ასახული;

დ) 2013 წლის 24 დეკემბერს საწარმომ ო. თ-ისაგან შეიძინა 2 ხარი, რაშიც გადახდილია 2600 ლარი; 2014 წლის 23 მაისის მდგომარეობით, საწარმოში არც საქონელი აღმოჩნდა და არც მათი ღირებულების შესაბამისი თანხა;

ე) საწარმოში დასაქმებულ პირებზე ხელფასის სახით დაფიქსირებულია საწარმოსგან 6 400 ლარის გაცემა, თუმცა, ამ თანხის ხელფასის სახით მიღება შესაბამის უწყისებზე ამ პირთა ხელმოწერებით დადასტურებული არ არის; ესე იგი, ეს თანხა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, იმყოფება ძირითად მოსარჩელესთან (ყოფილ დირექტორთან) და იგი ვალდებულია, დაუბრუნოს თანხა საწარმოს.

8.2.3. შეგებებული სარჩელით, საერთო ჯამში, მოთხოვნილია საწარმოს სასარგებლოდ მისი ყოფილი დირექტორისათვის (90 912 + 7 234 + 14 420 + 2 600 + 6 400) 121 566 ლარის დაკისრება.

9. თავდაპირველი მოსარჩელის (შეგებებული მოსარჩელის მოპასუხის) შესაგებელი

9.1. თავდაპირველმა მოსარჩელემ არ ცნო მის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელი და შემდეგ ფაქტებზე მიუთითა:

9.1.1. ერაყში ცხვრის ხორცის ექსპორტის შესახებ გადამწყვეტილება მიიღო საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა, რომელიც იმავდროულად დირექტორიცაა, იგი უშუალოდ იცნობდა ერაყული კომპანიის წარმომადგენელს (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი). გარდა ამისა, ერთადერთმა პარტნიორმა, არსებული ინფორმაციით, უკვე მიიღო ნასყიდობის ფასი ერაყული კომპანიისაგან და ამ ფაქტის გადაფარვის მიზნით გაათავისუფლა მეორე დირექტორი (ძირითადი მოსარჩელე) თანამდებობიდან, რათა ამ უკანასკნელს არ აღეძრა სარჩელი ერაყული კომპანიის წინააღმდეგ, თანხის გადახდევინების მოთხოვნით. შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელისათვის 126 880 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი;

9.1.2. ერაყში ხორცის ექსპორტისათვის შექმნილ იქნა ე.წ. „თოხლი ცხვრები“ (ბატკნები), ესე იგი – პატარა ტანის ცხვრები, რომელთა დაკვლა-დამუშავების შედეგად მიღებულ იქნა სწორედ 12 200 კგ ხორცი; ამდენად, არავითარი დანაკლისი არ

არსებობს 7 576 კვ-ის ოდენობით და, შესაბამისად, ყოფილი დირექტორის მიერ მოპასუხისათვის 90 912 ლარის გადახდევინების საფუძველიც არ არსებობს;

9.1.3. 2014 წლის 23 მაისის მდგომარეობით საწარმოს სალაროში ნაშთის სახით 7 234 ლარის არარსებობის, ასევე – სხვადასხვა პირებისათვის განეული მომსახურებისათვის მიღებული 14 420 ლარის შემოსავლის ბუღალტრული წესით აღურიცხაობის შესახებ მითითებები უსაფუძვლოა, რადგან საწარმოში ფულადი თანხები შეტანილი აქვს მხოლოდ ყოფილ დირექტორს (ძირითად მოსარჩელეს); მასვე სათანადო წესით აქვს აღურიცხული საწარმოს მიერ მიღებული ყველა შემოსავალი და ყველა ხარჯიც განეული აქვს მხოლოდ საწარმოს საჭიროებებიდან გამომდინარე;

9.1.4. ყოფილმა დირექტორმა პირადი ფულადი სახსრებით – 2 600 ლარად შეიძინა ხარები; იგი ამ თანხას არ ედავება საწარმოს, ამიტომ გაუგებარია – ამ უკანასკნელის პრეტენზია ამ თანხასთან დაკავშირებით;

9.1.5. ხელფასები საწარმოში დასაქმებულ პირებზე ნამდვილად არის გაცემული; თუ რომელიმე თანამშრომელმა სახელფასო უნყის ხელი არ მოაწერა, ეს არ არის კანონდარღვევა და არ ნიშნავს, რომ მას ხელფასი არ მიუღია; ამდენად, შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა 6 400 ლარის გადახდევინების თაობაზე ასევე უსაფუძვლოა.

10. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ყოფილი დირექტორის სარჩელი:

10.1.1. ბათილად იქნა ცნობილი საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის მიერ მიღებული პარტნიორთა კრების 2014 წლის 23 მაისის № 1/14 ოქმი და ყოფილი დირექტორი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე;

10.1.2. არ დაკმაყოფილდა ყოფილი დირექტორის სარჩელი მოპასუხეებისათვის 295 930.18 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაათი ლარისა და თვრამეტი თეთრის) ლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე;

10.1.3. რაიონული სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნები და საწარმოს უარი ეთქვა მის სასარგებლოდ, მოსარჩელისათვის 126 880 (ას ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრების თაობაზე;

10.1.4. საწარმოს უარი ეთქვა მის სასარგებლოდ თავდაპირველი მოსარჩელისათვის 121 566 (ას ოცდაერთი ათას ხუთას სამოცდაექვსი) ლარის დაკისრებაზე;

10.1.5. მოსარჩელეს მოპასუხის (საწარმოს) სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განუვლი ხარჯის – 8 000 (რვა ათასი) ლარის გადახდა;

10.1.6. გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 ივლისის №8202177144555994 განჩინებით სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა მოპასუხე საწარმოს (ს/კ ...) საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებას, რომელიც განთავსებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ე-ში მდებარე 19 096 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და 2874.90 კვ.მ შენობა-ნაგებობებში (ს/კ ...).

10.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში იმსჯელა, რომ არ არსებობდა უდავო ფაქტობრივი გარემოებები და მხარეთა პოზიციების შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსკ 4-5 მუხლები) გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე, მონმეთა განმარტებების მოსმენის, მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვით, დაასკვნა, რომ დასაბუთებული იყო ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნა საწარმოს დირექტორის პოზიციაზე აღდგენის ნაწილში, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა მოსარჩელის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ ყოფილი დირექტორი არაკეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თვითნებურად განახორციელა საწარმოსათვის ნამგებიანი ქმედებები, რადგან მოსარჩელის გათავისუფლებას დირექტორის პოზიციიდან არ უძლოდა უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შეუსრულებლობის მართლზომიერება. პირიქით, მოსარჩელე და მოპასუხე ერთობლივად მონაწილეობდნენ ცხვრის ხორცის საექსპორტოდ მომზადებაში და შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

10.3. მოსარჩელის საწარმოს დირექტორის პოზიციაზე აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით დადგენილ შრომის უფლებაზე, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 54-ე მუხლზე და, ასევე, იმსჯელა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: მენარმეთა კანონ-

ნი) მე-9¹ მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების მოწესრიგებაზე, რომელთა საფუძველზე მიიჩნია, რომ საწარმოს ერთადერთმა პარტნიორმა დაარღვია კანონის მოთხოვნა, როდესაც არ აცნობა მოსარჩელეს პარტნიორთა კრების მოწვევაზე, რომელიც ეხებოდა გადაწყვეტილებას საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავის შესახებ, ამასთან, მოპასუხეს ამის თაობაზე არც შესაგებელში, არც შეგებებულ სარჩელში და დამატებით წარდგენილ შეგებებულ სარჩელში არ უმსჯელია, არც საქმის სასამართლო განხილვისას დაუსაბუთებია საკუთარი პოზიცია.

10.4. რაიონული სასამართლოს შეფასებით, საწარმოს მეორე დირექტორად მოსარჩელის დანიშვნის დროისათვის საწარმოს, 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მიღებული ჰქონდა მოგება 30 494 ლარის ოდენობით;

10.5. საწარმოს სახელით საქართველოში ცხვარს იძენდა, ყველა სახის დოკუმენტაციას ხელს აწერდა და საწარმოს მართვას ახორციელებდა თავდაპირველი მოსარჩელე, ერთადერთი პარტნიორი კი, აქტიურად მონაწილეობდა საქესპორტო ცხვრის ხორცის დამზადებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ საწარმოს სახელით ცხვრის შესაძენად, ხორცის დამზადებისათვის საჭირო სამუშაოების (მათ შორის – ხელფასების, მივლინების და სხვა) და საწარმოს სხვა ვალდებულებების დასაფარად გაიღო 295 930.18 ლარი (მათ შორის – 168 337 ლარად შეიძინა 924 ცხვარი). მანვე, საწარმოს სახელით, ერაყულ კომპანიასთან (იხ. მე-3 პუნქტი) 2014 წლის 12 თებერვალს დადო საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საწარმომ მყიდველს – ერაყულ კომპანიას მიაწოდა 126 880 აშშ დოლარის ღირებულების 12 200 კგ ცხვრის ხორცი; ამ ხორცის ორგზის ექსპორტში აქტიურად იყო ჩაბმული ერთადერთი პარტნიორიც, რომელიც მანამდე ესწრებოდა ცხვრის დაკვლის პროცესს და საწარმო მოამარაგა ხორცის შესაფუთი მასალით.

10.6. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხარჯები – 295 930.18 ლარი ვერ განიხილებოდა საწარმოს ვალად მოსარჩელისადმი და არც საწარმოს შეეძლო ამ თანხის გადახდა მოეთხოვა ყოფილი დირექტორისაგან, რადგან ხარჯები განეული იყო საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე და მასზე პასუხისმგებელი იყო საწარმოს ორივე დირექტორი.

10.7. რაიონული სასამართლოს შეფასებით, საქმის განხილვის შედეგად, არ დადასტურდა მოსარჩელის მიერ საწარმოსათ-

ვის 295 930.18 ლარის სესხად გადაცემის ფაქტი; ასევე, არ დადასტურდა მითითებული საწარმოსა და მისი დომინანტი პარტნიორის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების არსებობა, რამაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს. ამდენად, სარჩელის მოთხოვნა ამ თანხის მოპასუხეთათვის სოლიდარულად გადახდევინების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

10.8. სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან, საწარმოს ორივე დირექტორი ცხვრის ხორცის ექსპორტთან დაკავშირებით ერთობლივად მოქმედებდა, ის ფაქტი, რომ ექსპორტი განხორციელდა მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი გარანტიების შექმნის გარეშე, ბრალად ვერ შეერაცხებოდა მხოლოდ ყოფილ დირექტორს (მოსარჩელეს). გარდა ამისა, დადგენილი იყო, რომ საწარმო დავობდა ერაყის სასამართლოში ექსპორტირებული ცხვრის ხორცის ღირებულების გადახდევინებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

10.9. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთმა პარტნიორმა თვითონვე დაადასტურა, რომ ერაყის ერბილის პირველი ინსტანციის სასამართლოში აღძრულია სარჩელი „მ. ე. მ. ს. კომპანიის“ წინააღმდეგ ცხვრის ხორცის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – 126 880 აშშ დოლარის მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ (იგულისხმება ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული საწარმო) გადახდის მოთხოვნით (იხ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების 6.1.9 ქვეპუნქტი).

11. სააპელაციო საჩივრების საფუძვლები და შესაგებლების პოზიცია

11.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, როგორც თავდაპირველმა მოსარჩელემ, ისე ერთადერთმა პარტნიორმა და საწარმომ (ძირითადი სარჩელის მოპასუხეებმა).

11.1.1. მოსარჩელემ (პირველმა აპელანტმა) სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; ასევე – იმავე სასამართლოს 2015 წლის 12 იანვრისა და 23 მარტის განჩინებების გაუქმება.

11.2. მოსარჩელის სააპელაციო მოთხოვნა დასაბუთებულია შემდეგნაირად:

11.2.1. რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 იანვრის გან-

ჩინება საწარმოს შეგებებული სარჩელის, ასევე – მისი დამატებითი (დაზუსტებული) ვერსიის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების თაობაზე უკანონოა, რადგან რაიონულმა სასამართლომ სპეციალურად გააჭიანურა საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადების ეტაპი, რითაც საშუალება მისცა მოპასუხეს, წარედგინა შეგებებული სარჩელი;

11.2.2. იმავე სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის კოლეგიურად განხილვის თაობაზე, უკანონოა, რადგან საქმის განსაკუთრებული სირთულე მოითხოვდა მის განხილვას სამი მოსამართლის მონაწილეობით;

11.2.3. იმავე სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საწარმოს მიერ წარდგენილი აუდიო-ჩანაწერების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე, უკანონოა და ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, რადგან მტკიცებულებად არ დაიშვება ტექნიკური საშუალებით ფარულად განხორციელებული ჩანაწერი, როცა ჩანერა განხორციელებულია თვითნებურად, კანონით დადგენილი პროცედურის გვერდის ავლით და ჩანერის ადრესატმაც არ იცოდა, რომ მის საუბარს იწერდნენ;

11.2.4. იმავე სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, უკანონოა და დაუსაბუთებელი, რადგან: ა) რაიონულმა სასამართლომ, მიუხედავად ორივე მხარის ახსნა-განმარტებებისა, დადგენილად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ მხარეთა გაცნობა მოხდა ერთადერთი პარტნიორის ინიციატივით და რომ მან ნდობის მოსაპოვებლად გამოიყენა მოსარჩელის მამასთან კარგი ურთიერთობა; ბ) საწარმო მოსარჩელის მეორე დირექტორად დანიშვნის დროისათვის გაპარტახებული იყო. შპს „ე-ის“ 2014 წლის 15 მაისის აუდიტორული დასკვნით დგინდება, რომ საწარმოში ფულადი სახსრები, სესხად მიცემის სახით, შეტანილი აქვს მხოლოდ მოსარჩელეს (საწარმოს მეორე დირექტორს); ხოლო მონეტა ჩვენებებით დადასტურდა, რომ ერთადერთმა პარტნიორმა წინასწარ მოფიქრებული გეგმა განახორციელა და ეს თანხები მიითვისა; გ) მცდარია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე და ერთადერთი პარტნიორი მოქმედებდნენ შეთანხმებულად, რადგან სინამდვილეში საწარმოს მართავდა მხოლოდ მისი ერთპიროვნული პარტნიორი, რომელიც მისი მესაკუთრეც იყო და დირექტორიც, ამდენად, მას შეეძლო უარი ეთქვა ნებისმიერ გარიგებაზე და გაეთავისუფლებინა მეორე დი-

რექტორი; ეს უკანასკნელი ასრულებდა ერთადერთი პარტნიორის მითითებებს და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე ხელმონერა ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს; დ) რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ გასწია ხარჯები – 295 930.18 ლარი, მაგრამ დაუსაბუთებლად და გაუგებარი მიზეზის გამო არ დააკმაყოფილა სარჩელი ამ თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ; ეს თანხა არის საწარმოსათვის მიცემული სესხი, რომელიც მან უნდა დაუბრუნოს გამსესხებელს, ანუ – მოსარჩელეს. სარჩელის მხოლოდ ნაწილობრივ (დირექტორად აღდგენის ნაწილში) დაკმაყოფილება ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვას, რადგან ერთადერთ პარტნიორს შეუძლია, ხელმეორედ გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან.

11.3. საწარმომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მიუთითა, რომ პირველი აპელანტის მიერ საწარმოში რაიმე სახის ხარჯის განევის (მათ შორის – სალაროში ფულის შეტანის) დამადასტურებელი, უტყუარი და სათანადო მტკიცებულებები საქმეში წარდგენილი არ იყო: საბუღალტრო აღრიცხვა დადგენილი წესით ნაწარმოები არ ყოფილა, რის გამოც შეუძლებელი იყო დადგენილიყო, რა თანხები იყო შეტანილი აპელანტის სახელით საწარმოს სალაროში, თავად აპელანტის თუ საწარმოს კუთვნილი თანხები. რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებებს, ისინი არის კანონიერი, დასაბუთებული და მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

11.4. ერთადერთმა პარტნიორმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელის დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, მისი მოთხოვნის უარყოფა. სააპელაციო მოთხოვნა დასაბუთებულია ყოფილი დირექტორის სარჩელზე რაიონულ სასამართლოში წარდგენილი შესაგებლის ანალოგიურად (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი).

11.5. თავდაპირველმა მოსარჩელემ ერთადერთი პარტნიორის სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა მისი სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება იმ დასაბუთებით, რომ ეთანხმებოდა სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

11.6. საწარმომ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, საწარმოს შეგებებული

სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ასევე – მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის (დირექტორად აღდგენის ნაწილში) უარყოფა; საწარმომ მოითხოვა იმავე სასამართლოს 2014 წლის 11 სექტემბრის და 2015 წლის 28 მაისის განჩინებების გაუქმება, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა საწარმოს შუამდგომლობა შპს „ე-ის“ 2014 წლის 15 მაისის №72 აუდიტორული დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

11.6.1. გასაჩივრებული განჩინებები უკანონოა, რადგან შპს „ე-ის“ 2014 წლის 15 მაისის №72 აუდიტორული დასკვნა მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც იგი დაუშვებელი მტკიცებულებაა, კერძოდ, საწარმოს აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მოსარჩელის, როგორც ფიზიკური პირის და არა დირექტორის დაკვეთით; „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, საინიციატივო აუდიტი საწარმოში შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ უფლებამოსილი პირების, ანუ პარტნიორის ან დირექტორის ინიციატივით;

11.6.2. მცდარია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ყოფილი დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც აგრძელებდა საწარმოს დირექტორის უფლებამოსილების შესრულებას; ამ გარემოების დასადაგენად სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მან 2014 წლის 29 მაისს საწარმოს სახელით დადო ხელშეკრულება შპს „ე-თან“. არადა, ამ ხელშეკრულებას შედეგი არ მოჰყოლია. საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები (მათ შორის – მონმე ი. გ-ის ჩვენებაც) კი ადასტურებს, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა მისი დირექტორის პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ და საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაციაც სწორედ ამიტომ წაიღო თან;

11.6.3. მცდარია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ერთადერთი პარტნიორი უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობდა ცხვრის დაკვლა-მომზადება-ექსპორტის საკითხებში. არ შეფასდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ერთადერთი პარტნიორის ვიზიტები საქართველოში შემოიფარგლებოდა 2-3 დღით, ისიც მაშინ, როცა საწარმოს სჭირდებოდა მისი დახმარება; საწარმოს ერთპიროვნულად მართავდა მოსარჩელე, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველა სახის დოკუმენტაცია ხელმოწერილია მხოლოდ მის მიერ. ამდენად,

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.2.7 პუნქტის მე-4 აბზაც-ში ასახული დასკვნა დირექტორების ერთობლივად, შეთანხმებულად მოქმედების თაობაზე, რის გამოც არც ერთ მათგანს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, დაუსაბუთებელია, ალოგიკურია და ეწინააღმდეგება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების 3.2.9-3.2.10 პუნქტებში ასახულ დასკვნებს, რომელთა თანახმად ცხვრის ხორცი ერაცში მესამედ სწორედ მოსარჩელის დაყინებული მოთხოვნით გაიგზავნა, ამასთან – ყოველგვარი გარანტიის შექმნის გარეშე, რის გამოც საწარმოს მიადგა ზიანი;

11.6.4. არასწორია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ყოფილმა დირექტორმა გასწია ხარჯები – 295 930.18 ლარის ოდენობით, რადგან ამ ფაქტის დასადასტურებლად სასამართლო დაეყრდნო დაუშვებელ მტკიცებულებას – აუდიტორულ დასკვნას, გარდა ამისა, ეს დასკვნა დასაშვებ მტკიცებულებადაც რომ მიჩნეულიყო, დაუსაბუთებელი და უსწორო იყო; მაგალითად: მასში მითითებულია, რომ ხელფასის სახით საწარმოში დასაქმებულ პირებზე ყოფილმა დირექტორმა გასცა 47 800 ლარი, მაშინ, როცა უდავოა, რომ თვეში ხელფასის ხარჯი იყო 3 810 ლარი, რაც, 2014 წლის იანვარ-მაისის პერიოდზე გაანგარიშებით, შეადგენს 19 050 ლარს. ამასთან, რაიონულმა სასამართლომ საერთოდ უყურადღებოდ დატოვა მისივე ძალისხმევით მოპოვებული მტკიცებულებების (ანუ – სასამართლოს დავალებით მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაციის) საფუძველზე შედგენილი შპს „ბ-ის“ 2015 წლის 6 იანვრის №03/01-01 აუდიტორული დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ საბუღალტრო დოკუმენტაციით არ ირკვეოდა საზოგადოების კრედიტორები და დებიტორები, რის გამოც შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა – სალაროში მოსარჩელის სახელით შეტანილი თანხები იყო მისი პირადი საკუთრება, თუ – ეს იყო საწარმოს კუთვნილი თანხები, რომელიც აღმოჩნდა მის, როგორც დირექტორის, ხელში. გარდა ამისა, შპს „ბ-ის“ დასკვნის თანახმად, ყოფილი დირექტორის სახელით საწარმოს სალაროში შეტანილია არა 295 930.18, არამედ – 221 978 ლარი;

11.6.5. მცდარია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ საწარმომ 924 ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად მიიღო 12 200 კგ ცხვრის ხორცი, ე.ი. – საშუალოდ ერთი ცხვრისაგან მიღებულ იქნა 13.2 კგ სარეალიზაციო ხორცი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის №14000378 ოქმის თანახმად, დადგენილია, რომ ერთი საშუალო ზომის ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად მიიღება 21.4 კგ ხორცი. მონმე

ა. ნ-აც დაადასტურა, რომ ცხვრები შექმნილ იქნა მისი მონაწილეობით და ისინი იყვნენ არა ბატკნები, არამედ – ზრდასრული ცხვრები, რის გამოც თითოეული ცხვრისაგან სულ მცირე მიიღებოდა 17-18 კგ ხორცი; იყო ისეთი ცხვრებიც, რომლებსგანაც მიიღებოდა 28 კგ ხორციც. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მან შეიძინა საწარმოსათვის ბატკნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულ სასამართლოს უნდა გაეზიარებინა შპს „ბ-ის“ დასკვნის მონაცემი, რომ 924 ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად საწარმოს უნდა მიეღო 7 576 კგ-ით მეტი ხორცი, ვიდრე ეს იყო ბულალტრულად დაფიქსირებული. 1 კგ ცხვრის ხორცის ღირებულების (12 ლარი, რაც დგინდება სტატისტიკის სამსახურის ცნობით) გათვალისწინებით, 7576 კგ ხორცის ღირებულებაა 90 912 ლარი, რომლის მიუღებლობის გამო საწარმოს მიადგა ზიანი და ამ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია ყოფილი დირექტორი.

11.6.6. დანარჩენ ნაწილში (კერძოდ, საწარმოს შეგვებულ სარჩელის მოთხოვნების), სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთება არის შეგვებულ სარჩელის დასაბუთების ანალოგიური (იხ: ამ განჩინების მე-8 პუნქტი) და ძირითადად ეფუძნება შპს „ბ-ის“ აუდიტორულ დასკვნას.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

12.1.1. გაუქმდა რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საწარმოს მიერ წარდგენილი აუდიო ჩანაწერების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე; დაკმაყოფილდა მითითებული შუამდგომლობა და ამოღებულ იქნა საქმიდან საწარმოს მიერ 2014 წლის 2 ოქტომბერს წარდგენილ შეგვებულ სარჩელზე თანდართული დისკი, რომელზედაც ასახულია აუდიო-ჩანაწერები. დანარჩენ ნაწილში თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

12.2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითვე საწარმოსა და მისი ერთადერთი პარტნიორის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

12.2.1. გაუქმდა რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 სექტემბრის და 2015 წლის 28 მაისის განჩინებები, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა საწარმოს შუამდგომლობები შპს „ე-ის“ 2014

წლის 15 მაისის №72/1 აუდიტორული დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე; დაკმაყოფილდა შუამდგომლობა და ამოღებულ იქნა საქმიდან აღნიშნული დასკვნა;

12.2.2. გაუქმდა რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილებში, რომლებითაც დაკმაყოფილდა სარჩელი საწარმოს პარტნიორთა კრების 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების (ოქმი №1/14) ბათილად ცნობისა და თავდაპირველი მოსარჩელის საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი), ასევე – არ დაკმაყოფილდა საწარმოს შეგებებული სარჩელი მოსარჩელისათვის (ყოფილი დირექტორისათვის) 121 566 ლარის დაკისრების თაობაზე (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2.2 პუნქტი); ამ ნაწილებში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

12.2.3. მეორე დირექტორის სარჩელი საწარმოს პარტნიორთა კრების 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების (ოქმი №1/14) ბათილად ცნობისა და მოსარჩელის საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

12.2.4. საწარმოს შეგებებული სარჩელი ყოფილი დირექტორისათვის (მოსარჩელისათვის) 121 566 ლარის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

12.2.4.1. მოსარჩელეს დაეკისრა 34 592.64 ლარის (ოცდაათობმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) გადახდა საწარმოს სასარგებლოდ;

12.2.4.2. მოსარჩელეს დაეკისრა 1300 (ათას სამასი) ლარის გადახდა საწარმოს სასარგებლოდ;

12.2.4.3. მოსარჩელეს დაეკისრა 3617 (სამი ათას ექვსას ჩვიდმეტი) ლარის გადახდა საწარმოს სასარგებლოდ.

12.2.4.4. დანარჩენ ნაწილებში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

12.2.4.5. მოსარჩელეს დაეკისრა 1395.48 ლარის (ათას სამას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) საწარმოს და 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდა საწარმოს ერთადერთი პარტნიორის სასარგებლოდ.

13. სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებათა კანონიერების შეფასება

13.1. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენამდე სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-

ზე, კერძოდ, რომლებიც შეეხებოდა საქმეზე მტკიცებულება-
თა წრის ფორმირებას.

13.2. რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 სექტემბრისა
და 2015 წლის 28 მაისის განჩინებების შესახებ:

13.2.1. დადგენილია, რომ შპს „ე-მა“ აუდიტორული შემოწმე-
ბა საწარმოში ჩაატარა და 2014 წლის 15 მაისის №72/1 აუდიტო-
რული დასკვნა მოამზადა ფიზიკური პირის (და არა საწარმოს
დირექტორის) – თავდაპირველი მოსარჩელის შეკვეთით (იხ. აუ-
დიტორ მ. ქ-ის 2014 წლის 30 აგვისტოს წერილი). აღნიშნული-
დან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაი-
ზიარა საწარმოს სამართლებრივი შეფასება დაფუძნებული „ბუ-
ღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდი-
ტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-9 პუნ-
ქტზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, საინიციატივო აუ-
დიტი საწარმოში შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ უფლებამოსი-
ლი პირების, ანუ – პარტნიორის ან დირექტორის ინიციატივით.
შესაბამისად, დადგენილია, რომ მითითებული აუდიტორული
დასკვნა მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით,
რის გამოც მას, სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,
იურიდიული ძალა არ გააჩნდა და ვერ იქნებოდა დაშვებული
მტკიცებულებად მოცემულ საქმეზე. ამდენად, აღნიშნული გა-
საჩივრებული განჩინებები უკანონოდ მიიჩნია სააპელაციო სა-
სამართლომ, გააუქმა და დააკმაყოფილა საწარმოს შუამდგომ-
ლობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შპს „ე-ის“ დას-
კვნა არ გაითვალისწინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების
დადგენის პროცესში.

13.3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12
იანვრის განჩინების შესახებ:

13.3.1. დადგენილია, რომ ყოფილი დირექტორის მიერ 2014
წლის 4 აგვისტოს აღძრული სარჩელის საპასუხოდ, იმავე წლის
22 აგვისტოს წარდგენილი შესაგებლით, საწარმომ იმთავითვე
განაცხადა, რომ საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია წა-
ღებული ჰქონდა ყოფილ დირექტორს, რის გამოც ვერ ახერხებ-
და დამოუკიდებლად აუდიტორული შემოწმების ჩატარებას; შე-
საბამისად, მოპასუხემ იშუამდგომლა, რაიონულ სასამართლოს
გადაევადებინა მისთვის მტკიცებულებათა წარდგენა; ასევე
იშუამდგომლა რიგი მტკიცებულებების (მათ შორის – ხსენებუ-
ლი დოკუმენტაციის) გამოთხოვის თაობაზე (იხ. შესაგებელი);

13.3.2. დადგენილია, რომ რაიონული სასამართლოს ძალის-
ხმევით, მოსარჩელემ 2014 წლის 22 სექტემბერს წარუდგინა სა-
სამართლოს დედანი საბუღალტრო დოკუმენტაცია;

13.3.3. დადგენილია, რომ საწარმომ 2014 წლის 2 ოქტომბერს აღძრა შეგებებული სარჩელი ყოფილი დირექტორის წინააღმდეგ; მოსარჩელემ (შეგებებული სარჩელის ავტორმა) ისევ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, გადასცემოდა დედანი ან სათანადოდ დამოწმებული საბუღალტრო დოკუმენტაცია დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად (იხ: ვ. გ-ის 2014 წლის 11 ნოემბრის განცხადება). აღსანიშნავია, რომ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 5 თვემდე; ეს განჩინება არ გასაჩივრებულია.

13.3.4. საწარმომ 2015 წლის 12 იანვარს რაიონულ სასამართლოს წარუდგინა საბოლოოდ დაზუსტებული შეგებებული სარჩელი, იმ სასარჩელო მოთხოვნებით, რაც გახდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და განხილვის საგანი; შეგებებულ სარჩელს დაერთო შპს „ბ-ის“ 2015 წლის 6 იანვრის №03/01-01 დასკვნა, რომლის საფუძველზეც არის დასაბუთებული შეგებებული სარჩელის მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა 2015 წლის 12 იანვარს წარდგენილი შეგებებული სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის საფუძვლები. სსსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეგებებული სარჩელი აღძრულ იქნა საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე და ასევე, აკმაყოფილებდა იმავე კოდექსის 189-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, არ არსებობდა მისი დასაშვებად ცნობის თაობაზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

13.4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინების შესახებ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის კოლეგიური წესით განხილვის თაობაზე

13.4.1. სსსკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ საქალაქო სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

13.4.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე, ამ საპროცესო მოქმედების განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის დასკვნაზე – აუცილებელი არის თუ არა ამ საქმის განხილვა კოლეგიური წესით. სხვა სიტყვებით, ამ საპროცესო მოქმედების განხორციელება მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის და თუ იგი გადაწყვეტს, რომ საქმის განხილვა გააგრძელოს ერთპიროვნულად, ეს გადაწყვეტილება არ მოქმედებს მის მიერ საქმის განხილვის წარმართვისა და საბოლოოდ გამოტანილი შემაჯამებელი გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

13.5. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინების შესახებ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა შეგებებულ სარჩელთან ერთად წარდგენილი აუდიოჩანანერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე

13.5.1. საწარმომ 2014 წლის 2 ოქტომბერს რაიონულ სასამართლოს წარუდგინა შეგებებული სარჩელი, რომელსაც ერთგოდა CD დისკი, რომელზეც, როგორც შეგებებული სარჩელის მოსარჩელე (საწარმოს ერთადერთი პარტნიორი) უთითებდა, იყო თავდაპირველ მოსარჩელესთან გამართული საუბრების ფარულად განხორციელებული აუდიო-ჩანანერები, სადაც შეგებებული მოსარჩელე მტკიცებულებად უთითებს ამ ჩანანერს, მე-2 ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად.

13.5.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია ყოველი ადამიანის პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა; ამ უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ამდენად, მართალია, აღნიშნული უფლება აბსოლუტური ხასიათის არ არის, თუმცა, მისი შეზღუდვისათვის აუცილებელია – შეზღუდვის ინიციატორმა დაასაბუთოს, თუ რომელი კანონით იყო გათვალისწინებული შეზღუდვის შესაძლებლობა და რა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შეზღუდა ეს უფლება.

13.5.3. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, ირკვეოდა, რომ ერთადერთმა პარტნიორმა ყოფილ დირექტორთან კერძო საუბრის ფარული აუდიო-ჩანანერი დაამზადა ამ უკანასკნელთან მომავალში შესაძლო დავაში დამატებითი მტკი-

ცებულების შექმნის მიზნით, რაც დაუშვებელია, რადგან მხარემ კანონიერების, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით უნდა იზრუნოს მისთვის სასარგებლო მტკიცებულების მოპოვებაზე. საწარმო ვერ ასაბუთებს ყოფილი დირექტორის კერძო საუბრის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელ, ზემოთ აღნიშნული კანონიერი საფუძვლების არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული აუდიო-ჩანაწერი კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულად მიიჩნია სასამართლომ, რის გამოც მას, სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იურიდიული ძალა არ აქვს და ვერ იქნებოდა დაშვებული მტკიცებულებად მოცემულ საქმეზე (ასეთი შეფასებები თანხვედრაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთან; იხ. საქმე №ას-1155-1101-2014). სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება უკანონოდ მიიჩნია და გააუქმა, შესაბამისად, დააკმაყოფილა ყოფილი დირექტორის შუამდგომლობა. სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი აუდიო-ჩანაწერი არ გაითვალისწინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესში.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნები

14.1. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ამ განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ მხარეები დავობდნენ შემდეგ ფაქტებზე:

ა) ვისი ინიციატივით მოხდა მოსარჩელისა და ერთადერთი პარტნიორის გაცნობა;

ბ) საქმიანობის განხორციელების კონკრეტულად რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები გაცნობის შემდეგ;

გ) შეიტანა თუ არა რაიმე თანხა მოსარჩელემ საწარმოს სალაროში, ან დახარჯა თუ არა მან პირადი თანხები საწარმოს საჭიროებებისათვის (დავალიანების დასაფარად, ცხვრების შესაძენად, მათი დაკვლა-დამუშავებისათვის და სხვა);

დ) რა ოდენობის ხორცი დამზადდა საწარმოში 2014 წლის იანვარ-თებერვალში შექმნილი 924 ცალი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად;

ე) გადაუხადა თუ არა ერაცულმა კომპანიამ (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) შექმნილი ცხვრის ხორცის ფასი საწარმოს;

ვ) განიცადა თუ არა რაიმე მატერიალური დანაკლისი საწარმომ 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე პერიოდში (თავდაპირველი მოსარჩელის დირექტორად ყოფნისას) და

რით იყო გამოწვეული ეს დანაკლისი.

14.2. მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებულ „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ფაქტს არ გააჩნდა არავითარი მნიშვნელობა მოცემული დავის გადასაწყვეტად, რადგან მოქმედი კანონმდებლობა ამ ფაქტს არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ უკავშირებს;

14.3. 14.1. – „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტის თაობაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გარიგება წერილობით არ გაფორმებულა; ამდენად, შეთანხმების პირობებზე პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულება არ არსებობდა და აღნიშნული უნდა დადგენილიყო სხვა (მათ შორის – უდავო) ფაქტების და მტკიცებულებების ერთობლივი, ლოგიკური ანალიზის შედეგად;

14.4. ერთ-ერთი ძირითადი სადავო გარემოება იყო, გასწია თუ არა ყოფილმა დირექტორმა რაიმე პირადი ხარჯი საწარმოს სასარგებლოდ. ამის შესაფასებლად სასამართლომ იმსჯელა საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილ საბუღალტრო დოკუმენტაციაზე, რომელიც შეისწავლა და გააანალიზა შპს „ბ-მა“ და შეადგინა 2015 წლის 6 იანვრის №03/01-01 დასკვნა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესახებ, სადაც გამოკვლეულია ეს სადავო საკითხიც, მე-5 და მე-7 შეკითხვებზე პასუხის სახით. კერძოდ:

14.4.1. აუდიტმა მიუთითა, რომ წარდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაცია არასრული იყო, დარღვეული იყო სალაროს მოძრაობის აღრიცხვის დადგენილი წესი (მათ შორის – სრულად არ იყო შევსებული სალაროს შემოსავლებისა და გასავლების ორდერები), ბუღალტრული დოკუმენტაციით ფიქსირებული შემოსავლები განსხვავდებოდა ფაქტიური შემოსავლებისაგან და ა.შ., რის გამოც შეუძლებელი იყო დასაბუთებული მოსაზრების გამოთქმა საწარმოს საფინანსო საქმიანობის შედეგებზე 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე პერიოდისათვის;

14.4.2. ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობის გამო, არ ისაზღვრებოდა მითითებულ პერიოდში წარმოქმნილი დებიტორებისა და კრედიტორების ჩამონათვალი, შესაბამისად – ვერც ზუსტად შეტანილი თანხის მოცულობა დგინდებოდა; ყოფილი დირექტორის სახელით სულ ფიქსირდებოდა 221 978 ლარის შეტანა; ხარჯების ძირითადი ნაწილი ფიქსირდებოდა გასავლის ორდერებით, საქონლის შესყიდვის აქტებით; სასაქონლო ზედნადებებით შეძენილ საქონელზე, რომელზეც არ ფიქსირდებოდა თანხის გადარიცხვა ან მიმღების მიერ სალაროს შემოსავ-

ლის ორდერის განერა, ჩათვლილი იყო ნაღდი ფულით გადახდად.

14.5. უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ექსპერტის დასკვნა, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა; მას არ აქვს წინასწარ დადგენილი და სავალდებულო ძალა სასამართლოსათვის და იგი, იმავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უნდა შეფასებულიყო სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

14.6. მოცემულ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ი. გ-ე, რომელიც სადავო პერიოდში ასრულებდა საწარმოს ბუღალტრის მოვალეობას, ორივე დირექტორის ნების შესაბამისად; მან დაადასტურა, რომ სალაროს შემოსავლის ორდერები, რომლებითაც დაფიქსირებულია ყოფილი დირექტორის მიერ საწარმოში 221 978 ლარის შეტანის ფაქტი, ნამდვილია და ხელმოწერილია მის მიერ (იხ: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის სხდომის ოქმი; ოქმის ელექტრონული ვერსია).

14.7. ყოფილი დირექტორის მიერ საწარმოში გარკვეული ფულადი სახსრების შეტანის ფაქტი დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ლ. ხ-აც, რომელმაც განაცხადა, რომ ეს სახსრები მოსარჩელემ ისეხსა ახლობლებისაგან და ისე შეიტანა საწარმოში, რათა განხორციელებულიყო ერთობლივი ბიზნესი, ცხვრის ხორცის ერაყში ექსპორტის მიზნით (იხ: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი; ოქმის ელექტრონული ვერსია).

14.8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ყოველ ქმედებას აქვს ლოგიკური მოტივი, მით უფრო – ბიზნესმენი ადამიანის ქმედებას, რომელიც, სრულიად ბუნებრივად, ფიქრობს მოგების (სარგებლის) მიღებაზე. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, არაბუნებრივად გამოიყურებოდა ერთადერთი პარტნიორისა და საწარმოს მტკიცება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის საწარმოს დირექტორად დანიშნა, სრული ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, გამონკვეული იყო მხოლოდ ერთადერთი პარტნიორისა და ყოფილი დირექტორის მამის ძველი ნაცნობობით.

14.9. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი განწყვეტილების მიღება ერთადერთი პარტნიორის მიერ, რომელიც მოქმედებდა, როგორც საწარმოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ნაკარნახევი იყო მხარეთა შორის გარკვეული საქმიანობის ერთობლივად განხორციელების თაობაზე შეთან-

ხმებით, რომელშიც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ორივე მხარეს: მოსარჩელეს – გარკვეული თანხების შეტანით და ინტელექტუალურ-ფიზიკური შრომით, საწარმოს კი – ამ საქმიანობის განსახორციელებლად საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და ადამიანური რესურსის (პირუტყვის დაკვლა-დამუშავებისათვის აუცილებელი მოწყობილობების და საწარმოში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა) გამოყენების სახით.

14.10. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

14.10.1. მოსარჩელე და საწარმო (წარმოდგენილი დირექტორისა და ერთპიროვნული პარტნიორის სახით) შეთანხმდნენ – ერთობლივად ემოქმედათ ცხვრის ხორცის დამზადებისა და მისი ერაყში ექსპორტის მიზნით; საქმიანობის განხორციელებისას, ყველა გადაწყვეტილების მიღების უფლება მიენიჭა მოსარჩელეს, რომელიც დაინიშნა საწარმოს დირექტორადაც, სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით; მასვე უნდა მოეძიებინა ფულადი სახსრები, რომლითაც შეძლებდნენ ცოცხალი ცხვრების შეძენას, მათ დაკვლა-დამუშავებას საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მუშა-მოსამსახურეთა გამოყენებით, დამზადებული ხორცის სათანადოდ შეფუთვა-მარკირებას და ექსპორტს ერაყში;

14.10.2. შეთანხმებისამებრ, მოსარჩელემ საწარმოს საღარიბოში ეტაპობრივად შეიტანა საერთო ჯამში 221 978 ლარი, რომელიც განკუთვნილი იყო სწორედ ზემოთ აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ხარჯების დასაფარად.

15. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იმაზე, თუ რა ოდენობის ხორცი დამზადდა საწარმოს მიერ 2014 წლის იანვარ-თებერვალში შეძენილი 924 ცალი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად.

15.1. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საექსპორტო დოკუმენტაციაზე (მაგალითისათვის, იხ: საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი) და აღნიშნა, რომ ერაყში გაიგზავნა 12 200 კგ ცხვრის ხორცი; ეს ოდენობა მიღებულ იქნა 924 ცოცხალი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად, ესე იგი – ერთი ცხვრისაგან დამზადდა 13.2 კგ ხორცი;

15.2. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა პოზიციების შეჯერების შედეგად მიუთითა: საწარმო ამტკიცებდა, რომ 924 ცოცხალი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად, საწარმოს უნდა მიეღო 7576 კგ-ით მეტი ხორცი. მისი მტკიცება ეფუძნებოდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 1 ოქტომბრის ფაქტების კონსტატაციის ოქმს და შპს „ბ-ის“ 2015

წლის 6 იანვრის №03/01-01 დასკვნას (იხ: პასუხი მე-3 კითხვა-ზე), რომელთა თანახმად, ერთი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად მიიღება საშუალოდ 21.4 კგ ხორცი; ამდენად, თუ სხვაობას (21.4 კგ - 13.2 კგ = 8.2 კგ) გავამრავლებთ 924-ზე, მივიღებთ სწორედ 7576.8 კგ-ს.

15.3. თავდაპირველი მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საექსპორტოდ ხორცის დასამზადებლად შეძენილ იქნა ბატკნები და სწორედ ამით იყო გამოწვეული ერთი ცხვრისაგან ხორცის შედარებით მცირე გამოსავლიანობა. თუმცა, საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ სანარმომ შეიძინა ბატკნები: შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში (იხ: შესყიდვის აქტები; სასაქონლო ზედნადებები) მითითებულია, რომ შეძენილია ცხვრები, სხვადასხვა ფასად (ფასი მერყეობს 169 ლარიდან 202 ლარამდე), რაც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ შეძენილ იქნა მნიშვნელოვნად განსხვავებული წონის მქონე ცხვრები.

15.4. გარდა ამისა, საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ა. ნ-ი, რომელმაც განაცხადა, რომ თავად მონაწილეობდა ცხვრების შეძენაში და ერთი ცხვრისაგან გამოდიოდა სულ მცირე 17-18 კგ ხორცი; ყოფილა ისეთი ცხვარიც, რომლისგანაც მიღებულ იქნა 28 კგ ხორცი (იხ: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი; ოქმის ელექტრონული ვერსია). მოწმემ რაიონულ სასამართლოს, ასევე, წარუდგინა საკუთარი ჩვენების დამადასტურებელი ფოტოსურათები, რომელზედაც ნათლად ჩანს, რომ უმეტესწილად შეძენილია და დამუშავებულია სწორედ ზრდასრული ცხვრები.

15.5. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, სანარმომ, რომელიც ბუნებრივად იყო დაინტერესებული მისთვის სასარგებლო შედეგის მიღებით, ფაქტების საკონსტატაციოდ შეარჩია დიდი ცხვარი, რომლიდანაც გამოსავლიანობამ შეადგინა 21.4 კგ ხორცი. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ერთი ცხვრისგან გამოსავალი ხორცის საშუალო წონა უნდა დადგინდეს ამ ორი მონაცემის (13.2 კგ და 21.4 კგ) საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით ($13.2 + 21.4 = 34.6 : 2 = 17.3$ კგ). ასეთი მიდგომა არის ლოგიკური და სამართლიანი; ასევე – მიღებული წონა სრულ შესაბამისობაშია 15.1 ქვეპუნქტში დასახელებული მოწმის ჩვენებასთანაც.

15.6. ამ მონაცემის გათვალისწინებით, დანაკლისის ოდენობა გამოითვლება შემდეგი წესით: 17.3 კგ-ს უნდა გამოვავლოთ 13.2 კგ და გავამრავლოთ 924-ზე, რის შედეგადაც მივიღებთ 3788.4 კგ-ს.

15.7. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დადგენილად

მიიჩნია, რომ 2014 წლის იანვარ-თებერვალში შეძენილი 924 ცოცხალი ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად, საწარმომ მიიღო 3788.4 კგ-ით მეტი ხორცი, რაც არ ასახულა საბუღალტრო დოკუმენტაციაში და არც მისი ღირებულების ეკვივალენტი თანხა გადასცემია საწარმოს. ამ ოდენობის ცხვრის ხორცის ღირებულება კი განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: ექსპორტირებული 12 200 კგ, ხორცის ფასი იყო 222 801.28 ლარი, ესე იგი – 1 კგ ცხვრის ხორცის ღირებულება იყო 18.2624 ლარი, ხოლო 3788.4 კგ ხორცის ღირებულება იქნებოდა 69 185.28 ლარი. სწორედ ეს თანხა წარმოადგენდა დანაკლისის საწარმოსათვის.

15.8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის ახსნა-განმარტება, სსსკ-ის მე-5 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, გაქარწყლებულია თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებულებით – მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებით. ამდენად, ამ სადავო ფაქტის არსებობა მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა.

15.9. სასამართლოს შეფასებით, უდავო ფაქტია, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს საწარმოს საქმიანობას 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე პერიოდში, ხელმოწერილია მხოლოდ ყოფილი დირექტორის მიერ; არც ერთი დოკუმენტი არ არის მეორე დირექტორის – თ. ჩ-ის მიერ ხელმოწერილი. ეს ფაქტი თავისთავად იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ საწარმოს 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე პერიოდში ერთპიროვნულად მართავდა მოსარჩელე და მისი სახელით ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდა სწორედ ის. ამ დასკვნას ამყარებდა ამ განჩინების 15.4. ქვეპუნქტში მითითებული მოწმის ჩვენებაც, რომელმაც განმარტა, რომ ყოფილი დირექტორი დამოუკიდებლად წყვეტდა ცხვრების შეძენა-დაკვლა-დამუშავების საკითხებს; ერთადერთმა პარტნიორმა დაკვლის პროცესში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ცხვრების დაკვლისას დაცული ყოფილიყო მუსულმანური ადათ-წესი, რადგან ხორცის ექსპორტი იგეგმებოდა მუსულმანური სარწმუნოების ქვეყანაში (იხ: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი; ოქმის ელექტრონული ვერსია).

16. სააპელაციო სასამართლომ, შპს „ბ-ის“ 2015 წლის 6 იანვრის №03/01-01 დასკვნის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

16.1. 2014 წლის 23 მაისისათვის საწარმოს სალაროში ნაშთის

სახით უნდა ყოფილიყო 7234 ლარი, რაც არ აღმოჩნდა;

16.2. 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე საწარმოს მიერ სხვადასხვა პირებისათვის განეული მომსახურების (დაიკლა 307 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი; დაიკლა 924 ცხვარი და დამუშავდა 311 ტყავი) შედეგად, საწარმოს უნდა მიეღო შემოსავალი 14420 ლარის ოდენობით; ფაქტობრივად კი, საწარმოს საბანკო ანგარიშზე მიღებული აქვს 8635 ლარი, საწარმოში კი – 3864 ლარი (იხ. პასუხი პირველ შეკითხვაზე). ამდენად, აუდიტორს არ დაუფიქსირებია 14420 ლარის ოდენობით დანაკლისის არსებობა;

16.3. საწარმომ 2013 წლის 24 დეკემბერს ო. თ-ისაგან შეიძინა 2 ხარი, რაშიც გადაიხადა 2600 ლარი. 2014 წლის 23 მაისის მდგომარეობით, საწარმოში არც ეს ხარები აღმოჩნდა და არც მათი ღირებულების შესაბამისი თანხა;

16.4. რაც შეეხება საწარმოს მტკიცებას შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის (ყოფილი დირექტორისათვის) 6400 ლარის დაკისრების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო უწყისზე ხელფასის მიმღები პირის ხელმოწერის არარსებობა არ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ამ პირს ხელფასი არ აუღია. ფაქტია ისიც, რომ საწარმოს წინააღმდეგ არავის აღუძრავს სარჩელი ხელფასის სახით 6400 ლარის გადახდევინების მოთხოვნით. ესე იგი, ამ ეტაპზე, ეს თანხა ვერ ჩაითვლებოდა საწარმოს დანაკლისად. თუ ასეთი სარჩელი აღიძვრებოდა და იგი დაკმაყოფილდებდა, საწარმოს წარმოეშობოდა შესაძლებლობა, შემდეგში შედავებოდა ყოფილ დირექტორს და მოეთხოვა ამ თანხის დაბრუნება;

16.5. ზემოხსენებულ საკითხებზე პასუხების გასაცემად სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის განჩინებით, დაინიშნა ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ექსპერტმა მოითხოვა მხარეთაგან დამატებითი დოკუმენტაციის (ცხვრის დაკვლა-დამუშავების და რეალიზაციის მდგომარეობამდე მიყვანისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები; შეძენილი საქონლის თვითღირებულების კალკულაცია და მასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები; საწარმოს საწარმოს წიგნები) წარდგენა, რადგან ჩათვალა, რომ საქმეში არსებული დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი ექსპერტიზის ჩასატარებლად (იხ. საექსპერტო ბიუროს მომართვა). სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით, ორივე მხარეს დაენიშნა 7-დღიანი საპროცესო ვადა საექსპერტო ბიუროს მიმართვაში

მითითებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად; თუმცა, ორივე მხარემ განაცხადა, რომ მათ მიერ უკვე წარდგენილი იყო საქმეში ყველა მტკიცებულება და დამატებითი დოკუმენტაცია აღარ გააჩნდათ. ამის გამო, საქმე ექსპერტიზის ჩატარებლად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

17. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება:

17.1. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიჩნეული ფაქტების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მეორე დირექტორმა (მოსარჩელემ) და საწარმომ (შეგებებულმა მოსარჩელემ) შექმნეს სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, კერძოდ:

17.1.1. ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებით, მათ იკისრეს – ერთობლივად ემოქმედათ საერთო სამეურნეო მიზნის (ცხვრის ხორცის საქართველოდან ერაყში ექსპორტი) მისაღწევად, ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით (მეორე დირექტორი მოიძიებდა აუცილებელ ფულად სახსრებს; საწარმო კი, მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მასთან დასაქმებული მუშა-მოსამსახურეებით, უზრუნველყოფდა შეძენილი ცხვრის დაკვლას, დამუშავებას, ცხვრის ხორცის საქსპორტოდ მომზადებას /შეფუთვა-მარკირებას/ და ექსპორტს ერაყში), იურიდიული პირის შეუქმნელად;

17.1.2. იმავე კოდექსის 932-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილეებმა შეიტანეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები: მეორე დირექტორმა – ფულადი თანხები, საერთო ჯამში 221 978 ლარის ოდენობით, საწარმომ კი – შენატანი განახორციელა მომსახურების განვითარებით; ამასთან, მხარეები არ შეთანხმებულან შენატანების ამა თუ იმ მონაწილისათვის მიკუთვნებაზე, ამდენად – შენატანები ჩაითვალა ორივე მონაწილის თანასაკუთრებად; თანასაკუთრებადვე უნდა იქნეს მიჩნეული ყველაფერი, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე;

17.1.3. სსკ-ის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამხანაგობის საქმეების გაძლოა დაეკისრა მეორე დირექტორს (მოსარჩელეს): ის წარმოადგენდა ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებებიც ნამდვილია; ხოლო მოხმობილი ნორმის მე-5 ნაწილის თანახმად, მისი უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს დავალების წესების შესაბამისად.

18. სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიიჩნია მეორე დირექტორის თანამდებობიდან გა-

თავისუფლების კანონიერების შეფასება და აღნიშნა, რომ ამ ნაწილში, მეორე დირექტორისა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობა მოიცავდა როგორც ზოგადად სამოქალაქოსამართლებრივი რეგულაციის ელემენტს (ამხანაგობის საქმეების გაძღოლაზე უფლებამოსილი პირისათვის ამ უფლების ჩამორთმევა), ისე სპეციალურ – საკორპორაციო სამართლით მოწესრიგებულ ელემენტს (საწარმოს დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა). იმის გათვალისწინებით, რომ მეორე დირექტორისათვის ამხანაგობის საქმეების გაძღოლის უფლების მინიჭება განხორციელდა მისი საწარმოს დირექტორად დანიშვნით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების კანონიერება უნდა შემომნებულებიყო არა სსსკ-ის 934-ე მუხლის მე-4 ნაწილის, არამედ – მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო ნორმების გამოყენებით.

18.1. სააპელაციო სასამართლომ დასახელებული სპეციალური კანონის მე-9 მუხლის მოწესრიგებაზე მიუთითა:

18.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს დირექტორს (1-ლი პუნქტი);

18.1.2. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში (მე-2 პუნქტი);

18.1.3. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მე-3 პუნქტი);

18.1.4. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებით (მე-7 პუნქტი);

18.1.5. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია წყდება, თუ მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა უფლებამოსილი პირის განცხადება რეგისტრირებული პირის გათავისუფლების თაობაზე (მე-7¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი); ამგვარი განცხადების წარდგენამდე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააგზავნოს შეტყობინება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით (მე-7² პუნქტი).

18.2. სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებული ნორმე-

ბის ანალიზის შედეგად, განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს შორის არსებობს ე.წ. სამოსამსახურო ხელშეკრულება, სსკ-ის 709-ე-723-ე მუხლებით გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულება: რწმუნებული (ამ შემთხვევაში – დირექტორი) ვალდებულია – შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე (709-ე მუხლი), რისთვისაც იგი იღებს გასამრჯელოს (710-ე მუხლი). ამასთან, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს და შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია (720-ე მუხლი). ამდენად, მარწმუნებლის მიერ დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთებას, რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე მითითებით, კანონმდებელი არ ითვალისწინებს. ამგვარ სამართლებრივ ურთიერთობაზე საქართველოს შრომის კოდექსის რეგულაციები (გარდა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7² პუნქტით დადგენილი შემთხვევისა) არ ვრცელდება.

18.3. სააპელაციო სასამართლომ, განსახილველი შემთხვევის შეფასებისას მიუთითა, რომ დადგენილი იყო, ერთადერთმა პარტნიორმა (საწარმოს უფლებამოსილმა პირმა) წარუდგინა სამენარმეო რეესტრს განცხადება მეორე დირექტორის (მოსარჩელის) თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც დარეგისტრირდა კიდეც; ამდენად, რეგისტრაციის მომენტიდან, მეორე დირექტორის უფლებამოსილება შეწყდა. ის ფაქტი, არსებობდა თუ არა რაიმე დასაბუთებული პრეტენზია პარტნიორის მხრიდან დირექტორის მიმართ, ანდა ის, რომ მეორე დირექტორი წინასწარ არ იქნა გაფრთხილებული ამ გადაწყვეტილების მიღების შესახებ, არ იწვევდა ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და, შესაბამისად, დირექტორის თანამდებობაზე მის აღდგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე დირექტორის ეს სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

19. მეორე დირექტორის მოთხოვნაზე (აუნაზღაურდეს მის მიერ განუხლები ხარჯები საწარმოსა და მისი ერთადერთი პარტნიორისაგან) მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდაპირველად, მოსარჩელე უთითებდა, რომ მან თანხები ასესხა საწარმოს, თუმცა – ვინაიდან სესხის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ იყო წარდგენილი, მოსარჩელემ მოითხოვა ამ თანხების უკან დაბრუნება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე მითითებით. სააპელაციო სასამარ-

თლოს შეფასებით, დადგენილია, რომ მეორე დირექტორს სანარმოს სალაროში შეტანილი აქვს თანხები საერთო ჯამში 221 978 ლარის ოდენობით, სხვა რაიმე ხარჯის განხილვის დამადასტურებელი, უტყუარი და სათანადო მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ არის (ფაქტობრივად არსებული დოკუმენტაცია ამ მხრივ არასათანადოდ და არასაკმარისად შეაფასა როგორც შპს „ბ-მა“, ასევე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ).

19.1. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 935-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა, რომლის თანახმად, თუ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად; ამავე კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად; ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს; ხოლო 940-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად; ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებული არიან, გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

19.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელი მანამ, სანამ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის წევრები გაიყოფენ საერთო ქონებას, სავალდებულოდ მიიჩნევს შემდეგი მოქმედებების განხორციელებას: ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებების დამთავრებას, საინვენტარიზაციო ნუსხის შედგენას, ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალების დაფარვას. მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი მოქმედებები არ არის განხორციელებული და ვერც განხორციელდება, სანამ სანარმო არ მიიღებს ერაყში ექსპორტირებული ცხვრის ხორცის ფასს – 126 880 აშშ დოლარს (იხ. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, 2.7-2.8 ქვეპუნქტები).

19.3. სანარმოს შეგებებული სარჩელის მოთხოვნებზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის დასაბუთება ერაყული კომპანიისაგან ნასყიდობის მიუღებელი ფასის სანარმოსათვის ზიანად მიჩნევისა და მისი სრული

ოდენობით მეორე დირექტორისათვის გადახდევინების თაობაზე უსაფუძვლო იყო, რადგან მოსარჩელე დავობდა ერაყში აღძრული სარჩელით, ამ თანხის ამოღების მიზნით; შესაბამისად, სანამ საბოლოოდ არ ამოინურება ამ თანხის გადახდევინების ყველა საშუალება და დავალიანება არ იქცევა ე.წ. „უიმედო ვალად“, სანარმოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ არსებობს და ვერც მისი ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მეორე დირექტორს (ძირითად მოსარჩელეს). ამიტომ, ამ ნაწილში შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორად და კანონიერად მიიჩნია სასამართლომ.

19.4. სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს – მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ ამხანაგობის საქმეების გაძლოა ეკისრება ერთ-ერთ მონაწილეს (934-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მისი უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს დავალების წესების შესაბამისად (934-ე მუხლის მე-5 ნაწილი). იმავე კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე; ხოლო 715-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რწმუნებული მოვალეა – დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა ამხანაგობის ხელმძღვანელ პირს და, იმავდროულად, სანარმოს დირექტორსაც, იგი ვალდებული იყო, საკუთარი მოვალეობები შეესრულებინა კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით; ამგვარ ვალდებულებას დირექტორს ასევე აკისრებს „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ დირექტორი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირ-

დაპირ და უშუალოდ.

19.5. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მეორე დირექტორის მიერ ამხანაგობის ხელმძღვანელობის (საწარმოს დირექტორობის) პერიოდში, გამოვლინდა მატერიალური დანაკლისი შემდეგი ოდენობებით: 68 185.28 ლარს + 7234 ლარი + 2600 ლარი; ესე იგი, მეორე დირექტორს, დავალების შესასრულებლად, ამხანაგობისაგან გადაეცა და შემდგომში, გადაცემულის საფუძველზე, შეიძინა გარკვეული, სწორედ ამ ღირებულების ქონება. ფაქტია, რომ დავალების ხელშეკრულება შეწყვეტილია: მოსარჩელეს შეწყვეტილი აქვს დირექტორის (ამხანაგობის ხელმძღვანელის) უფლებამოსილება და მას ეს ქონება, სსკ-ის 715-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დაუბრუნებია მარნმუნებლისათვის – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობისათვის. ვინაიდან, ამხანაგობის მონაწილე, 1/2 წილით, თავად მეორე დირექტორიცაა, საწარმო, როგორც ამხანაგობის მეორე მონაწილე 1/2 წილით, უფლებამოსილია – მეორე დირექტორისაგან მოითხოვოს ამ თანხების მხოლოდ 1/2 ნაწილის გადახდა.

19.6. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს შეგებებული სარჩელი 68 185.28 ლარის 1/2-ის (რაც შეადგენს 34 592.64 ლარს), 7234 ლარის 1/2-ის (რაც შეადგენს 3 617 ლარს) და 2600 ლარის 1/2-ის (რაც შეადგენს 1 300 ლარს) გადახდევინების მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ და დააკმაყოფილა. შესაბამისად, გაუქმდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის უარყოფის ნაწილში რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი.

20. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

20.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თავდაპირველმა მოსარჩელემ (მეორე დირექტორმა) და საწარმომ (მოპასუხემ, იმავდროულად შეგებებული სარჩელის ავტორმა).

20.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, კერძოდ:

20.2.1. მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა და საწარმოს დირექტორის პოზიციაზე აღდგენა;

20.2.2. საწარმოსა და მისი ერთადერთი პარტნიორისათვის სოლიდარულად 295 930. 18 ლარის (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაათი ლარისა და თვრამეტი თეთრის) დაკისრება;

20.2.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოპასუხეთა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოპასუხეთა შეგებებული სარჩელის უარყოფა, ანუ მოპასუხეთა სასარგებლოდ მოსარჩელეს არ უნდა დაეკისროს რაიმე თანხის გადახდა;

20.2.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2.1. პუნქტის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 სექტემბრისა და 2015 წლის 28 მაისის განჩინებები, კერძოდ, შპს „ე-ის“ 2014 წლის 15 მაისის №72/1 აუდიტორული დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ. პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის გვ.3);

20.3. პირველი კასატორმა მოითხოვა საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“, „ბ“ (არ უთითებს კონკრეტულად საკასაციო სასამართლოს რომელი გადაწყვეტილება/განჩინებისაგან განსხვავდება გასაჩივრებული გადაწყვეტილება) და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე;

20.4. პირველი კასატორი შემდეგ ძირითად პრეტენზიებზე უთითებს:

20.4.1. სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგანი და საფუძვლები, რადგან მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაზე (სსკ-ის 930-ე მუხლი), ასეთი გარემოება მოპასუხეს არ მიუთითებია არც სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელში, შემდეგ – არც შეგებებულ სარჩელში. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. კასატორი არ ეთანხმება ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე დავის გადაწყვეტას და „კურიოზულად“ აფასებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე, როგორც სანარმოს დირექტორი საკუთარ თავს შეუთანხმდა სანარმოში თანხების შეტანაზე და იმაზე, რომ თანხას აღარ მოითხოვდა, „ანუ – ვის მიაკუთვნა ეს თანხა და რას აკეთებდა, არ იცოდა“ (იხ. ტ.8, საკასაციო საჩივრის 6-19 გვ.);

20.4.2. სანარმოში თანხები შეჰქონდა მხოლოდ მეორე დირექტორს (თავდაპირველ მოსარჩელეს), რაზეც თვითონ მოპასუხეებმა მიუთითეს თავიანთ ერთობლივ შესაგებელში, ასევე, სანარმომ – შეგებებულ და დამატებით შეტანილ შეგებებულ სარჩელებში, ამასთან, ორივე მოპასუხემ აღნიშნა სააპელაციო საჩივარში, რომ სანარმოს ერთადერთი პარტნიორის ვიზიტები საქართველოში შემოიფარგლებოდა მხოლოდ ორი დღით და ისიც სანარმოს დახმარების მიზნით, კერძოდ, ცხვრის დაკვლა-და-

მუშავეების დროს მუსულმანური ადათების გამოსაყენებლად. პირველი კასატორის მტკიცებით, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამატებით ადასტურებდა იმას, რომ სანარმოში ფულადი სახსრები მხოლოდ მისი შეტანილია, ის ერაყშიც კი გაჰყვა საექსპორტოდ გაგზავნილ ხორცს;

20.4.3. სამართლებრივად უნდა შეფასდეს, რომ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა არა პარტნიორმა, არამედ სანარმომ, რომელსაც ჰყავდა ორი დირექტორი, რომელთაგან ერთი – სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელია. თუკი მხარეები ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმდნენ, რომლის ხელმძღვანელიც იყო ძირითადი მოსარჩელე, მაშინ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით;

20.4.4. მოპასუხეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება, რომ მეორე დირექტორი (თავდაპირველი მოსარჩელე) მოქმედებდა არა როგორც სანარმოს ხელმძღვანელი, არამედ, სანარმოს 100%-იანი წილის მესაკუთრისაგან სპეციალური უფლებამოსილებით მინიჭებულ ფარგლებში.

20.4.5. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცებების ტვირთი (სსსკ-ის 102-ე მუხლი; სუსგ №ას-1249-1239-2011, 04.04.2012წ; №ას-135-131-2015, 19.04.2016წ.).

20.4.6. კასატორი უთითებს, თუ რა ვითარებაში გაიცნო სანარმოს ერთადერთი პარტნიორი, როგორ გადაწყდა მისი მოპასუხე სანარმოს მეორე დირექტორად დანიშვნა; კასატორის მტკიცებით, მან სანარმოში შეიტანა 295 930.18 ლარი; სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სანარმოს დირექტორმა სანარმოში ეტაპობრივად შეიტანა სულ 221 978 ლარი. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული „სალაროს ორდერები“, რომლებითაც დასტურდება, რომ კონკრეტულმა პირმა შეიტანა სანარმოში თანხა და, შესაბამისად, ეს პირი ამ სანარმოს დებიტორია ანუ შემდგომში მოთხოვნის უფლების მქონე პირი. სასამართლომ არ გაიზიარა მეორე დირექტორის მტკიცება, რომ სანარმოს სესხად გადასცა თანხა, რაც უნდა დაუბრუნდეს მას, როგორც გამსესხებელს (სსკ-ის 623-ე-624-ე მუხლები);

20.4.7. კასატორი უთითებს მოწმე ი. გ-ის განმარტებაზე, რომელიც სადავო პერიოდში სანარმოს ბუღალტერი იყო, რომელმაც, ასევე, დაადასტურა სანარმოში მეორე დირექტორის მიერ 221 978 ლარის შეტანა, იგივე დაადასტურა მეორე მოწმემ – ლ. ხ-მაც, თავად მოპასუხესაც არ გაუხდია სადავოდ, რომ სწორედ დასახელებული თანხა შეიტანა დირექტორმა სანარმოში

და თვითონვე წარადგინა მტკიცებულება; შესაბამისად, არასწორია ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოსარჩელესა და მოპასუხე სანარმოს შორის თანხების 1/2-ზე გაყოფის პრინციპით გადანაწილება;

20.4.8. პირველი კასატორი დავობს სანარმოს დირექტორის პოზიციიდან მისი არასწორად გათავისუფლების გამო;

20.4.9. კასატორი არ ეთანხმება შეგებებული სარჩელის მოთხოვნას თავდაპირველი მოსარჩელისათვის, ერაყში გატანილი ცხვირს ხორცის ღირებულების – 126 880 აშშ დოლარის, სანარმოს სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში დასაბუთებულად და კანონიერად მიაჩნია გასაჩივრებული გადანაკვეთილება

20.4.10. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა შპს „ე-ის“ (აუდიტორი – მ. ქ-ე) დასკვნა, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 52-ე მუხლი. 2014 წლის 15 მაისს პირველ კასატორს ჰქონდა ორი სტატუსი: ერთი – ფიზიკური პირის, რომელმაც კუთვნილი თანხები შეიტანა სანარმოში; მეორე – იმ სანარმოს წარმომადგენლის, სადაც თავდაპირველმა მოსარჩელემ შეიტანა თანხები. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი სტატუსით მიმართავდა მოსარჩელე აუდიტორს დასკვნის მოსამზადებლად, რადგან შედეგი ერთი და იგივე იქნებოდა. ამდენად, სასამართლომ არასწორად ამოიღო ეს დასკვნა საქმიდან, რეალურად მას გაუჭირდა დასკვნის შეფასება;

20.4.11. პირველი კასატორი უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე ცხვირის დაკვლა-დამუშავებასთან დაკავშირებით, ასევე – საბუღალტრო დოკუმენტაციის შესახებ მსჯელობაზე, საიდანაც, მისი მოსაზრებით, დასტურდება, რომ სწორედ მეორე დირექტორმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) შეიტანა სანარმოში თანხა (იხ. პირველი კასატორის საკასაციო განაცხადი);

20.4.12. მოსარჩელისაგან თავის დასაცავად მოპასუხის მიერ აღძრული შეგებებული სარჩელი სრულიად დაუსაბუთებელია;

20.4.13. პირველი კასატორი უთითებს, რომ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე ხორციელდება საქონლის ტრანსპორტირების პროცესი, ხოლო საქონლის რაოდენობა და ღირებულების გადახდა დასტურდება შესყიდვის აქტით. პირველი კასატორი აკრიტიკებს მოპასუხის მიერ წარდგენილ „ბ-ის“ დასკვნას, ასევე, ყურადღებას ამახვილებს, რომ შეგებებული სარჩელის პრეტენზია ეხება ცხვირის წონას. კასატორი უთითებს, რომ წარმოუდგენელია, 924 ცხვარი იყოს ერთი და იგივე წონის; ამდე-

ნად, სანარმოს მტკიცება, რომ მას ცხვრის დაკვლა-დამუშავების შედეგად მიადგა ზიანი, უსაფუძვლოა; ამ კონტექსტში პირველი კასატორი აკრიტიკებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში ასახულ მსჯელობასა და დასკვნებს ცხვრის ხორცის წონის „სავარაუდო მათემატიკური გაანგარიშების“, როგორც სანარმოსათვის მიყენებული მატერიალური დანაკლისის თაობაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა სავარაუდო გაანგარიშებით, არამედ – უტყუარი მტკიცებულებებით;

20.4.14. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა თავდაპირველი მოსარჩელისათვის 126 880 აშშ დოლარის დაკისრებაზე, ასევე, უსაფუძვლოდ მიაჩნია პირველ კასატორს, რადგან საქონელი ჩავიდა დანიშნულების ადგილას – ერაყში, ხოლო მისი თანხა პირველ კასატორს, როგორც სანარმოს დირექტორს, არ მიუღია (იხ. პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის 33-35 გვ.);

20.4.15. კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ ყოფილი დირექტორის რომელიმე ქმედებით სანარმოს ზიანი მიადგა და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით ერთმანეთთან არის გაიგივებული სანარმოს ხელმძღვანელისა და ამხანაგობის თავმჯდომარის ცნებები, რამაც არასწორ დასკვნამდე მიიყვანა სააპელაციო სასამართლო, როდესაც მოსარჩელესა და მოპასუხეს, როგორც ვითომდა ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს შორის გადაანაწილა თანხა. რეალურად არავითარი ფორმით არ შექმნილა ამხანაგობა. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სასამართლო ხან „მენარმეთა შესახებ“ კანონის ნორმებზე უთითებს და ხან – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მომწესრიგებელ მუხლებზე;

20.5. მეორე კასატორი – სანარმო სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას ნაწილობრივ ასაჩივრებს, კერძოდ მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი თავდაპირველი მოსარჩელისათვის 126 880 აშშ დოლარისა და 121 566 ლარის დაკისრების თაობაზე, ასევე, მოითხოვს, რომ შეგებებული სარჩელის მოპასუხეს დაეკისროს სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით სანარმოს მიერ განეული ხარჯების – 14 461 ლარის ანაზღაურება;

20.5.1. სანარმო უთითებს, რომ ყველა ფინანსურ დოკუმენტაციას ხელს აწერდა მეორე დირექტორი, რომელიც ამ დავაში თავდაპირველი მოსარჩელეა და სწორედ იგი ლებულობდა ყველა მნიშვნელოვან გადანყვეტილებას სანარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით;

20.5.2. მეორე დირექტორი არის პასუხისმგებელი ერაყში სა-

ექსპორტოდ გატანილი ცხვრის ხორცის ღირებულების ანაზღაურებაზეც, რადგან ხორცის გატანის ორი წარუმატებელი მცდელობისა და საწარმოს ერთადერთი პარტნიორის მიერ ერაყული კომპანიისადმი გამოხატული არასანდოობის მიუხედავად, სწორედ მეორე დირექტორმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) დაიწინა საქონლის მესამედ გატანა, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა. ეს გარემოება დაადასტურა სასამართლოზე მოწმის სახით მინვეულმა ა. ნ-აც; ამდენად, დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც უარყოფილია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მეორე დირექტორისათვის 126 860 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე;

20.5.3. მეორე კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს 924 ცხვრის წონის თაობაზე, რომელიც ორი მონაცემის გასაშუალოებით თვითონ გამოთვალა სასამართლომ და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად დაადგინა მეორე დირექტორისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა, რადგან არ გაითვალისწინა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმე ა. ნ-ის განმარტება (სსსკ-ის 105-ე მუხლი). რეალურად საწარმომ 90 912 ლარის დანაკლისი განიცადა;

20.5.4. მეორე კასატორი არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, დასკვნას, რომ 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2014 წლის 23 მაისამდე საწარმოს მიერ სხვადასხვა პირებისათვის განეული მომსახურების შედეგად უნდა მიეღო შემოსავალი 14 420 ლარი, ფაქტობრივად კი, საწარმოს საბანკო ანგარიშზე მიღებული აქვს 8635 ლარი. სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „ბ-ს“ არ დაუფიქსირებია 14 420 ლარის ოდენობის დანაკლისის არსებობა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მეორე კასატორი განმარტავს, რომ აუდიტის დასკვნაში, პირველი კითხვის პასუხად მითითებულია, რომ საწარმოს სადავო პერიოდში უნდა მიეღო სწორედ 14 420 ლარი, რაც ბუღალტრულად არ აღრიცხულა და შემოსავალში არ აღებულა, რითაც საწარმოს მიადგა ზიანი და მასზე პასუხისმგებელია საწარმოს იმჟამინდელი დირექტორი (პირველი კასატორი), რომელიც რეალური მმართველი და გადაწყვეტილების მიმღები იყო (იხ. საწარმოს საკასაციო საჩივრის 5-6 გვ.);

20.5.5. მეორე კასატორი, ასევე, აკრიტიკებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ხელფასების მიღებაზე შესაბამისი თანამშრომლების ხელმოწერების არარსებობა არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კონკრეტულ პირებს ხელფასი არ

აულიათ. საწარმო უთითებს, რომ ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში უწყისზე ხელმოწერა არის ის მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება კონკრეტული პირის მიერ ხელფასის მიღება. მეორე კასატორი უთითებს, რომ საბუღალტრო დოკუმენტაციით არც ის დასტურდება, რომ საწარმოს სალაროშია ეს თანხა, შესაბამისად, სწორედ მეორე დირექტორია პასუხისმგებელი ხელფასის სახით გაუცემელი თანხის საწარმოსათვის დაბრუნებაზე;

20.5.6. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი, რაც არასწორია, რადგან სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის დანაწესთან, რომელიც ადგენს, რომ დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხის აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

20.6. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული პირველი და მეორე კასატორების საკასაციო საჩივრები სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 3 თებერვლის განჩინებით ორივე საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების საფუძველზე.

20.7. საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განჩინებით დადგინდა საქმის ზეპირი განხილვით, მხარეთა მონაწილეობით განხილვა.

20.8. საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 8 ივნისის სხდომაზე კასატორებმა მხარი დაუჭირეს საკუთარ საკასაციო საჩივრებში მითითებულ პრეტენზიებს. პირველი კასატორის წარმომადგენელმა სასამართლოს წერილობით წარუდგინა განმარტება საკასაციო საჩივრის ძირითად პრეტენზიებზე, ასევე, მეორე კასატორის, როგორც შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით ასახულ გარემოებებზე, რაც საქმეშია მოთავსებული.

20.9. პირველი კასატორის წარმომადგენელმა ყურადღება

გამახვილა სსსკ-ის 407-ე მუხლზე და ორივე კასატორის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესახებ წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიებსა და საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, საქმის განხილვის პროცესულურსამართლებრივ ფარგლებზე მონინაალმდევე მხარეთა მიერ შედავებული გარემოებების მიხედვით.

20.9.1. პირველი კასატორის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მისმა მარწმუნებელმა კუთვნილი პირადი თანხები შეიტანა საწარმოში, რაც დადგენილი აქვს სააპელაციო სასამართლოს (221 978 ლარი) და ამას არ შედავებია პროცესულური მონინაალმდევე. პირველმა კასატორმა, როგორც საწარმოს დირექტორმა, თანხის ნაწილი შეიტანა ბანკში, ნაწილი კი – საწარმოს სალაროში, რაც დასტურდება სალაროს შემოსავლის ორდერით;

20.9.2. პირველი კასატორი არ ყოფილა საწარმოს ერთადერთი დირექტორი და საწარმოს ერთადერთ პარტნიორთან, როგორც დირექტორთან ერთად მართავდა საწარმოს;

20.9.3. პირველმა კასატორმა გააკრიტიკა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი შპს „ე-ის დასკვნა“, რადგან დირექტორი, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, ამოშლილი იყო სამეწარმეო რეესტრიდან და თავდაპირველ მოსარჩელეს, როგორც ფიზიკურ პირს, უფლება ჰქონდა, მიემართა აუდიტორისათვის საკუთარი მტკიცებულების საგანში შემავალი გარემოების დასამტკიცებლად, ანუ საწარმოში თანხის შეტანის ფაქტის დასადასტურებლად. აღნიშნული არ არის უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება და იგი გაზიარებული უნდა იქნეს საქმის განხილვის დროს;

20.9.4. პირველი კასატორის წარმომადგენელმა გამორიცხა ერთობლივ საქმიანობაზე რაიმე სახის ზეპირი შეთანხმების არსებობა საწარმოსა და თავდაპირველ მოსარჩელეს შორის, ამასთან, სასამართლოს კითხვის პასუხად განმარტა, რომ მეორე დირექტორმა მოიძია ფულადი თანხები და სესხის სახით გადასცა საწარმოს; მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს გადასცა თანხა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მან, საწარმოსთან ერთად, მოპასუხედ მაინც დაასახელა ერთადერთი პარტნიორი, რადგან ეს უკანასკნელიც იყო დირექტორი და მონაწილეობდა საწარმოს მართვასა და გადაწყვეტილების მიღებაში (იხ. საკასაციო სასამართლოს 08.06.2017წ. სხდომის ოქმი 13:31:37-დან 13:38:53-მდე);

20.10. მეორე კასატორმა (საწარმომ) სხდომაზე ყურადღება გამახვილა, თუ როგორ დაიწყო საწარმოს ერთადერთი პარტნი-

ორისა და მეორე დირექტორის ურთიერთობა, ეს უკანასკნელი თავიდან სულ სხვა საკითხზე დაუკავშირდა სანარმოს პარტნიორს, თუმცა, შემდეგ ისინი შეთანხმდნენ ცხვრის ხორცის დამზადება-რეალიზაციაზე. კერძოდ, თავდაპირველმა მოსარჩელემ დაარწმუნა სანარმოს პარტნიორი, რომ მას შეეძლო საბუთების მომზადება, ჰქონდა გარკვეული კავშირები, რომელიც საჭირო იყო სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. საქმეში წარდგენილია სანარმოს პარტნიორის მიერ საზღვრის კვეთის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი რეალურად, თვეში ორჯერ თუ ჩამოდიოდა საქართველოში, ისიც სანარმოს საქმიანობაში დასახმარებლად. პირველი კასატორი არის პასუხისმგებელი იმ ქმედებებზე, რასაც იგი ახორციელებდა: ცხვრის დაკვლა-რეალიზაცია ერაყში. სანარმოში 221 978 ლარის რალაც ნაწილი შეიტანა მეორე დირექტორმა, ზუსტად არ დგინდება (იხ. საკასაციო სასამართლოს 08.06.2017წ. სხდომის ოქმი: 13:50:00 – 14:06:48);

20.10.1. მეორე კასატორმა განმარტა, რომ თუ მას დაეკისრება პირველი კასატორის მიერ სანარმოში შეტანილი 221 978 ლარი, მაშინ ერაყში გატანილი ცხვრის ხორცისათვის გადაუხდელი თანხა უნდა დაეკისროს პირველ კასატორს და საბოლოოდ მოთხოვნათა გაქვითვა უნდა მოხდეს. პირველი კასატორი არ დაეთანხმა მეორე კასატორის შეთავაზებას, რომ გასცენ მინდობილობა მეორე დირექტორზე, ეს უკანასკნელი გაჰყვეს პირველ კასატორს ერაყში სასამართლოს წინაშე წარსადგომად, შესაბამისად, თუკი ერაყული კომპანია გადაიხდის 126 880 აშშ დოლარს, მაშინ პირველი კასატორი მიიღებს 221 978 ლარს;

20.10.2. სასამართლოს შეკითხვის პასუხად, მეორე კასატორმა განმარტა, რომ ერთჯერადად ცხვრის შეძენისა და მისი ხორცის ერაყში გატანის თაობაზე სანარმოსა და თავდაპირველ მოსარჩელეს შორის იყო შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაზე (იხ. საკასაციო სასამართლოს 08.06.2017წ. სხდომის ოქმი – 14:43:00-დან);

20.11. საკასაციო სასამართლოს 08.06.2017წ. სხდომაზე სანარმოს პარტნიორმა განმარტა, რომ სანარმოს უშუალოდ მართავდა თავდაპირველი მოსარჩელე, რომელიც თავიდან სულ სხვა საკითხზე უნდა დახმარებოდა სანარმოს პარტნიორს. თავდაპირველი მოსარჩელის წინადადება იყო 4 აშშ დოლარად ცხვრის ყიდვა, რაც 12 აშშ დოლარად გაიყიდებოდა ერაყში; სანარმოს პარტნიორი დაეთანხმა თავდაპირველ მოსარჩელეს, რადგან ამ უკანასკნელმა დაარწმუნა იგი, რომ დამოუკიდებლად შეძლებდა ცხვრის შეძენას, გასაყიდად მომზადებას და

გაყიდვას ერაყში, თავის მხრივ, სანარმოს პარტნიორი ძირითადად თურქეთში იმყოფებოდა, იგი უზრუნველყოფდა ცხვრის გასაყიდად საჭირო ეტიკეტების, შესაფუთი მასალის გამოგზავნას და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებას;

20.11.1. სანარმოს ზარალი მიადგა დირექტორის (თავდაპირველი მოსარჩელის) შეცდომის გამო, არასწორი ეტიკეტირების საფუძველზე დაბრუნებული ხორცის რეალიზაციის შეუძლებლობით. ეს ხორცი თითქმის ერთი თვე ტრიალერიდან ტრიალერში გადაჰქონდათ, მისი მცირე ნაწილი გაფუჭდა. სანარმოს პარტნიორმა დირექტორს უთხრა, რომ აღარ გაეყიდა ხორცი, რადგან მას შიდა ბაზარზე გაიტანდნენ სარეალიზაციოდ. რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე თურქეთში დაბრუნებულ სანარმოს პარტნიორს დაუკავშირდა თავდაპირველი მოსარჩელე, რომელმაც დაიწინა ერაყში ცხვრის ხორცის გაყიდვა საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, მიუხედავად სანარმოს პარტნიორის წინააღმდეგობისა. ამის შემდეგ, დაიძაბა ურთიერთობა სანარმოს პარტნიორსა და დირექტორს შორის, ეს უკანასკნელი ხმამაღლა, ყვირილითაც კი ესაუბრა სანარმოს ერთადერთ პარტნიორს ტელეფონზე. ყოველივე ამის შემდეგ, სანარმოს პარტნიორმა მიიღო თავდაპირველი მოსარჩელის დირექტორის პოზიციიდან გათავისუფლების გადანყვეტილება (საკასაციო სასამართლოს 08.06.2017წ. სხდომის ოქმი – 14:49:39-დან);

20.11.2. სანარმოს პარტნიორმა ყურადღება გაამახვილა აუდიტორ ქ-ის დასკვნაზე, რომელიც იმდენად არასწორად და არაპროფესიონალურად იყო შედგენილი, რომ თავად აუდიტორი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში სასამართლო სხდომაზე;

20.11.3. სანარმოს წარმომადგენელმა „ე-ის“ დასკვნასთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ თავდაპირველ მოსარჩელეს, როგორც ფიზიკურ პირს, არ ჰქონდა აღნიშნული დასკვნის მომზადების დაკვეთის უფლებამოსილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვის, მხარეთა განმარტებებისა და მტკიცებულებათა ერთბლივად განალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც პირველი, ისე მეორე კასატორების საკასაციო საჩივრები და გასაჩივრებული გადანყვეტილება ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს ახალი გადანყვეტილების მიღებით.

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის

ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე კასატორის პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია.

22. უწინარესად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზიაზე, რომელიც საწარმოში დირექტორის თანამდებობაზე მის აღდგენას უკავშირდება და განმარტავს, რომ არ არსებობს აღნიშნული საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონისა და სსკ-ის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მენარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები)“; „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა.შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს“; „დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია

გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ – [იხ. სუსგ №ას-655-611-2017, 11.07.2017წ; შდრ. სუსგ-ები: №ას-895-845-2015, 29.01.2016წ; №ას-560-535-2016, 02.09.2016წ.].

23. საკასაციო სასამართლო პირველი კასატორის პრეტენზიის თაობაზე, რომელიც უკავშირდება საწარმოსა და მისი ერთადერთი პარტნიორისათვის 295 930.18 ლარის სოლიდარულად დაკისრებას, აღნიშნავს, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია საწარმოს ერთადერთი პარტნიორისათვის თანხის დაკისრების ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს უდავოდ აქვს დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ საწარმოში 221 978 ლარი შეიტანა პირველმა კასატორმა (პუნქტი მე-11), შესაბამისად, ამ უკანასკნელს მოთხოვნის უფლება შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ საწარმოს და არა მისი პარტნიორის მიმართ.

24. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამართლებრივად იმსჯელებს თავდაპირველი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ იმ ნაწილის დასაბუთებულობაზე, რომელიც საწარმოსათვის 295 930.18 ლარის დაკისრებას ეხება და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, განმარტავს, რომ არ არის გასაზიარებელი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები საწარმოსა და თავდაპირველ მოსარჩელეს შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან (ამხანაგობიდან) გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მე-11 პუნქტი). ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მომწესრიგებელი ნორმებით დადგენილია, რომ ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად (სსკ-ის 930-ე მუხლი), ხოლო ამავ კოდექსის 932-ე მუხლით, რომელიც სახელდებულია შემდეგნაირად: შესატანის შეტანის ვალდებულება, კერძოდ, მისი პირველი ნაწილით დადგენილია: „მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად“, 935.1 მუხლის თანახმად – „თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად“, 937.1 მუხლის საფუძველზე კი – „ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა

განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს“. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე, როგორც უკვე აღინიშნა, კატეგორიულად უარყოფს მხარეთა შორის ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმებას. აღსანიშნავია ისიც, რომ არც საწარმოს შეგებებული სარჩელი ეფუძნებოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას (იხ. საწარმოს შეგებებული სარჩელი, დაზუსტებული სარჩელი), რომ ამ უკანასკნელსა და პირველ კასატორს შორის ერთობლივ საქმიანობაზე იყო შეთანხმება. საწარმოს დირექტორად დანიშვნა, ცხადია არ ნიშნავს, ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე თანხმობას. მეორე კასატორმა საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მიუთითა, რომ მხოლოდ ცხვრის ხორცის შეძენისა და შემდგომი რეალიზაციის ნაწილში იყო შეთანხმება მხარეთა შორის ერთობლივ საქმიანობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 20.10.2. ქვეპუნქტი), თუმცა, სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა საკუთარი პოზიცია.

25. სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება საწარმოში მისი დირექტორის მიერ 221 978 ლარის შეტანის თაობაზე დამტკიცებულია, ამდენად, პირველი კასატორი ვერ უთითებს ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც მან წარუდგინა სასამართლოს, 221 978 ლარის გარდა, საწარმოში დამატებით 73 952.18 (295 930.18 – 221 978) ლარის შეტანის დასადასტურებლად და რომელიც არ შეაფასა ან არასათანადოდ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ. სადავო თანხის შესახებ საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს მეორე კასატორის მიერ 20.10 ქვეპუნქტში ასახულ პოზიციაზე, რომლის საპასუხოდ საკასაციო სასამართლომ იმავე სხდომაზე – 08.06.2017წ. გამოაქვეყნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი (პუნქტი მე-11), საბოლოოდ, მსჯელობისა და შეფასების საგანია საწარმოსათვის სესხად 221 978 ლარის თავდაპირველი მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნის უფლების არსებობა, რომელიც იმხანად საწარმოს მეორე დირექტორი იყო და სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საწარმოსათვის პირადი ხარჯები გასწია, სხვა პირებისაგან მოიძია და საწარმოს სესხად მისცა სადავო თანხა (იხ. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ წარდგენილი განცხადება; სარჩელი), იდენტურ ფაქტებზეა მითითებული თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელშიც და შემდეგ – სააპელაციო საჩივარში (იხ. შეგებებული სარჩელის შესაგებელი), ასევე, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპ-

ზეც.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საწარმოს არ წარუდგენია დასაბუთებული შედაგება სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლითაც დამტკიცებულია საწარმოში 221 978 ლარის შეტანა მეორე დირექტორის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველ მოსარჩელეს, როგორც დირექტორს არ ევალებოდა საწარმოსათვის თანხის სესხად მიცემა, ხოლო თვითონ საწარმო უარყოფს, რომ მან სესხად მიიღო 221 978 ლარი, თუმცა, ვერ უთითებს, თუ რა საფუძველით აღმოჩნდა საწარმოში დირექტორის მიერ შეტანილი თანხა, უფრო მეტიც, მეორე კასატორის (საწარმოს) წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ თუკი ერაყული კომპანია გადაიხდის 126 880 აშშ დოლარს, მაშინ პირველი კასატორი მიიღებს 221 978 ლარს (იხ. ამ განჩინების 20.10.1. ქვეპუნქტი); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს კონდიქციური ნორმებიდან, რადგან ვალდებულების გარეშე საწარმოსათვის გადაცემული 221 978 ლარით ეს უკანასკნელი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ხოლო დირექტორს (თავდაპირველ მოსარჩელეს), თავის მხრივ, წარმოეშვა უსაფუძვლოდ (ვალდებულების გარეშე) გადახდილი თანხის დაბრუნების უფლება სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

27. ამდენად, საკასაციო სასამართლოს ნაწილობრივ დასაბუთებულად მიაჩნია პირველი კასატორის პრეტენზია, რაც მისი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხე საწარმოს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელისათვის უსაფუძვლოდ გადაცემული 221 978 ლარის გადახდა.

28. მეორე კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმას განმარტავს, რომ მისი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დირექტორისათვის (თავდაპირველი მოსარჩელისათვის) 126 880 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში (იხ. დაზუსტებული შეგებებული სარჩელი; პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებაში შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა; საწარმოს სააპელაციო საჩივარი), რომელიც ერაყულ კომპანიასთან საწარმოს სახელით მისი დირექტორის მიერ დადებული გარიგების საფუძველზე გადაუხდელ თანხას, საწარმოსათვის მიყენებული ზიანის სახით,

ეხება, დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება ამ ნაწილში უარყოფილია იმის გამო, რომ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის სახით არ არსებობს მოთხოვნის საფუძველი, ამასთან, როგორც თავად მეორე კასატორმა განმარტა, სასამართლო საქმისწარმოება საწარმოს სარჩელის საფუძველზე ცხერის ხორცის შემსყიდველი ერაყული კომპანიის წინააღმდეგ ჯერ არ დასრულებულა.

29. მეორე კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება არასრულად დაკმაყოფილებულ შეგებებულ სარჩელს, მოპასუხე დირექტორისათვის (თავდაპირველი მოსარჩელისათვის) 121 566 ლარის დაკისრების ნაწილში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს სააპელაციო პრეტენზია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, და აპელანტის მიერ, მოთხოვნილი თანხიდან ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეორე დირექტორს (თავდაპირველ მოსარჩელეს) დაეკისრა 34 592.64 ლარი, 1300 ლარი და 3617 ლარი (საერთო ჯამში – 39 509.64 ლარი). მეორე კასატორი საკუთარ საკასაციო განაცხადში ითხოვს შეგებებული სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებას 121 566 ლარის მოცულობით (იხ. საწარმოს საკასაციო საჩივარი). იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას მოდავე მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაზე შეთანხმების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, სამართლებრივად უნდა შეფასდეს, საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველები საწარმოსთან მიმართებით.

30. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დასაბუთებულია დირექტორის პასუხისმგებლობის ნაწილში მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რაც, ასევე, დამატებითი არგუმენტია გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ თავდაპირველი მოსარჩელე, რომელიც საწარმოს დირექტორი იყო, იმავდროულად ერთობლივ საქმიანობაზე იყო შეთანხმებული საწარმოსთან. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ თავდაპირველ მოსარჩელესა და საწარმოს შორის ურთიერთობა შეიცავდა, როგორც სამოქალაქო სასამართლებრივი ურთიერთობისათვის, ისე საკორპორაციო სასამართლით მონესრიგებულ ელემენტს (საწარმოს დირექტორისათვის უფულე-

ბამოსილების შეწყვეტა) – იხ. ამ განჩინების მე-18 პუნქტი. საკასაციო სასამართლოს წინააღმდეგობრივად მიაჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღნიშნული მსჯელობა და ამ განჩინების 19.5 ქვეპუნქტში ასახული დასკვნა, რომ მოსარჩელეს შეწყვეტილი აქვს დირექტორის (ამხანაგობის ხელმძღვანელის) უფლებამოსილება (სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მას ეს ქონება, სსკ-ის 715-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დაუბრუნებია მარწმუნებლისათვის – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობისათვის.

31. განსახილველ შემთხვევაში საწარმოს დირექტორის პოზიციიდან გათავისუფლება, რაც სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილების რეგისტრაციის გზით განხორციელდა, არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საწარმოსა და თავდაპირველ მოსარჩელეს შორის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობიდან გამომდინარე ურთიერთობის საფუძველზე შეწყდა ურთიერთობა. საწარმოს დირექტორი გათავისუფლდა იმის გამო, რომ იგი არაკეთილსინდისიერად უძღვებოდა საქმეებს, მას დაეძაბა ურთიერთობა საწარმოს ერთადერთ პარტნიორთან, ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საწარმოს დირექტორის გათავისუფლება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა და მართლზომიერია.

32. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებლად მიაჩნია საწარმოს სახელით სარეალიზაციოდ დამზადებული ცხვრის ხორცის რაოდენობრივ დანაკლისთან დაკავშირებით მეორე კასატორის (შეგებებული მოსარჩელის) პრეტენზია. თავდაპირველი მოსარჩელის განმარტების, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების და საწარმოს მიერ დასამტკიცებელი გარემოების (დაკლული ცხვრის ხორცის ოდენობის) თაობაზე, ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნისა და ფაქტების კონსტატაციის ოქმის, ასევე, საქმეში მოთავსებული ხორცის გადაზიდვის დოკუმენტების, მხარის განმარტების სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე ერთობლივად შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საწარმომ დაამტკიცა თავისი მოთხოვნის საფუძველიანობა მოპასუხე დირექტორისათვის (თავდაპირველი მოსარჩელისათვის) 90 912 ლარის დაკისრების ნაწილში. საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, დაკლული და სარეალიზაციოდ გამზადებული ცხვრის ხორცის საშუალო მაჩვენებლის სასამართლოს მიერ გამოანგარიშების თაობაზე, რადგან შპს „ბ-ის“ დასკვნისა და ფაქტების კონსტატაციის ოქმზე (იხ. ფაქტების კონსტატაციის ოქმი, რომელზედაც საა-

პელაცო სასამართლომ განმარტა, რომ საწარმომ საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე დიდი ცხვარი შეარჩია დასაკლავად დაყრდნობით, უკვე დაკლული ცხვრის ხორცის გასაშუალებულ მონაცემზეა მითითებული, რომლის საფუძველზეც დაინგარიშა საწარმომ მისი დირექტორის მიერ მიყენებული მატერიალური დანაკლისი (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მე-12 პუნქტი). საწარმოს აღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგოდ, შეგებებული სარჩელის მოპასუხემ (მეორე დირექტორმა) გადაზიდვის მხოლოდ ერთ დოკუმენტზე მიუთითა, რომელშიც მითითებულია „ბატკანი“ და არა „ცხვარი“, ხოლო სხვა საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოთხოვნილი ოდენობის მატერიალური დანაკლისი საწარმოს არ მისდგომია, თავდაპირველ მოსარჩელეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია საკასაციო პრეტენზიის დაკმაყოფილება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო სასამართლო დამატებით იმასაც განმარტავს, რომ სარეალიზაციოდ ცხვრის ხორცის გატანა მოხდა საწარმოს (მეორე კასატორის) სახელით, რომელიც ერაყულ კომპანიასთან იმყოფება ნასყიდობის სახელშეკრულებით ურთიერთობაში, შესაბამისად, აღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი შეფასებიდან მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პირველ კასატორსა და მეორე კასატორს შორის არ ყოფილა შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე (ამხანაგობაზე). საწარმოს სახელით დირექტორი (თავდაპირველი მოსარჩელე) მოქმედებდა, რომელიც პასუხისმგებელია მისი დირექტორად ყოფნის პერიოდში საწარმოს სახელით განხორციელებულ ქმედებებზე, რაც სამენარმეოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული.

33. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, რომელიც უკავშირდება საწარმოსათვის დირექტორის არასათანადო ქმედებით მიყენებულ მატერიალურ დანაკლისს – ორი ხარის შესაძენად გადახდილი 2600 ლარისა და საწარმოს სალაროში ნაშთის სახით 7234 ლარის არარსებობის თაობაზე 2014 წლის 23 მაისისათვის, რაც ემყარება შპს „ბ-ის“ დასკვნას (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მე-15 პუნქტი), საბოლოოდ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის დირექტორად ყოფნის პერიოდში საწარმოში 100 746 ლარის (90 912+2600+7234) მატერიალური დანაკლისი გამოვლინდა და სწორედ ამ მოცულობით უნდა დაკმაყოფილდეს საწარ-

მოს შეგებებული სარჩელი.

34. მეორე კასატორის (შეგებებული სარჩელის) პრეტენზიები დანარჩენ ნაწილში უსაფუძვლოა და არ არსებობს მათი დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

35. სსსკ-ის 4.1 და მე-5 მუხლების საფუძველზე სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე პირთა თანასწორობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. განსახილველ შემთხვევაში თითოეული საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო მხარეთა კუთვნილი მტკიცების ფარგლებში წარმატებით დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა და პროცესუალური მონინალმდევის მიერ წარდგენილი არგუმენტაციის საპირისპიროდ დაძლეული მტკიცება.

36. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე დასრულდა განსახილველი დავა, ხოლო პირველ და მეორე კასატორებს საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით (თითოეული მხარის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით) შესასრულებელი აქვთ ერთმანეთის მიმართ ფულადი სახის ვალდებულებები, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ზომები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სსსკ-ის 251-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, პირველი კასატორისა და მეორე კასატორის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნები უნდა გაიქვითოს შემდეგნაირად:

36.1. წინამდებარე გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის (პირველი კასატორის) სასარგებლოდ საწარმოს დაეკისრა 221 978 (ორას ოცდაერთი ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი) ლარის გადახდა; საწარმოს (მეორე კასატორის) სასარგებლოდ თავდაპირველ მოსარჩელეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს) დაეკისრა 100 746 (ასი ათას შვიდას ორმოცდაექვსი) ლარის გადახდა;

36.2. პირველი კასატორის სასარგებლოდ საწარმოსათვის

დაკისრებულ 221 978 ლარს უნდა გამოაკლდეს მეორე კასატორის (სანარმოს) სასარგებლოდ თავდაპირველი მოსარჩელისათვის დაკისრებული 100 746 ლარი და, საბოლოოდ, გაქვითვის შედეგად დარჩენილი 121 232 (ას ოცდაერთი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარის გადახდა უნდა დაეკისროს სანარმოს (მეორე კასატორს) თავდაპირველი მოსარჩელის (პირველი კასატორის) სასარგებლოდ.

37. საკასაციო სასამართლო მხარეთა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საკასაციო მოთხოვნების პროპორციულად გადაანაწილებს მათ შორის სახელმწიფო ბაჟს, რაც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე, 251-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შპს „B-T“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. თ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

4.1. თ. ჭ-ის სარჩელი მის სასარგებლოდ შპს „B-T“-ისა და თ. ჩ-ისათვის 295 930.18 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაათი ლარის და თვრამეტი თეთრი) ლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4.2. თ. ჭ-ის სარჩელი მის სასარგებლოდ შპს „B-T“-ისათვის 295 930.18 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაათი ლარის და თვრამეტი თეთრი) ლარის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და, მოსარჩელის სასარგებლოდ, შპს „B-T“-ს დაეკისროს 221 978 (ორას ოცდაერთი ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი) ლარის გადახდა;

4.3. თ. ჭ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

5. შპს „B-T“-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფიდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

5.1. თ. ჭ-ეს შპს „B-T“-ის სასარგებლოდ დაეკისროს 100 746 (ასი ათას შვიდას ორმოცდაექვსი) ლარის გადახდა;

5.2. შპს „B-T“-ის შეგებებული სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

6. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2 ქვეპუნქტსა და 5.1 ქვეპუნქტში მითითებული თანხები გაიქვითოს და გაქვითვის შედეგად დარჩენილი 121 232 (ას ოცდაერთი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარის გადახდა დაეკისროს შპს „B-T“-ს თ. ჭ-ის სასარგებლოდ;

7. შპს „B-T“-ს თ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ უკვე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით 6 300 (ექვსი ათას სამასი) ლარის გადახდა;

8. შპს „B-T“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის გადახდა შემდეგ რეკვიზიტებზე – ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;

9. თ. ჭ-ეს შპს „B-T“-ის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისროს 4 600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარი.

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების შეწყვეტა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-725-693-2016

6 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-
დგენა, კომპენსაციის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ბ-მა (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) და ე. ბ-მა (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს „ს-ისა“ (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“) და შპს „რ-ის“ (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პირველი მოპასუხის (გენერალური დირექტორის) 2013 წლის 24 დეკემბრის №470 და №471 ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და ორივე მოპასუხისთვის სოლიდარულად კომპენსაციის გადახდის დაკისრება, 2013 წლის 24 დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის, თვეში 3100 ლარის ოდენობით.

2. მოსარჩელების განმარტებით, პირველ მოპასუხესთან მუშაობდნენ 2005 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 2009 წლიდან დასაქმებულნი იყვნენ მეორე მოპასუხესთან და 2011 წლიდან ეკავათ ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორისა და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობები. მათი განმარტებით, ისინი კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და არ ჩაუდენიათ არცერთი დისციპლინური გადაცდომა. 2013 წლის 24 დეკემბერს ისინი გაათავისუფლეს თანამდებობებიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულის გათავისუფლებას ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების გამო, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას. მოსარჩევეების განმარტებით, მეორე მოპასუხეს რეალურად არ განუხორციელებია ისეთი ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს გახდიდა მათ გათავისუფლებას. მოსარჩევეებმა მიუთითეს, რომ ე.წ. „ორგანიზაციული ცვლილებების“ შედეგად შემცირდა მხოლოდ 2 საშტატო ერთეული და სახელფასო ფონდი მხოლოდ 3000 ლარის ოდენობით, რაც კომპანიის მთლიანი სახელფასო ფონდის 1%-საც კი არ შეადგენს. ამასთან, კომპანიას დაემატა 3 ახალი თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმდა მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, ხოლო ახალ საშტატო განრიგში თანამდებობების დასახელებებს გადაარქვეს მხოლოდ სახელები, ყოველგვარი ფუნქციების შეცვლის გარეშე.

3. მოსარჩევეებმა აღნიშნეს, რომ ისინი გაათავისუფლეს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მოთხოვნათა უხეშით დარღვევით, კერძოდ, 2013 წლის 22 ნოემბერს მათ ჩაბარდათ მეორე მოპასუხის (წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სახით) 2013 წლის 21 ნოემბრის წერილი, რომლითაც შეატყობინეს საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პირველი მოპასუხის 2013 წლის 15 ნოემბრის №14/58 დადგენილების შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება მოსარჩევეებმა მიიჩნიეს უკანონოდ, ვინაიდან მათ ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ პირველ მოპასუხესთან და, შესაბამისად, მეორე მოპასუხე, რომელიც წარმოდგენილი იყო დირექტორით, ჩათვალეს ხელშეკრულების შეწყვეტაზე არაუფლებამოსილ პირად, ამასთან, შეტყობინებაში მითითებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კოდექსში რეალურად არ არსებობდა. მოსარჩევეებმა მიუთითეს, რომ შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შეწყვეტილიყო შეტყობინების მიღებიდან 3 დღეში, თუმცა 2013 წლის 24 დეკემბრამდე ანუ შეტყობინების მიღებიდან 33 დღის განმავლობაში მოსარჩევეები ჩვეულებრივ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წლის 17 დეკემბერს მათ წერილობით მიმართეს პირველ მოპასუხეს, როგორც დამსაქმებელსა და უფლებამოსილ პირს, და მოითხოვეს

ეცნობებიან, იგეგმებოდა თუ არა მეორე მოპასუხესთან ორგანიზაციული ცვლილებები. აღნიშნულის საპასუხოდ, მათ მიიღეს 2013 წლის 24 დეკემბრის წერილი, საიდანაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ მათ უკვე შეუწყდათ შრომითი ხელშეკრულებები 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამასთან, წერილი შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შემცირდა კომპანიის შტატები და სახელფასო ფონდი, რომელიც ფინანსურ ზიანს აყენებდა კომპანიას. მოსარჩელეებს 2013 წლის 25-26 დეკემბერს ჩაბარდათ პირველი მოპასუხის (კერძოდ, გენერალური დირექტორის) 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანებები, რომლის თანახმად, მათ შრომითი ხელშეკრულებები შეუწყდათ 2013 წლის 23 დეკემბრიდან, ამასთან, არა 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის, არამედ – 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამენარმეო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად კი, ისინი კომპანიის თანამშრომლები აღარ არიან 2013 წლის 20 დეკემბრიდან.

4. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ 2013 წლის 21 ნოემბრის შეტყობინებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეორე მოპასუხემ, რომელიც წარმოდგენილი იყო გენერალური დირექტორის სახით, მოსარჩელეებს აცნობა დამსაქმებლის, პირველი მოპასუხის გადაწყვეტილების, კერძოდ, დირექტორთა საბჭოს 2013 წლის 15 ნოემბრის №14/58 დადგენილების შესახებ, რომლითაც გადაწყდა მათი სამუშაოდან დათხოვნის საკითხი. მოპასუხეების განმარტებით, მოსარჩელეთა თანამდებობებიდან დათხოვნა განხორციელდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კომპანიაში განხორციელებული ძირეული რეორგანიზაციის, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ცვლილების შედეგად, რასაც მოჰყვა რიგი ხელმძღვანელი თანამდებობების, მათ შორის, ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორისა და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობების, გაუქმება. მოპასუხეთა განმარტებით, დღეისათვის კომპანიაში აღარ არსებობს ის თანამდებობები, რაც მოსარჩელეებს ეკავათ. ამავე დადგენილების 6.1 პუნქტის თანახმად, სწორედ მეორე მოპასუხეს, კერძოდ კი, გენერალურ დირექტორს დაევალა დათხოვნის თაობაზე მოსარჩელეთა გაფრთხილება. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელეებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა საჭიროებდა სამენარმეო რეესტრში ცვლილების განხორციელებას, რომელიც დასრულდა 2013 წლის 20 დეკემბერს, აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი მოპა-

სუხის 2013 წლის 15 ნოემბრის №14/58 დადგენილებით დათხოვნილი მოსარჩელებისათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებები გამოიცა 2013 წლის 24 დეკემბერს. მოპასუხეებმა დამატებით აღნიშნეს, რომ მოსარჩელებს, თითოეულს ცალ-ცალკე, მიეცათ კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, აგრეთვე გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია 24 სამუშაო დღის ოდენობით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი პირველი მოპასუხის (გენერალური დირექტორის) 2013 წლის 24 დეკემბრის №470 და №471 ბრძანებები მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი პირველი მოპასუხის (დირექტორთა საბჭოს) 2013 წლის 15 ნოემბრის №14/58 დადგენილება მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. მეორე მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ (თითოეულისთვის ცალ-ცალკე) დაეკისრათ კომპენსაციის სახით თანხის გადახდა 8 თვის ხელფასის – 24 800 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით); ასევე გადაწყვეტილების მიღების დღიდან მის აღსრულებამდე 24 800 ლარის 0,07% გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე. მოსარჩელეთა სარჩელი მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხეების სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩელების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9. ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ მოსარჩელები წარმოადგენდნენ მეორე მოპასუხის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. პირველი მოსარჩელე წარმოადგენდა ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორს, ხოლო მეორე მოსარჩელე – კომერციული ქონების პორტფელის დირექტორს. მათი ყო-

ველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენდა 3100 ლარს;

10. მეორე მოპასუხის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს პირველი მოპასუხე. „სს „ს-ის“ შვილობილი კომპანიის შპს „რ-ის“ ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით, ახალი სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ პირველი მოპასუხის (დირექტორთა საბჭოს) 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, პირველი მოპასუხის შვილობილი კომპანიის – მეორე მოპასუხის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით, დამტკიცდა მეორე მოპასუხის ახალი სტრუქტურა და საშტატო განრიგი; ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, პირველი მოპასუხის შვილობილი კომპანიის – მეორე მოპასუხის ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორი – პირველი მოსარჩელე, გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით; ამავე დადგენილების მე-4 პუნქტის მიხედვით პირველი მოპასუხის შვილობილი კომპანიის – მეორე მოპასუხის კომერციული ქონების პორტფელის დირექტორი – მეორე მოსარჩელე გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით;

11. 2013 წლის 21 ნოემბერს მოსარჩელებს ეცნობათ მხარეთა შორის არსებული სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

12. პირველი მოპასუხის 2013 წლის 24 დეკემბრის №470-ე ბრძანებით პირველი მოსარჩელე გათავისუფლდა მეორე მოპასუხის ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორის თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი;

13. პირველი მოპასუხის 2013 წლის 24 დეკემბრის №471-ე ბრძანებით მეორე მოსარჩელე გათავისუფლდა მეორე მოპასუხის კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი;

14. მოსარჩელებს მიეცათ გამოუყენებელი შვებულებისა და ორი თვის კომპენსაცია;

15. 2013 წლის 24 დეკემბერს მოსარჩელებისათვის გაგზავ-

ნილ წერილებში, მითითებულია, რომ მეორე მოპასუხის პარტნიორის გადაწყვეტილებით განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებები, რაც აისახა კომპანიის წესდების ცვლილებასა და შტატების შემცირებაში, ასევე შემცირებული იქნა კომპანიის სახელფასო ფონდი... ვინაიდან კომპანიას ჰქონდა ზედმეტად გაზრდილი საშტატო ნუსხა, რაც მას ფინანსურ ზიანს აყენებდა, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, როგორც წესდებაში (გაუქმდა დირექტორის შტატები) ასევე, შემცირდა შტატები და სახელფასო ფონდი. წერილის თანახმად, დღეის მდგომარეობით, კომპანიაში მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობები აღარ არსებობს.

16. სააპელაციო პალატამ ყურადღება გამამხვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორთა გათავისუფლების ბრძანებების კანონშესაბამისობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო სწორი კვალიფიკაცია მისცემოდა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელშიც იმყოფებოდნენ მოდავე მხარეები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელები წარმომადგენდნენ მეორე მოპასუხის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობა არ შეიძლება შეფასებულიყო მხოლოდ შრომითსამართლებრივ ურთიერთობად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავდა, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თუ რა უფლება-მოვალეობები იყო სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, ამის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც.

17. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ-მე-3 პუნქტებზე და არ გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია იმის თაობაზე, რომ მათ არ ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით სარგებლობდნენ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რაიმე შეზღუდვა მოსარჩელების წარმომადგენლობით უფლებამოსილებებთან დაკავშირებით რეგისტრირებული არ იყო და არც მეორე მოპასუხის წესდებით იყო გათ-

ვალისწინებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

18. სასამართლომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, დაასკვნა, რომ დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმება და მისი შეწყვეტა ცალსახად წარმომადგენდა საწარმოს მმართველობითი ორგანოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას და შესაბამისად, რამდენადაც „მენარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალურ წესს, გათავისუფლების ბრძანების მართლზომიერების შეფასება ვერ მოხდებოდა შრომის კოდექსის შესაბამისი რეგულაციებით. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა მეორე მოპასუხის წესდების 3.8 მუხლზე, რომლის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, როგორცაა: გენერალური დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და გენერალური დირექტორის მოადგილეების დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ თანხმობის გაცემა და ასევე ამავე წესდების 3.9 მუხლზე, რომლის თანახმად, პარტნიორთა წერილობითი გადაწყვეტილება (დირექტორთა საბჭოს დადგენილება ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება) პარტნიორთა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად.

19. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირველმა მოპასუხემ, როგორც მეორე მოპასუხის 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა, მიიღო გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველობითი მენეჯმენტის ოპტიმიზაციის თაობაზე და შეამცირა მეორე მოპასუხის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა რაოდენობა, კერძოდ, გაუქმდა ორი დირექტორის შტატი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი მოპასუხის (დირექტორთა საბჭოს) 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება, მეორე მოპასუხის წესდების თანახმად, ითვლებოდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველ მოპასუხეს, როგორც პარტნიორს, ჰქონდა სრული დისკრეტია თავისი შეხედულებისამებრ მოეხდინა დირექტორებთან ხელშეკრულების შეწყვეტა. სააპელაციო პალატამ დაუშვებლად მიიჩნია მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეზღუდვოდა საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება-

მოსილება, რაც მინიჭებული ჰქონდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირ იყო მოწესრიგებული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, ველარ გავრცელებოდა შრომის კოდექსი, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ იყო მოწესრიგებული „მენარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გამხდარიყო შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

21. ამ მხრივ, სააპელაციო პალატამ ნიშანდობლივად მიიჩნია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტის დანაწესიც, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულების განხორციელებას შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესის გამოყენების გზით. სააპელაციო პალატამ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და 7² პუნქტზე და განმარტა, რომ დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა კანონმდებელმა დაუკავშირა რეგისტრაციის მომენტს. ამასთანავე, კანონმდებელმა დაადგინა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება და სწორედ შეტყობინების ვალდებულების რეგულაციისათვის „მენარმეთა შესახებ“ კანონი მიმართავს შრომის კოდექსის ნორმას, კერძოდ, ამ შემთხვევაში გამოიყენება შრომის კოდექსის 38-ე მუხლი.

22. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად ეცნობათ გათავისუფლების თაობაზე, ასევე სადავო არ იყო, რომ მათ მიეცათ ორი თვის კომპენსაცია და გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელეთა გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

23. განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელების მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებული იყო არაკანონიერი გათავისუფლების გამო ანაზღაურების მიუღებლობის გარემოებასთან, რა შემთხვევაშიც მთელი იძუ-

ლებითი მოცდენის პერიოდისათვის დასაქმებულს უნაზღაურდება მიუღებელი ხელფასი. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა მოსარჩელის არაკანონიერი გათავისუფლების შესახებ გარემოებას და დადგენილი იყო, რომ მოსარჩელები დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებული იყვნენ კანონიერი გზით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველიც.

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

25. საკასაციო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ მეორე მოპასუხეს რეალურად არ განუზოროციელებია ისეთი ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს გახდიდა კასატორების გათავისუფლებას. ამასთან, მათი განმარტებით, ისინი თანამდებობებიდან გაათავისუფლეს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმების უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გააფრთხილა არაუფლებამოსილმა პირმა. ამასთან, კასატორებმა მიუთითეს, რომ არანაკლებ სამი დღით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ დასაქმებულები, ხოლო კომპენსაცია უნდა მიეცათ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც არ განხორციელებულა, დასაქმებულები შრომით მოვალეობებს ასრულებდნენ კიდევ 33 დღის განმავლობაში, ხოლო კომპენსაცია გაიცა 2014 წლის 21 იანვარს. კერძოდ, კასატორებმა მიუთითეს, რომ 2013 წლის 25-26 დეკემბერს ჩაბარდათ პირველი მოპასუხის (გენერალური დირექტორის) 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება, რომლის თანახმად, მათ შრომითი ხელშეკრულებები შეუწყდათ 2013 წლის 23 დეკემბრიდან საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველით, ხოლო სამენარმეო რეესტრის ვებ-გვერდის გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ისინი აღარ არიან კომპანიის თანამშრომლები 2013 წლის 20 დეკემბრიდან.

26. კასატორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლო მოცემული დავის გადაწყვეტისას მთლიანად დაეყრდნო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს და სრულად გამორიცხა შრომის კანონმდებლობა მაშინ, როდესაც ეს კონკრეტული დავა მოიცავს როგორც კორპორაციულ, ისე შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. ამასთან, თავად გა-

საჩივრებულ გადაწყვეტილებაშია მითითებული, რომ მოსარჩე-
ლეები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან სა-
ქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის
„ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, კასატორებმა მათ
მიმართ განხორციელებული ქმედება სადავოდ გახადეს სწო-
რედ შრომის კოდექსით დადგენილი წესით და სასამართლოსაც
დავის განხილვა-გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა შრო-
მის კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

27. კასატორებმა ასევე მიუთითეს საქართველოს უზენაესი
სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე შტატების
შემცირებისას დამქირავებლის მიერ დაქირავებულის გათავი-
სუფლებასთან დაკავშირებით (სუსგ №ას-104-99-2014), ამას-
თან, აღნიშნეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემული ურთი-
ერთობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგული-
რების სფეროს განეკუთვნება, მათი გათავისუფლება მაინც არ
არის კანონიერი, რადგან განსხვავებულია აღნიშნულ საკითხზე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (სუსგ №3კ-
654-03, №ას-68-767-03, №ას-339-633-04), რომლის თანახმად,
დირექტორებისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარ-
გვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიო-
რებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გა-
ათავისუფლონ დირექტორები, მაგრამ ამისთვის უნდა არსებობ-
დეს მნიშვნელოვანი საფუძველი. კასატორების მოსაზრებით,
მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პრინციპიდან გა-
მომდინარე, მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა ის, თუ რა მნიშ-
ვნელოვანი საფუძველი არსებობდა კასატორთა სამსახურიდან
გათავისუფლებისთვის, რაც მოპასუხეთა მიერ მიცემული ახ-
სნა- განმარტებებიდან და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებუ-
ლებებიდან არ დასტურდება.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ი. ბ-ისა
და ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად,
დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო
საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი.
ბ-ისა და ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის
გამოც მიჩნეულ უნდა იქნას დაუშვებლად, შემდეგ გარემოება-

თა გამო:

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

31. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

32. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია მოსარჩელების მოპასუხე შპს „რ-ის“ ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორისა და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 24 დეკემბრის №470 და №471 ბრძანებების ბათილად ცნობა და მათი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, როგორცაა სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

33. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

შრომის კოდექსზე კი, როგორც მოცემული დავის მარეგულირებელ ნორმებზე, კასატორის მითითებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ საქმეში შესაფასებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს-ს) დირექტორის, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები საწარმოს ინტერესებთან მიმართებით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას, ხოლო დირექტორი კი, არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა (იხ. სუსგ საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი).

35. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ პუნქტი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მი-

ერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, შპს-ს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, შპს-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდეციუური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქ-

ნას მოძიებული.

36. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „რ-მა“ ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით მოიწვია კომპანიის დირექტორთა საბჭო და 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილებით დაამტკიცა ორგანიზაციის ახალი სტრუქტურა, საშტატო განრიგი და წესდება, რომლის შესაბამისად, შემცირდა შტატები, ასევე კომპანიის სახელფასო ფონდი. აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, მოსარჩელები გათავისუფლდნენ მათ მიერ დაკავებული ინდუსტრიული და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობებიდან. დადგენილია ასევე, რომ ამჟამად კომპანიაში აღარ არსებობს ზემოაღნიშნული თანამდებობები.

37. საკასაციო სასამართლო მიუთითებს შპს „რ-ის“ წესდების 3.8 მუხლზე, რომლის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, როგორცაა: გენერალური დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და გენერალური დირექტორის მოადგილეების დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ თანხმობის გაცემა. ამავე წესდების 3.9 მუხლის მიხედვით კი, პარტნიორთა წერილობითი გადაწყვეტილება (დირექტორთა საბჭოს დადგენილება ან დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება) პარტნიორთა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად.

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება ითვლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად და, შესაბამისად, მენარმე სუბიექტს, როგორც პარტნიორს, ჰქონდა სრული დისკრეცია თავისი შეხედულებისამებრ მოეხდინა დირექტორებთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, დაუშვებლად მიიჩნევა მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი

ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (იხ. მსგავს საქმეებზე სუსგ-ები: საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი; საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-131-127-2016; 23 სექტემბერი, 2016 წელი).

40. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

41. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, სადაც განმარტებულია საწარმოს დირექტორის გათავისუფლების საფუძვლების შემოწმების სამართლებრივი საკითხები.

42. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

43. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას მ. ჭ-ის საკასაციო

საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, თითოეულს 300 ლარის 70% — 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. ბ-ისა და ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

2. კასატორს ი. ბ-ს (პ/ნ:...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 2 აგვისტოს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;

3. კასატორს ე. ბ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 3 აგვისტოს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. პარტნიორთა საერთო კრება

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1079-1036-2016

2 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, პირვანდელი
მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:**

1.1. ფ. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მოწინა-
აღმდეგე მხარე, კასატორი ან ყოფილი პარტნიორი) სარჩელი
აღძრა სასამართლოში ჰ. ი-იდის, ჩ. ა-იდის და მ. ა-ის (შემდგომ-
ში – მოპასუხეები, აპელანტები, კასატორის მოწინააღმდეგე
მხარეები ან პარტნიორები) მიმართ და მოითხოვა შპს „ს.-ს“ (შემ-
დგომში – საზოგადოება ან კომპანია) დამფუძნებელ პარტნი-
ორთა 2014 წლის 27 ნოემბრის კრების ოქმის იმ ნაწილის ბათი-
ლად ცნობა, რომლითაც მოსარჩელემ საზოგადოებაში მისი 50%-
იანი წილიდან 17% დაუთმო ჰ. ი-ის, 17% – ჩ. ა-ს, ხოლო 16% – მ.
ა-ს, ხოლო, მოპასუხეებმა აიღეს ვალდებულება, კომპანიის სა-
კუთრებაში არსებული ქონების (ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში
მდებარე, მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნა-
გებობების ს/კ №...) 6 თვის ვადაში ყადაღისაგან გათავისუფ-
ლებისა და მოსარჩელისათვის საკუთრების უფლებით გადაცე-
მის თაობაზე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ამ გარიგების და-
დებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის
მიზნით გასხვისებული წილების უკან დაბრუნება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
2013 წლის 13 მაისს დაფუძნდა ზემოხსენებული კომპანია, სა-
დაც დამფუძნებელ პარტნიორებს შემდეგი წილობრივი მონა-

ცემებით წარმოადგენდნენ: მოსარჩელე – 50%, პ. ი-ი – 22,5%, რ. ა-ი – 22,5%, ე. ქ-უ – 5%. 2014 წლის 30 იანვარს მოსარჩელეს დაევალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანა. 2014 წლის 27 ნოემბერს საწარმოს პარტნიორთა კრებაზე ფ. ა-მა უსასყიდლოდ დათმო საზოგადოებაში კუთვნილი 50%-იანი წილი, რის სანაცვლოდაც მოპასუხებმა იკისრეს ვალდებულება, ოქმის გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მოეხსნათ ყადაღა და მოსარჩელისათვის დაებრუნებინათ მის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ქონება. ყოფილმა პარტნიორმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, თუმცა, სარჩელის აღძვრის დროისათვის შეთანხმებული 6-თვიანი ვადის გასვლის მიუხედავად, მოპასუხეებს ვალდებულება არ შეუსრულებიათ.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ პარტნიორთა გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება იმ მიზეზით, რომ ქონება დაყადაღებულია და ამ საკითხზე სასამართლოში მიმდინარეობს დავა, საგულისხმოა, რომ კრების ოქმი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის წინაპირობები, გარდა ამისა, მოპასუხეთა მოსაზრებით, სარჩელი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული 2-თვიანი ვადის დარღვევითაა აღძრული.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა 2014 წლის 27 ნოემბრის კრების ოქმის ის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელემ აღნიშნულ საზოგადოებაში მისი წილიდან, 50%-დან 17% დათმო პ. ი-ის, 17% – რ. ა-ის, ხოლო, 16% – მ. ა-ის სასარგებლოდ და მოპასუხებმა აიღეს საწარმოს საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში, ს/კ №...) ყადაღისაგან 6 თვის განმავლობაში გათავისუფლებისა და ყოფილი პარტნიორისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ვალდებულებები; პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით ფ. ა-ი ცნობილ იქნა კომპანიის პარტნიორთაგან: ა) პ. ი-ის საკუთრებად რეგისტრირებული წილიდან, 37%-დან 17%-ის მესაკუთრედ; ბ) რ. ა-

ის საკუთრებად რეგისტრირებული 32%-დან 17%-ის მესაკუთრედ; გ) მ. ა-ის საკუთრებად რეგისტრირებული 26%-დან 16%-ის მესაკუთრედ.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყოფილი პარტნიორის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება, რომელიც სწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების კანონიერებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას შეეხება.

1.2. სააპელაციო პალატის დასკვნით, სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, ამასთანავე, მოთხოვნა ხანდაზმულიცაა, რის გამოც არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები. ქვემდგომი სასამართლოს ამ დასკვნებს არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასაკმარისადაა დასაბუთებული, ამასთანავე, სასამართლოს მხრი-

დან დარღვეულია მატერიალური სამართლის ნორმები (სსსკ-ის 393-ე და 394-ე („ე“) მუხლები).

1.3. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხზე:

1.3.1. ფ. ა-მა, ჰ. ი-მა, ჩ. ა-მა და ე. ქ-უმ დააფუძნეს და 2013 წლის 13 მაისს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრში დაარეგისტრირეს შპს „K“. საზოგადოების დირექტორებად დარეგისტრირდნენ ფ. ა-ი და ჰ. ი-ი და დამფუძნებელთა შორის წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ფ. ა-ი - 50%;
- ჰ. ი-ი - 22,5%;
- ჩ. ა- - 22,5%;
- ე. ქ-უ - 5%;

1.3.2. 2013 წლის 25 სექტემბერს სამენარმეო რეესტრში დაარეგისტრირდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, საზოგადოებას შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა შპს „ს.“, ამასთან, გაიზარდა პარტნიორთა შემადგენლობა და მე-5 პარტნიორად დაემატა მ. ა-ი, ხოლო წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ფ. ა-ი - 50%;
- ჰ. ი-ი - 20%;
- ჩ. ა- - 15%;
- ე. ქ-უ - 5%;
- მ. ა-ი - 10%;

1.3.3. 2014 წლის 30 იანვარს ჩატარდა პარტნიორთა საერთო კრება. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფ. ა-მა ქონებრივი შენატანის შეტანის გზით საზოგადოებას საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში მდებარე 2901 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 648.52 კვ.მ (ს/კ №...). აღნიშნული კრების ოქმის საფუძველზე, 2014 წლის 19 თებერვალს დარეგისტრირდა კომპანიის საკუთრებად ხსენებული უძრავი ქონება;

1.3.4. საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 27 ნოემბერის საერთო კრების ფარგლებში ფ. ა-ს, ჰ. ი-ს, ჩ. ა-ს, მ. ა-სა და ე. ქ-უს შორის შედგა გარიგება შემდეგი პირობებით:

ა) ვინაიდან ფ. ა-ს წესდებითა და პარტნიორთა კრების ოქმით გათვალისწინებული ფორმით არ განუხორციელებია საზოგადოებაში 50%-ის ოდენობით ფულადი შენატანი და ვალდებულია შესასრულა მხოლოდ ნაწილობრივ, მის საკუთრებაში არ-

სებული უძრავი ქონების კომპანიისათვის გადაცემის გზით, განხორციელდეს კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორის, ფ. ა-ის მიერ, მისი კუთვნილი 50% წილის სრულად, უსასყიდლოდ დათმობა პარტნიორების: ჰ. ი-ის, ჩ. ა-ის და მ. ა-ის სასარგებლოდ და წილის სანაცვლოდ დაუბრუნდეს მის მიერ კაპიტალში შეტანილი, ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში მდებარე ს/კ №... უძრავი ქონება საკუთრებაში;

ბ) ფ. ა-ის კუთვნილი 50%-იდან 17% უსასყიდლოდ დაეთმოს პარტნიორ ჰ. ი-ს;

გ) ფ. ა-ის კუთვნილი 50%-იდან 17% უსასყიდლოდ დაეთმოს პარტნიორ ჩ. ა-ს;

დ) ფ. ა-ის კუთვნილი 50%-იდან 16% უსასყიდლოდ დაეთმოს პარტნიორ მ. ა-ს;

ე) ფ. ა-ი დანარჩენი პარტნიორების მიმართ იღებს პირად პასუხისმგებლობას, რომ მისი დირექტორობის და შემდგომ პერიოდში არ აქვს დადებული ან გაფორმებული მესამე პირებთან საბანკო გარანტია ან ვალდებულების წარმოშობის სხვა ნებისმიერი სახის გარიგება, რომელიც არ არის ცნობილი კომპანიისათვის, არ ფიქსირდება მის ბუღალტერიაში და არ ინახება კომპანიის იურიდიულ დოკუმენტაციაში. მსაგავსი შემთხვევის წარმოშობისას ფ. ა-ი იღებს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე;

ვ) აღნიშნული წილების უსასყიდლოდ დათმობის შემდეგ კომპანიის წილები პარტნიორთა შორის გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ჰ. ი-ის წილი კაპიტალში განისაზღვრა 37%-ით;
- ჩ. ა-ის წილი კაპიტალში განისაზღვრა 32%-ით;
- ე. ქ-უს წილი კაპიტალში შეადგენს 5%-ს;
- მ. ა-ის წილი კაპიტალში შეადგენს 26%-ს;

ზ) ჰ. ი-ი, ჩ. ა-ი, ე. ქ-უ და მ. ა-ი იღებენ ვალდებულებას მასზედ, რომ ისინი 6 (ექვსი) თვის ვადაში უზრუნველყოფენ კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში მდებარე 2901 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 648.52 კვ.მ. (საკადასტრო კოდი ...)) ყადაღის მოხსნასა და ამ ქონების ფ. ა-ისათვის საკუთრებაში გადაცემას;

თ) კომპანია და მისი პარტნიორები იღებენ ვალდებულებას, რომ წილის დათმობის შემდეგ ერთმანეთის მიმართ შეწყვეტენ მიმდინარე დავას, აგრეთვე არ შეიტანენ სარჩელს იმ საბანკო გარანტიებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელიც მითითებულია წინამდებარე ოქმის დანართში და წარმოადგენს

ოქმის განუყოფელ ნაწილს;

1.3.5. მოსარჩელემ 2014 წლის 27 ნოემბერს (სადავო ოქმში გადმოცემული გარიგების დადების დღესვე) მოპასუხებთან: ჰ. ი-თან, ჩ. ა-თან და მ. ა-თან ცალ-ცალკე გააფორმა მხარეთა მორიგებისა და წილის დათმობის შესახებ 3 (სამი) ხელშეკრულება. სამივე ხელშეკრულება ერთი და იმავე შინაარსისაა და ამ ხელშეკრულებების თანახმად, „წილის დამთმობად“ წოდებულმა ფ. ა-მა კომპანიის სანესდებო კაპიტალიდან საკუთარი წილის (50%-ის) ნაწილი – 16% დაუთმო „წილის მიმღებად“ წოდებულ მ. ა-ს, 17% დაუთმო „წილის მიმღებად“ წოდებულ ჰ. ი-ს, ხოლო დარჩენილი 17% – ასევე „წილის მიმღებად“ წოდებულ ჩ. ა-ს. სამივე ხელშეკრულების შემთხვევაში წილის საკუთრებაში გადაცემა მოხდა უსასყიდლოდ, უსასყიდლოდ დათმობის პირობას მხარეები უკავშირებდნენ საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 27 ნოემბრის საერთო კრების ოქმით მიღწეულ შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებების 6.1. პუნქტების თანახმად, მხარეები აცხადებდნენ და ადასტურებდნენ, რომ მოსარჩელის მიერ კომპანიის მმართველობის პერიოდში საზოგადოებამ მიიღო ფინანსური ზარალი არაუზრუნველყოფილი საბანკო გარანტიების გაცემის შედეგად, რაც შეადგენს 385 353 ლარს. მხარეები ასევე თვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ ფ. ა-ს საზოგადოების კაპიტალში დღემდე არ ჰქონდა შეტანილი მისი კუთვნილი წილის პროპორციული თანხა, რაც, ზემოაღნიშნულ პირობასთან ერთად წარმოადგენდა წილის უსასყიდლოდ დათმობის წინაპირობას;

1.3.6. სადავო კრების ოქმის და აღნიშნული ხელშეკრულებების შედგენის დღესვე ჰ. ი-ი, ნაცვლად 20% წილისა, დარეგისტრირდა 37% წილის მესაკუთრედ, ჩ. ა-ი ნაცვლად 15% წილისა – 32% წილის მესაკუთრედ, მ. ა-ი ნაცვლად 10% წილისა – 26% წილის მესაკუთრედ, ე. ქ-უ კვლავ დარჩა 5% წილის მესაკუთრედ. მოსარჩელე კი, ამოიშალა საზოგადოების პარტნიორთა რეგისტრაციის მონაცემებიდან;

1.3.7. კომპანიის საკუთრებად რეგისტრირებულ, ქ. თბილისში, სოფელ ფ-აში მდებარე №... უძრავ ქონებას, ჯერ კიდევ 2014 წლის აგვისტოდან, ყადაღა ედო ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საფუძვლით, რომელთაგან პირველი განპირობებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს გამოტანილი №2/13504-14 განჩინებით, ხოლო მეორე – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 6 აგვისტოს გამოტანილი განჩინებით.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2

ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.5. როგორც უკვე აღინიშნა, სასარჩელო მოთხოვნას ზემოხსენებული კრების ოქმის ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის იმგვარად აღდგენა წარმოადგენს, რომ მოსარჩელემ კვლავ დაიბრუნოს კომპანიაში კუთვნილი 50%-იანი წილი, მოთხოვნას კი, უკავშირებს საზოგადოების პარტნიორების მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას (იხ. სარჩელი), რასაც პალატა ხაზგასმით არ იზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო მიზნებიდან გამომდინარე, სარჩელის წარმატებულობას განაპირობებს მოსარჩელის მოთხოვნისა და მის მიერ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული გარემოებების იურიდიული თანხვედრა, ანუ საქმის განხილვის დაწყებისას, სასამართლოს უპირველეს ამოცანას სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს, რა დროსაც სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული ფაქტები, დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით ამართლებენ თუ არა მოთხოვნას. სწორედ ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდგომ ღირს მოპასუხის შედავების საფუძვლიანობის შემოწმება, რამეთუ, იურიდიულად გაუმართლებელი სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა და სამართალწარმოების შემდგომი ეტაპების გავლა ყოველგვარ გონივრულობას ცდება, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულებს რა შეჯობრებითობის პრინციპზე (სსსკ-ის მე-4 მუხლი), სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გარდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისა, რაიმე ფორმით ჩაეროს სარჩელის გამართულობაში, უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვ-

და. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს წინამდებარე დავის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე – პროცესუალურ გაუმართლებლობაზე და აღნიშნავს შემდეგს:

1.5.1. გარიგების ნამდვილობის (კანონშესაბამისობის) შემომებისათვის მნიშვნელოვანია, უპირველესად შეფასდეს თავად ამ გარიგების სამართლებრივი მხარე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ სადავო საკითხის მომწესრიგებელი ნორმა და ამ ნორმის გამოყენების განმაპირობებელი საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სარჩელით შედავებული გარიგება სამენარმეო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებაა, შესაბამისად, მოთხოვნის მარეგულირებელი დანაწესებიც, უპირველესად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა იქნეს მოძიებული. მხარეთა შორის სადავო არაა და საქმეში წარმოდგენილი პარტნიორთა 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებითაც დასტურდება, რომ ფ. ა-ის სამენარმეო საზოგადოებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენდა მისი მხრიდან შესატანის შეტანის ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, მან საზოგადოებას გადასცა რა უძრავი ქონება, მისი წილის შესაბამისი ფულადი შესატანი არ განუხორციელებია. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს პარტნიორთა პასუხისმგებლობის პრინციპს, შესატანის შეტანის ვალდებულებასა და ინფორმაციის მიღების, ასევე, კონტროლის განხორციელების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს და ნორმის მე-7 პუნქტით დადგენილია, რომ პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოხმობილი ნორმა დისპოზიციური დებულების მატარებელია და მისი აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ კანონისმიერი რეგულაციის გამოყენება დასაშვებია მაშინ, როდესაც პარტნიორები სადამფუძნებლო დოკუმენტით კანონისაგან განსხვავებულ მოწესრიგებაზე არ შეთანხმებულან. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ მიუთითებია წესდებაში პარტნიორთა მსგავსი შეთანხმების არსებობაზე, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი წესდების შესწავლით საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ კანონის დისპოზიციური ნების შესაბამისად, პარტნიორები, შესატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წი-

ლის შენარჩუნების საკითხზე არ შეთანხმებულან.

1.5.2. შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გავიზიარებთ კასატორის პოზიციას პარტნიორთა სადავო კრების გადანყვეტილების ბათილობის თაობაზე, მოსარჩელის მხრიდან შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის გამო, კანონის-მიერი რეგულაციიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდება მიზნის მიღწევა, საზოგადოების პარტნიორად აღდგენა, რაც სარჩელის უსაფუძვლობაზე მეტყველებს.

1.5.3. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ მოსარჩელე გარიგების ბათილობის საფუძვლად სარჩელში მიუთითებს კრების ოქმით ნაკისრ ვალდებულების შეუსრულებლობაზე, რაც ასევე არ წარმოადგენს დასაბუთებულ პრეტენზიას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსი იცნობს გარიგების ბათილობის რამდენიმე სახეს, რომელიც პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. ესენია უცილოდ ბათილი და საცილო გარიგებები. როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში გარიგების იურიდიულ ძალომოსილებას კონტრაქტის ნების ნამდვილობა განაპირობებს. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ადგენს ზოგად სტანდარტს უცილოდ ბათილი გარიგებებისა და ამოსავალ დებულებად მიიჩნევა მის კანონთან, საზოგადოებრივ წესრიგთან ან ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობრიობას. კანონსაწინააღმდეგო გარიგების შემთხვევაში, დამფუძნებელ ნორმად გვევლინება კანონის ის იმპერატიული დათქმები, რომლებიც კრძალავენ ამა თუ იმ შინაარსის შეთანხმებას, ხოლო საჯარო წესრიგისა და/ან ზნეობის საწინააღმდეგოდ გარიგების მიჩნევა შეფასების საგანს წარმოადგენს და სამართლის დოქტრინაში განვითარებული მოსაზრების თანახმად, იგი სამოქალაქო პრუნვის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუსაბამო უნდა იყოს, რაც შეეხება ამორალურ გარიგებას, ამგვარად მიიჩნევა ყველა ის გარიგება, რომელიც არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მას. სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგებათა მეორე ჯგუფს, როგორც აღინიშნა, საცილო გარიგებები მიეკუთვნება (იხ. სკ-ის 72-ე-89-ე მუხლები), რომლებსაც ასევე ნების ნაკლი გააჩნიათ (შეცდომა, იძულება, მოტყუება), თუმცა, კანონით განსაზღვრულ ვადაში უფლებამოსილი პირის მხრიდან შეუცილებლობა მათ ნამდვილად აქცევს და შესაბამისი შესრულების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელი არა ნების ნამდვილობას, არამედ ვალდებულების შეუსრულებლობას ემყარება, რაც, ზემოხსენებული განმარტებიდან გამომდინარე, არ შეიძლება, სა-

ფუძვლად დაედოს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნას.

1.5.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად ვალდებულების შეუსრულებლობა არა შეცილების, არამედ, უპირველესად, შესრულების მოთხოვნას წარმოშობს, ხოლო, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია (სკის 352-ე და 405-ე მუხლები) მეორადი მოთხოვნის შესრულება დადგეს დღის წესრიგში, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსახილველი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პარტნიორისათვის წილის დაბრუნება ეწინააღმდეგება სპეციალური ნორმის დანაწესს, ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის ფარგლებში, წინამდებარე განჩინების მსჯელობის საგანი ვერ გახდება იმ საკითხის დადგენა, შენატანის შეტანის ვალდებულების დამრღვევი პარტნიორისათვის არაფულადი შენატანის დაბრუნება შეესაბამება თუ არა კანონის მიზნებს და ამ მხრივ, სასამართლო ვერც სამენარმეო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობაზე იმსჯელებს, რამდენადაც ამგვარ მოთხოვნას სარჩელი არ შეიცავს.

1.5.5. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი, ასევე ის, რომ გარიგების ბათილობას ადასტურებს „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევა და ამ თვალსაზრისით მიუთითებს წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნის პროცესუალურსამართლებრივ საფუძვლიანობაზე: ნებისმიერი ნების, მათ შორის სამენარმეო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის კატეგორიას განეკუთვნება, რომლის დაკმაყოფილებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულ იურიდიული ინტერესის ნამდვილობაზეა დამოკიდებული. თავად იურიდიული ინტერესის ნამდვილობა/კანონიერებას კი განაპირობებს ის, თუ აღიარებითი მოთხოვნით რამდენად მიიღწევა მოსარჩელისათვის ხელსაყრელი შედეგი. თუკი დადგინდება, რომ ნების მართლწინააღმდეგობა სადავოდ ქცეული უფლების დაცვის წინაპირობა არაა, სასამართლო არც ამ ნების განმაპირობებელი გარემოებების კანონიერებას შეამოწმებს. საკასაციო პალატა კვლავ მიუბრუნდება ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5.1. პუნქტში განვითარებულ მსჯელობას და აღნიშნავს, მოსარჩელის ზემოხსენებული პრეტენზიების გაზიარებისა და ამ გზით გარიგების იურიდიული ძალის არმქონედ მიჩნევის შემთხვევაში, ვინაიდან ყოფილი პარტნიორი ველარ დაიბრუნებს

საზოგადოების სანესდებო კაპიტალში წილს, მას აღიარებითი მოთხოვნის მიმართ არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიული ინტერესი.

1.6. უსაფუძვლოების გამო, პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით და კვლავ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლების დაცვით ამ პრეტენზიის საფუძვლიანობას კრების გადანყვეტილების ბათილად აღიარებასთან მიმართებით განიხილავს. ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს და კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 27 ნოემბრის პარტნიორთა კრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად იყო მოწვეული, რომელზე მიღებული გადანყვეტილების იურიდიული ძალის არქმონედ აღიარებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვს მხარე, ანუ სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაში, იგი ნების ნაკლებად უნდა მიუთითებდეს (იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5.3. და 1.5.4. პუნქტებში განვითარებული მსჯელობა), რომელიც, ნამდვილი შეცდომების შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სრულად მოექცეოდა, რაც შეეხება საკასაციო საჩივრის შედავებას, რომ კრების გადანყვეტილებით ვალდებულება 6 თვის განმავლობაში უნდა შესრულებულიყო და უფლების დარღვევის თაობაზე პირისათვის კანონით განსაზღვრულ 2-თვიან ვადაში ვერ იქნებოდა ცნობილი, საფუძველს მოკლებულია, წინამდებარე სარჩელის საგანს არა ვალდებულების შესრულება, არამედ, გარიგების ბათილად ცნობა წარმოადგენს. აქვე სრულიად დაუსაბუთებელია კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლით განსაზღვრული შეთანხმების (გაცვლა) დადებასა და სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის გამოყენებაზე, ვინაიდან პარტნიორთა 2014 წლის 27 ნოემბრის გადანყვეტილების არც გონივრული და არც ლოგიკური განმარტებიდან (სკ-ის 52-ე მუხლი) არ გამომდინარეობს მხარეთა მხრიდან ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემის ნების გამოვლენა, არამედ, იგი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამეწარმეო ვალდებულების დარღვევით ნაკარნახევი შეთანხმებაა, შესაბამისად, სრულიად გაუმართლებელია კასატორის მითითება უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე (სუსგ №ას-75-408-09), რომელშიც საკასაციო პალატამ ერთმანეთისაგან გამიჯნა სამეწარმეო მოთხოვნა და ნასყიდობის სამართლებრივი

ურთიერთობა და თითოეულის მიმართ გამოსაყენებელი მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადები.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე და თვლის, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. სასამართლო ხარჯები:

რადგანაც წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გადახდილი ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ფ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-273-260-2016

4 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: აქციონერთა გადაწყვეტილების ბათილად
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სააქციო საზოგადოება „მ-ის“ (შემდეგში: საზოგადოება, კომპანია, მოპასუხე) 1996 წლის 10 აპრილის წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და მისი რაოდენობა 9 წევრით განისაზღვრა (საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, 54.6 მუხლი.)

2. მ. მ-ე (შემდეგში: აქციონერი, კასატორი ან მოსარჩელე) ამ საზოგადოების აქციონერია. იგი ჩვეულებრივ აქციათა 0.10063%-ს ფლობს.

3. 2015 წლის 22 აპრილს საზოგადოებამ სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ელექტრონულ ვებ-გვერდზე კანონით დადგენილი წესით გამოაქვეყნა განცხადება კრების მოწვევის თაობაზე; გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობამ ინფორმაცია კრების მოწვევის თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ, კრებამდე 20 დღით ადრე, ადმინისტრაციის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრა და ადგილობრივი ტელეკომპანიის მემვებობითაც მორბენალი სტრიქონების საშუალებით გაავრცელა.

4. 2015 წლის 29 აპრილს მოსარჩელეს 2015 წლის 20 მაისს დანიშნული აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და დღის წესრიგის თაობაზე მოსანვევი პირადად ჩაბარდა (საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, 54.2 მუხლი).

5. იმავე წლის 1 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა კომპანიას და მოითხოვა, განემარტათ მისთვის, თუ კონკრეტულად რომელ წესდებაში იგეგმებოდა ცვლილებების შეტანა. მოსარჩელეს ეცნობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით ჩატარდე-

ბოდა კრება და სამეთვალყურეო საბჭოს გამოკლებული წევრების არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ც მიიღებოდა.

6. 2015 წლის 20 მაისს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა, რომელსაც ნოტარიუსთან ერთად ესწრებოდა ხმის უფლების მქონე 72,14584%-ის მფლობელი 15 აქციონერი, მათ შორის მოსარჩელეც.

7. მოსარჩელემ უარი განაცხადა კრების მუშაობაში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ კრება არ იყო უფლებამოსილი და მისთვის გაურკვეველი იყო, 2004 წლის 19 ივლისის ბათილად ცნობილ წესდებაში რა ცვლილება უნდა ყოფილიყო შეტანილი.

8. კრებამ განიხილა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები. ხმის უფლების მქონე 72,04584%-ის მფლობელმა აქციონერებმა დაამტკიცეს 2014 წლის სამეურნეო საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშები, შეიტანეს ცვლილება წესდებაში და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, ნაცვლად ექვსისა, განსაზღვრეს შვიდით და აირჩიეს შვიდივე წევრი; აღნიშნული გადაწყვეტილებები დამონმდა სანოტარო წესით და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა იმავე წლის 28 მაისს.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ 2015 წლის 20 მაისის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ დარღვეულია მისი და ასევე სხვა აქციონერების მოწვევისა და საერთო კრების გამართვის წესები. მოსარჩელემ სადავოდ გახადა ის ფაქტიც, რომ 2015 წლის 20 მაისის კრებაზე ცვლილებები შეტანილ იქნა 2004 წლის 19 ივლისის წესდებაში, რომელიც სასამართლოს მიერ ბათილდაა ცნობილი, ხოლო კრებას ხელმძღვანელობდა პირი (თ. ნ-ა), რომელსაც არ გააჩნდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო სააქციო საზოგადოების საერთო კრების მოწვევის კანონით დადგენილი წესები. კრების დღის წესრიგისა და მოწვევის შესახებ აქციონერებს 22.04.2015 წელს ეცნობათ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდის მეშვეობით. გარდა ამისა, უშუალოდ მოსარჩელეს, 2015 წლის 29 აპრილს, ანუ კრებამდე 20 დღით ადრე, ჩაჰბარდა უწყება კრების მოწვევის თაო-

ბაზე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის განცხადებები და მოპასუხის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო კრებაზე განსახილველი საკითხების შესახებაც.

10.2. სასამართლოს დასკვნით იმ ფაქტს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება არ გააჩნდა, რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე, რადგანაც კრებას ესწრებოდა კომპანიის დირექტორი (ბ.გ.), როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც კრებაზე დამსწრე სხვა წევრების მსგავსად, არ გამოუთქვამს პრეტენზია თ. ნ-ს კრების თავმჯდომარედ არჩევაზე.

10.3. გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ აქციონერთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო აქციათა 72,04584%-ის მფლობელმა აქციონერმა და, აქედან გამომდინარე, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იყო.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი დასაბუთება. დამატებით კი, განმარტა შემდეგი: ის ფაქტი, რომ 2015 წლის 20 მაისის კრებას თავმჯდომარეობდა თ. ნ., რომელიც სამენარმეო რეესტრში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ან წევრად დარეგისტრირებული არ ყოფილა, ოქმის ბათილად ცნობისთვის საკმარის გარემოებად ვერ მიიჩნევა, რადგანაც კრებას ესწრებოდა საზოგადოების დირექტორი ბ. გ., რომელსაც სანარმოს წესდების შესაბამისად, უფლება ჰქონდა, კრების თავმჯდომარე ყოფილიყო და მას რაიმე სახის პრეტენზია თ. ნ-ს მიმართ არ გამოუხატავს; გარდა ამისა, თ. ნ-ს თავმჯდომარეობით კრების ჩატარებას რაიმე სახის ზიანი არ გამოუწვევია, შესაბამისად, აღნიშნული გარემოებანი კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძ-

ველი ვერ გახდება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ 2015 წლის 20 მაისის კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას 318 აქციონერიდან დაესწრებოდა მინიმუმ 159 აქციონერი. პალატამ განმარტა, რომ საზოგადოების წესდების 1996 წლის რედაქციის თანახმად, წესდებაში ცვლილების შეტანის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამტკიცებისა და ამავე წესდების 6.4. მუხლით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო იყო არა აქციონერთა საერთო რაოდენობის, არამედ ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის შესაბამისი აქციების მფლობელთა 50%-ზე მეტის დასწრება და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღება, რაც განხორციელდა კიდევ.

12.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზეც, რომ 2015 წლის 20 მაისის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით ცვლილება იქნა შეტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაუქმებული 2004 წლის წესდების 9.1. მუხლში, რაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველია. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. 2015 წლის 20 მაისის კრებაზე ხმის უფლების მქონე 72,14584%-ის მფლობელმა აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის სხვაგვარად განსაზღვრისა და მათი არჩევის თაობაზე. საოქმო ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ცვლილება შევიდეს საზოგადოების 2004 წლის წესდების 9.1. მუხლში, ვერ გახდება მათი მხრიდან გამოსატყუი ნების უარყოფის საფუძველი. მთავარია, რომ გამოსატყუი ნება არის ნამდვილი და მნიშვნელობა არა აქვს, რას უკავშირდება.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

14. საკასაციო საჩივრის საფუძველები:

14.1. საქმეში ასევე არ დევს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბ. გ. უფლებამოსილებას საზოგადოების ინტერესების დასაცავად იურისტი ი. შ-ს ანიჭებს.

14.2. 2004 წლის 2 ივლისის კრების მიერ მიღებული წესდება

სასამართლოს მიერ ბათილადაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, ბათილია ამ წესდებაში შეტანილი ყველა ცვლილება. ეს გარემოებები კი, სასამართლომ არ გაითვალისწინა.

14.3. კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან იგი საზოგადოების 1996 წლის წესდების იგნორირებით ჩატარდა: მისი ჩატარების თაობაზე არ ყოფილა გამოცხადებული გაზეთში, მას არ გაეგზავნა ახალი წესდების პროექტი, ხოლო მოწვეულ კრებას არ ესწრებოდა აქციების მფლობელთა 50%-ზე მეტი. კრებას ესწრებოდა მხოლოდ 14 აქციონერი, რითაც შელახულ იქნა დანარჩენ აქციონერთა უფლებები.

14.4. სანოტარო აქტი, რომელიც ახლავს ამ კრების ოქმს, შედგენილია კანონის დარღვევით, რადგან იგი, წესდების თანახმად, უნდა შეედგინა თავად ნოტარიუსს. სანოტარო აქტი არ შეიცავს მტკიცებულებებს კრების წესდების შესაბამისად მოწვევის თაობაზე.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მიხედვით, წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს

და ეფუძნებოდეს.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

19. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით და ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დაადგინა მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა, შესაბამისად, სწორია სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილი სამართლებრივი დასკვნები გასაჩივრებული განწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

21. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა კომპანიის 2015 წლის 20 მაისის საერთო კრებაზე მიღებული განწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუსაბუთებელი იყო. მოთხოვნას წარმატების პერსპექტივა იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ მოსარჩელე დაასაბუთებდა მისთვის სამართლებრივად განპირობებულ ინტერესს, ანუ ადგილი ჰქონდა თუ არა მოპასუხის მხრიდან მისი კანონით უზრუნველყოფილი უფლების ისეთ დარღვევას, რაც ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საჭიროებდა (სსსკ-ის 2.1 მუხლი).

22. მოსარჩელე კომპანიაში აქციების მხოლოდ 0.10063%-ის მესაკუთრეა. აქედან გამომდინარე, მას აქციონერთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა ისედაც არ შეეძლო. რაც შეეხება, საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურებს, მოპასუხეს ამ თვალსაზრისით არც კანონის და არც წესდების მოთხოვნები არ დაურღვევია, რაც სათანადო-

დაა დასაბუთებული გასაჩივრებული განჩინებით.

23. კასატორის პრეტენზია, რომ აქციონერთა 2015 წლის 20 მაისის კრების შედეგები (განჩინების 14.2 პუნქტი) ბათილია, რადგან კრებამ ცვლილება შეიტანა 2004 წლის იმ წესდებაში, რომელიც სასამართლომ ბათილად ცნო, არ არის გასაზიარებელი. პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დამატებით განმარტავს: საზოგადოების დაფუძნება და სადამფუძნებლო დოკუმენტი, წესდება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის დადებულ გარიგებას. სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში მხარეები სწორედ წესდების საფუძველზე განსაზღვრავენ იმ ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რომლითაც წესრიგდება საზოგადოების მმართველობა, შენატანი, მოგების განაწილება, კრების მოწვევის წესი და ა.შ. სახელშეკრულებო თავისუფლება არ გულისხმობს თავისუფალი ნების ქაოტურ განმარტებას, არამედ იგი, კანონით ნორმატიურულ პირობებში ემორჩილება საჯარო წესრიგისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. სწორედ ამიტომ, პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრებაზე და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები გარიგების არსისა და მისი ნამდვილობის შესახებ. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მოცემულ შემთხვევაში, საზოგადოების კრებამ დაადგინა საწესდებო ცვლილებების შემდეგი თანმიმდევრობა: საზოგადოებამ პირველი წესდება მიიღო 1996 წლის 10 აპრილს, როცა დაფუძნდა; 2002 წელს საზოგადოებამ, მართალია, ცვლილებები შეიტანა წესდებაში, მაგრამ ამ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია, რადგანაც რეგისტრაციაში არ ყოფილა გატარებული. 2004 წელს საზოგადოებამ კვლავ შეიტანა ცვლილებები წესდებაში, რომლებიც დარეგისტრირდა, თუმცა კასატორმა გაასაჩივრა კრების შედეგები და ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 18.05.2005 წლის გადაწყვეტილებით, 2004 წლის 2 ივლისის კრების შედეგები გაუქმდა. მაშასადამე, რადგან 2002 წლის ცვლილებები არ დარეგისტრირდა, ხოლო 2004 წლის ცვლილებები ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისად, 2015 წლის 20 მაისის კრების ჩატარების დროისათვის ძალაში იყო 1996 წლის წესდება, რომლისგან განსხვავებული წესებიც იქნა დადგენილი.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2015 წლის 20 მაისის კრების შედეგების აღიარება უკავშირდება ნების ნამ-

დვილობას და არა იმას, თუ რომელი წესდების მონაცემებში შევიდა ცვლილება. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ გარიგების მონაწილეთა ნება ნამდვილია, თარიღზე მითითება ვერ გახდება გამოხატული ნების უარყოფის საფუძველი. მთავარია, რომ გამოხატული ნება არის ნამდვილი და მნიშვნელობა არა აქვს, აქციონერებმა რომელ რიცხვს ან მოვლენას დაუკავშირეს იგი (იხ. სუსგ 3კ/1183-02, ას-1186-1206-2011; ას-771-732-2013; ას-863-813-2015);

25. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმ გარემოებას, რომ კრების ოქმი, წესდების შესაბამისად, უნდა შეედეგინა უშუალოდ ნოტარიუსს. აღსანიშნავია, რომ ამაზე მოსარჩელეს რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში არ უდავია, შესაბამისად, სსსკ-ს 399-ე და 380-ე მუხლების თანახმად, საკასაციო პალატა სამართალწარმოების ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას, სამართლებრივად შეაფასოს მოყვანილი გარემოება;

26. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. ასეთ საფუძველზე ვერც კასატორი ვერ მიუთითებს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

27. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მოსარჩელის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

29. სსსკ-ის 401.4 მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ამ ნორმის გამოყენების წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან კასატორები გათავისუფლებული არიან საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3, 391-ე მუხლებით, 401-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განჩინებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორი გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-115-108-2017

4 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. ძლიერიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: პარტნიორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. ს-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „გ...ის“ (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „მოპასუხე კომპანია“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხე კომპანიის 98,1176% აქციების მფლობელი აქციონერის, შპს „ა...“-ის 2014 წლის 7 ოქტომბრისა

და 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2. მოპასუხე კომპანიის 98,1176% აქციების მფლობელმა აქციონერმა შპს „ა...“-მ, მისი დირექტორის მ. ლ-ის სახით, 2014 წლის 7 ოქტომბერს მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სს „ბ...სა“ (2014 წლის ცესიის ხელშეკრულებით ახალი კრედიტორი – შპს „ე...“) და მოპასუხეს შორის 2007 წლის 18 სექტემბერს დადებული გენერალური ხელშეკრულებით და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, შპს „ე...“-ის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული, მოპასუხე კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ/მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მათ შორის, ლიცენზიები, საკუთრებაში გადაეცა შპს „ე...“-ს და ამ ქონების ღირებულებით დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები.

3. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელეს, რომელიც წარმოადგენს მინორიტარ აქციონერს, ეცნობა 2014 წლის 27 ნოემბერს.

4. მოპასუხე კომპანიის 98,1176% აქციების მფლობელმა აქციონერმა შპს „ა...“-მ 2014 წლის 23 დეკემბერს კვლავ მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „ე...“-ის წინაშე მოპასუხე კომპანიის ვალდებულებათა შესასრულებლად მოპასუხის საკუთრებაში არსებული საოპერაციო აქტივები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცა შპს „ე...“-ს და ამ ქონების ღირებულებით დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელეს ეცნობა 2015 წლის 17 თებერვალს, ხოლო გადაწყვეტილება გაეგზავნა 2015 წლის 2 მარტს.

6. მოსარჩელის მოსაზრებით, მართალია, წესდება ითვალისწინებს კომპანიის მიერ აქციონერთა კრების მოწვევის გარეშე გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ საკუთარ აქციონერებს არ უნდა შეატყობინოს გადასაწყვეტი საკითხის თაობაზე, რათა მათ მიეცეთ საშუალება დაიცვან საკუთარი უფლებები და ინტერესები, წარმოადგინონ საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები.

7. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილებებში არ არის მითითებული კომპანიის ვალდებულების მოცულობა, გადასაცემი აქტივების ღირებულება, არ არსებობს მითითება

ვალდებულებების წარმოშობის ვადებზე და გაურკვეველია, დადგა თუ არა ვალდებულების შესრულების ვადა.

8. მოსარჩელის განმარტებით, ადგილი აქვს მინორიტარი აქციონერის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცული უფლებების დარღვევას. მოსარჩელე უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე Chadzitaskos And Franta v. The Czech Republic, რომელშიც აღნიშნულია მინორიტარი აქციონერების პოზიციის, უფლებების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებიდან, მათ შორის, კანონმდებლობის არასწორი გამოყენების/ინტერპრეტაციის შედეგად, გათიშვის დაუშვებლობა.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოპასუხე კომპანიის აქციონერის 2014 წლის 7 ოქტომბრისა და 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებების მიღებისას კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტის და მოპასუხე კომპანიის წესდების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომელთა თანახმად, საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. მოპასუხის განმარტებით, ამ შემთხვევაში აღარ გამოიყენება სააქციო საზოგადოებაში კრების მოწვევის წესი.

10. მოპასუხემ მიუთითა, რომ მოპასუხე კომპანიის აქციათა 98,1176%-ს (200161 ცალი აქცია) ფლობს შპს „ა...“, ხოლო მოსარჩელის საკუთრებაშია აქციათა 0,1961% (400 ცალი აქცია).

11. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა აქციონერის 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ კრების ოქმის გასაჩივრებისთვის დადგენილია ორთვიანი ხანდაზმულობის ვადა, მოსარჩელეს ამ ვადის გასვლამდე 10 დღეზე მეტი ხნით ადრე ეცნობა 2014 წლის 7 ოქტომბრის აქციონერის გადაწყვეტილების შესახებ, რაც წარმოადგენს აქციონერის შეტყობინების გონივრულ ვადას.

12. რაც შეეხება აქციონერის 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებას, მოპასუხემ მიუთითა, რომ გასულია აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 2-თვიანი ვადა.

13. მოპასუხის განმარტებით, 2014 წლის 7 ოქტომბრისა და 2014 წლის 23 დეკემბრის აქციონერის გადაწყვეტილებები მიმართულია კრედიტორის მიმართ მოპასუხე კომპანიის ვადა მოსული და ვადა გადაცილებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ. 2014 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით მოპასუხე კომპანიას შპს „ე...“-ის მიმართ გააჩნდა შემდეგი საკრედიტო ვალდებულება: სესხის ძირითადი თანხა – 32 982 590,39 ლარი; პროცენტი: 589 248,27 ლარი; პირგასამტეხლო: 2803,5 ლარი. მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია: ა) სს „ბ...სა“ და შპს „ე...“-ს შორის 2014 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხე კომპანიის მიმართ სს „ბ...ს“ მოთხოვნები, ასევე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები (გირავნობა/იპოთეკა) გადაეცა შპს „ე...“-ს; ბ) მოპასუხე კომპანიასა და სს „ბ...ს“ (უფლებამონაცვლე შპს „ე...“) შორის დადებული ხელშეკრულებები, რომელთა შესახებ მითითებულია ცესიის ხელშეკრულებაში (საკრედიტო და უზრუნველყოფის ხელშეკრულებები).

14. მოპასუხემ მიუთითა, რომ 2014 წლის 24 სექტემბერს შპს „ე...“-ის დირექტორმა წერილით მიმართა მოპასუხე კომპანიას და მოითხოვა 2014 წლის 8 ოქტომბრამდე მიმდინარე საკრედიტო ვალდებულების 358 107,85 ლარის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეატყობინა ხელშეკრულებიდან გასვლის, მთლიანი საკრედიტო ვალდებულების შესრულების მოთხოვნისა და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების შესახებ, რაც გულისხმობდა იპოთეკით და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომების მიღებას, კერძოდ, დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში მიღების გზით დაკმაყოფილებაზე სასამართლოსთვის ან სხვა კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვას. აღნიშნული გაფრთხილების წერილის პასუხად, 2014 წლის 29 სექტემბერს მოპასუხე კომპანიამ შპს „ე...“-ს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოპასუხემ მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მოითხოვა შესრულების ვადის გაგრძელება, რაზედაც შპს „ე...“-ის 2014 წლის 1 ოქტომბრის წერილით მოპასუხე კომპანიას უარი ეთქვა და 2014 წლის 8 ოქტომბრამდე ვალდებულების შესრულებისთვის მიცემული ვადა და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის სამართლებრივი შედეგები დარჩა ძალაში. აღნიშნული წერილის მიღების შემდეგ, მოპასუხე კომპანიის ხელმძღვანელობამ (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო) და საზოგადოების 98,1176% აქციების მფლობელმა აქციონერმა – შპს „ა...“-ის დირექტორმა და 100%-იანი წილის

მფლობელმა პარტნიორმა – მ. ლ-მა მიიღო გადაწყვეტილება კრედიტორის საკუთრებაში იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების გადაცემისა და ვალდებულების შესრულების შესახებ, რაც ჩამოყალიბდა 2014 წლის 7 ოქტომბრისა და 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებებში.

15. მოპასუხის განმარტებით, 2014 წლის 8 ოქტომბრიდან ყველა საკრედიტო ხელშეკრულება შეწყვეტილია და კომპანიას დასაბრუნებელი აქვს სესხის ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული პროცენტები და ყოველდღიური პირგასამტეხლო, ამასთან, მოპასუხე კომპანიის საკრედიტო დავალიანებას ყოველდღიურად ერიცხება წლიური 36%.

16. მოსარჩელეს მოპასუხე კომპანიის აქციონერის შპს „ა...“-ის 2014 წლის 7 ოქტომბრისა და 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნები წარმოდგენილი ჰქონდა ცალ-ცალკე სარჩელებით და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა აღნიშნულ საქმეთა გაერთიანების შესახებ.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი მოპასუხე კომპანიის 98,1176% აქციების მფლობელი აქციონერის შპს „ა...“-ის 2014 წლის 7 ოქტომბრისა და 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

18. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება.

20. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

21. მოპასუხე კომპანია რეგისტრირებულია 2004 წლის 25 ოქტომბერს. აქციონერთა რეესტრში 2014 წლის 22 ოქტომბრის მდგომარეობით, შპს „ა...“ ფლობს აქციათა – 98,1176%-ს, ხოლო მოსარჩელე ფლობს აქციათა – 0,196 %-ს. მოპასუხე კომპანიის საქმიანობა განისაზღვრება 2013 წლის 19 ნოემბრის წესდების შესაბამისად.

22. სს „ბ...სა“ და შპს „ე...“-ს შორის 2014 წლის 12 სექტემბერს გაფორმებულია მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ხელშეკრულებ

ბა, რომლითაც სს „ბ...მ“ შპს „ე...“-ს დაუთმო მოთხოვნის უფლება მოპასუხე კომპანიის მიმართ. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა მოპასუხე კომპანიის დავალიანების მოცულობა (33,446,032.37 ლარი), რომელზეც მოთხოვნის უფლება სრულად გადაეცა შპს „ე...“-ს. შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულებით მოპასუხე კომპანიის მიმართ სს „ბ...ს“ მოთხოვნები, ასევე, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, გადაეცა შპს „ე...“-ს.

23. მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 07 ოქტომბრის გადანყვეტილებით, სს „ბ...სა“ და მოპასუხე კომპანიას შორის 2007 წლის 18 სექტემბერს დადებული გენერალური ხელშეკრულებით №მ-ა XXI/18-09-07 და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, შპს „ე...“-ის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული, მოპასუხის საკუთრებაში არსებული, ნებისმიერი (და ყველა) უძრავ/მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მათ შორის, ლიცენზიები, საკუთრებაში გადაეცა შპს „ე...“-ს და ამ ქონების ღირებულებით დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები.

24. მოპასუხემ მოსარჩელეს 2014 წლის 27 ნოემბერს გაგზავნილი შეტყობინებით აცნობა შპს „ა...“-ის მიერ 2014 წლის 07 ოქტომბერს მიღებული გადანყვეტილების შესახებ.

25. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 16 დეკემბრის №... გადანყვეტილების თანახმად, მოპასუხეს თანხმობა მიეცა კუთვნილი საოპერაციო აქტივების შპს „ე...“-ის მიერ შექმნაზე.

26. შპს „ა...“-ის დირექტორის და პარტნიორის – მ. ლ-ის 2014 წლის 23 დეკემბრის გადანყვეტილებით, შპს „ე...“-ის წინაშე, მოპასუხის ვალდებულებათა შესასრულებლად, შპს „ე...“-ის სასარგებლოდ დაგირავებული, მოპასუხის საკუთრებაში არსებული, საოპერაციო აქტივები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილების შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცა შპს „ე...“-ს და ამ ქონების ღირებულებით დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები.

27. მოსარჩელეს, როგორც მოპასუხის აქციონერს, 2015 წლის 17 თებერვალს გაეგზავნა შეტყობინება, რომლითაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად, ეცნობა მოპასუხე კომპანიის 75%-ზე მეტი აქტივების მფლობელი აქციონერის შპს „ა...“-ის მიერ 2014 წლის 23 დეკემბერს მიღებული გადანყვეტილების შესახებ.

28. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველ და მეორე

პუნქტებზე, 53-ე მუხლის 32 პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-9 პუნქტზე, 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მე-7 პუნქტსა და 54-ე მუხლის 1¹ პუნქტზე. ამ უკანასკნელი ნორმის თანახმად, საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

29. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მოპასუხე კომპანიის 98,1176% აქციების მფლობელი აქციონერის მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის დაცვით და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა აქციონერს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს ეცნობა მოპასუხე კომპანიის 75%-ზე მეტი აქციების მფლობელი აქციონერის შპს „ა...“-ის მიერ 2014 წლის 23 დეკემბერს და 2014 წლის 7 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას მოპასუხე კომპანიის მიერ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის კანონისმიერი საფუძველი.

30. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადაწყვეტილებების საპირისპიროდ შესაბამისი, მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენა, ხოლო ის დასაბუთება, რაც მოსარჩელემ შესთავაზა სასამართლოს, არ იძლეოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საკმარის საფუძველს.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

32. კასატორის განმარტებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექ-

ტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადან-
ყვეტილების მისაღებად, რაც ყველა შემთხვევაში დაცული უნ-
და იყოს და, რასაც ადგილი არ ჰქონია. ეს იმპერატიული ნორმა
მიზნად ისახავს აქციონერთა საკუთრების (აქციების და მათ-
თან დაკავშირებული ინტერესების) უფლების დაცვას, კერძოდ,
საზოგადოების მართვაში მონაწილეობისას ინფორმირებული
გადაწყვეტილების მიღების უფლებას და შესაძლებლობას.

33. კასატორმა აღნიშნა, რომ მინორიტარი აქციონერების უფ-
ლებების დაცვას და დომინანტი აქციონერების თვითნებობის
შეზღუდვას ემსახურება სწორედ „მენარმეთა შესახებ“ საქარ-
თველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი იმ-
პერატიული წესები. ამ საქმეზე სასამართლოს აქამდე მიღებუ-
ლი გადაწყვეტილებები კი ამკვიდრებენ დომინანტი პარტნიო-
რების სრულ უკონტროლობას და თვითნებობას.

34. საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მართალია,
კანონი და საზოგადოების წესდება ითვალისწინებს კრების გა-
რეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მაგრამ ეს
არ ნიშნავს იმას, რომ აქციონერებს არ უნდა შეატყობინონ გა-
დასაწყვეტი საკითხის არსი და არ უნდა მიაწოდონ დირექტო-
რების წინადადებები, რათა მათ მიეცეთ საშუალება დააფიქსი-
რონ საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხის მიმართ.

35. კასატორის განცხადებით, ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს
მინორიტარი აქციონერის ადამიანის უფლებათა და ძირითად თა-
ვისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქ-
მის პირველი მუხლით დაცული უფლებების დარღვევას. საკა-
საციო საჩივრის ავტორმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევ-
როპული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტი-
ლებაზე საქმეზე Chadzitaskos And Franta v. The Czech Republic,
რომელშიც აღნიშნულია მინორიტარი აქციონერების პოზიცი-
ის, უფლებების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების
პროცედურებიდან, მათ შორის, კანონმდებლობის არასწორი გა-
მოყენების/ინტერპრეტაციის შედეგად, გათიშვის დაუშვებლო-
ბა.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით მოსარჩე-
ლის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშ-
ვებობის შესამონმმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო

საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად, მიიჩნევს, რომ ო. ს-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულთა სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

39. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

40. საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კრების ჩატარების გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის კანონით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, აქციონერებს უნდა ეცნობოთ გადასაწყვეტი საკითხის არსი და მიწოდოთ დირექტორების წინადადებები, რათა მათ მიეცეთ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხის მი-

მართ.

41. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

42. მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა არ ეთანხმება ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას.

43. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება საუკლებულოა. მსგავსი შინაარსის ნორმა არის გათვალისწინებული საზოგადოების წესდების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტითაც.

44. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ა...“ ფლობს აქციათა – 98,1176%-ს, ხოლო მოსარჩელე ფლობს აქციათა – 0,196%-ს; მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 07 ოქტომბრისა და 23 დეკემბრის გადაწყვეტილებები მიღებულია მოპასუხე კომპანიის აქციათა 98,1176%-ის მფლობელი აქციონერი შპს „ა...“-ის დირექტორის და პარტნიორის – მ. ლ-ის მიერ; მოპასუხემ მოსარჩელეს 2014 წლის 27 ნოემბერს გაგზავნილი შეტყობინებით აცნობა შპს „ა...“-ის მიერ 2014 წლის 07 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო 2015 წლის 17 თებერვალს გაგზავნილი შეტყობინებით – 2014 წლის 23 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

45. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ ნორმასთან ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა მოცემული ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელი ორი წინაპირობა: ა) გადაწყვეტილება მიღებულია ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ; ბ) აქციათა 75%-ზე მეტს ფლობს მხოლოდ ერთ-

თი აქციონერი. შესაბამისად, მითითებული ნორმის თანახმად, მოცემული წინაპირობების არსებობისას საერთო კრების მონვევა არ არის აუცილებელი, ეს გადანყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადანყვეტილებად.

46. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ზემოაღნიშნული ნორმის იმ ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადანყვეტილების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ ნორმაში ნათლად არის მითითებული, რომ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, საერთო კრება არ იქნეს მოწვეული და ამ შემთხვევაში კანონმდებელი დომინანტ აქციონერს მხოლოდ მიღებული გადანყვეტილების შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულ იქნა.

47. საკასაციო სასამართლო კასატორს განუმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო წესი, რომელიც იძლევა გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას კრების მონვევის გარეშე, გამოირიცხავს იმ წესების დაცვის ვალდებულებას, რომელსაც ითვალისწინებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კრების მონვევის პროცედურა (საერთო კრების მონვევაზე უფლებამოსილი ორგანო, კრების მონვევის ვადა, საერთო კრების მონვევის შესახებ შეტყობინებაზე თანდართული დოკუმენტები).

48. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ დავის საგანს წარმოადგენს სააქციო საზოგადოების აქციათა 98%-ის მფლობელი აქციონერის გადანყვეტილება, კომპანიის კრედიტორის წინაშე ნაკისრი საკრედიტო ვალდებულების შესრულების მიზნით, აღნიშნული ვალდებულების უზრუნველსაყოფად მის სასარგებლოდ დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და, საქმის მასალებზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის ავტორს არ გამოუთქვამს პრეტენზია როგორც საწარმოს მიერ სესხის აღებასა და მის მოცულობასთან, ასევე, – სესხის უზრუნველყოფის მიზნით საწარმოს ქონების გირავნობით/იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, კასატორს არ გამოუთქვამს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმომ კრედიტორს მიანიჭა ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გირავნობით/იპოთეკით უზრუნველ-

ყოფილი ქონების პირდაპირ საკუთრებაში მიღების უფლება (იპოთეკის ხელშეკრულება №(ი) გ-ი/31-07-14, 5.2.3. პუნქტი; იპოთეკის ხელშეკრულება №(ი) გ-ი/16-04-14, 5.2.2. პუნქტი; იპოთეკის ხელშეკრულება №(ი) გ-ი/01-12-11, 5.1. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/31-07-14-4, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/31-07-14-1, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/31-07-14-2, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/31-07-14-3, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/29-07-14-4, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/29-07-14-3, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/29-07-14-2, 5.2.2. პუნქტი; გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/29-07-14-1, 5.2.2. პუნქტი, გირავნობის ხელშეკრულება №(გ) მ-ა/24-07-14, 5.2.2. პუნქტი).

49. აქციონერის 2014 წლის 07 ოქტომბრის გადანყვეტილება ეხება, სს „ბ...სა“ და მოპასუხე კომპანიას შორის 2007 წლის 18 სექტემბერს დადებული გენერალური ხელშეკრულებით №... და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, შპს „ე...“-ის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული მოპასუხის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი (და ყველა) უძრავ/მოძრავი ქონებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, მათ შორის, ლიცენზიების, შპს „ე...“-ის საკუთრებაში გადაცემას, რომლითაც დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები, ხოლო აქციონერის 2014 წლის 23 დეკემბრის გადანყვეტილებით კი, შპს „ე...“-ის წინაშე, მოპასუხის ვალდებულებათა შესასრულებლად, შპს „ე...“-ის სასარგებლოდ დაგირავებული მოპასუხის საკუთრებაში არსებული საოპერაციო აქტივები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილების შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცა შპს „ე...“-ს და ამ ქონების ღირებულებითაც დაიფარა მოპასუხის ვალდებულებები.

50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი საკასაციო საჩივარში სადავოდ არ ხდის სააქციო საზოგადოების ვალდებულებების არსებობას და, ასევე, არ მიუთითებს, რომ საზოგადოების მიერ გადაცემული ქონების ღირებულება აღემატება მის ვალდებულებებს.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტსა და მე-7 პუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო კრება, დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით, უფლებამოსილია, მიიღოს გადანყვეტილებები საზოგადო-

ების ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

52. საზოგადოების წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით.

53. მოცემულ შემთხვევაში სანარმოს მაჟორიტარი აქციონერი იყო აქციათა 98%-ის მფლობელი და, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა კრების მოწვევის გარეშე გადაწყვეტილების მიღების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული საშუალება.

54. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია ისეთი პრეტენზია, რომელიც შეიცავს არგუმენტირებულ მითითებას აქციონერის გადაწყვეტილებების ბათილობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე.

55. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე Chadzitaskos And Franta v. The Czech Republic კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ მოხმობილ საქმეში დავა ეხებოდა აქციების სანაცვლოდ მისაღები კომპენსაციის ოდენობის გასაჩივრებისათვის საარბიტრაჟო მექანიზმის დაწესების შესაბამისობას ევროკონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებასთან სამართლიან სასამართლოზე და, აქედან გამომდინარე, ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პროცედურული მხარის დარღვევას. შესაბამისად, კასატორის მიერ მითითებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს წინამდებარე დავის საგანთან.

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს დასაბუთებული პოზიცია არ წარმოუდგენია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი აღნიშნული საფუძვლით არ არის და-

საშვები.

57. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, რომლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, უარყოფილია საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობა და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება.

58. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის 70% – 210 (ორას ათი) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ო. ს-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

2. კასატორს ო. ს-ეს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს თ. ო-ის (პ/ნ: ...) მიერ 2017 წლის 10 თებერვალს №1 საკრედიტო საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სანდაზგმულობა

სანდაზგმულობის ვადის ათვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-475-443-2017

23 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმებისა და სამენარმეო საზოგადოებაში წილის გასხვისების შესახებ დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 1996 წლის 10 იანვარს ჩატარებულ, შპს „გ-ს“ (შემდეგში: საზოგადოება) დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ი-შ-ია (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან პარტნიორი) გახდა საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორი, მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 16,5%-ს (2110 აშშ დოლარს), რომელიც 1996 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული გახლდათ საზოგადოების ერთ-ერთ პარტნიორად, ვაკის რაიონის სასამართლოს დადგენილებისა და 1996 წლის რედაქციის წესდების შესაბამისად.

2. 1998 წლის 30 დეკემბრს, 1999 წლის 25 იანვარს და იმავე წლის 31 მარტს შედგა საზოგადოების დამფუძნებელთა კრებები და მათი მიმდინარეობა და შინაარსი აისახა წელთა შესაბამისად №5, №6 და №7 ოქმებში. აღსანიშნავია, რომ ყველა ოქმი ერთი შინაარსისაა – სამივე შემთხვევაში, კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხებოდა საზოგადოების რიგებიდან პარტნიორის გარიცხვას. იმის გამო, რომ პარტნიორმა დაარღვია თავისი მოვალეობები, იგი არ ცხადდებოდა სამუშაოზე, მისი ოჯახის რამდენჯერმე გაფრთხილების მიუხედავად, პარტნიორი კვლავ არ ცხადდებოდა სამუშაოზე, საზოგადოების პარტნიორებმა გ. მ-ემ (შემდეგში: პირველი მოპასუხე), ე. კ-მა (შემდეგში: მეორე მოპასუხე), ზ. გ-ემ (შემდეგში:

მესამე მოპასუხე) და დ. გ-მა (შემდეგში: მეოთხე მოპასუხე) თავად პარტნიორის დასწრების გარეშე მიიღეს მისი საზოგადოების დამფუძნებლობიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება.

3. 1999 წლის 31 მარტის ჩატარებული დღის კრების გადანყვეტილებით პარტნიორის გარიცხვასთან ერთად გადაწყდა მისი წილის მეოთხე მოპასუხისათვის გადაცემის საკითხი.

4. საზოგადოების 1998 წლის 30 დეკემბრის №5, 1999 წლის 25 იანვრის №6 1999 წლის 31 მარტის №7 პარტნიორთა კრებების ოქმების საფუძველზე 1999 წლის 21 აპრილს ვაკის რაიონის სასამართლომ გამოიტანა დადგენილება საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გაუქმდა მოსარჩელის პარტნიორად რეგისტრაციის შესახებ მონაცემი, საზოგადოების პარტნიორთა შორის დარჩნენ მხოლოდ პირველი მოპასუხე (17%), მეორე მოპასუხე (33%), მესამე მოპასუხე (17%) და მეოთხე მოპასუხე, რომლის წილსაც (16,5%-ს) დაემატა მოსარჩელის წილი და მეოთხე მოპასუხეს ჯამში დაურეგისტრირდა წილი 33%-ით.

5. საზოგადოების 2004 წლის 4 ნოემბრის დამფუძნებელთა საერთო კრების გადანყვეტილებით საზოგადოების დამფუძნებელს მეოთხე მოპასუხეს დაერთო ნება მასზე, რომ მას თავისი წილი განეკარგა (გადაენილებინა) საზოგადოების ახალ პარტნიორის დ. გ-ისა (შემდეგში: მეხუთე მოპასუხე) და სხვა პარტნიორთა სასარგებლოდ. პარტნიორთა კრების ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, 2004 წლის 4 ნოემბერს სანოტარო ფორმის დაცვით გაფორმდა ხელშეკრულება საზოგადოების წილის დათმობის შესახებ. ამ ხელშეკრულების შესაბამისად თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით საზოგადოების პარტნიორები და მათი წილობრივი მონაწილეობა სანესდებო კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად: პირველი მოპასუხე 24,5%, მეოთხე მოპასუხე 11%, მეორე მოპასუხე 40%, მესამე მოპასუხე 17% და მეხუთე მოპასუხე 7,5%.

6. საზოგადოების 2005 წლის 24 მაისის პარტნიორთა კრების №1 ოქმის (ხელმოწერის ნამდვილობის დამმონებელი ნოტარიუსი, სანოტარო მოქმედებათა რეესტრში რეგისტრაციის №...) საფუძველზე, ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით მეოთხე მოპასუხეს დაერთო ნება მასზედ, რომ მან თავისი წილი განეკარგა საზოგადოების ახალი და ძველი პარტნიორების სასარგებლოდ.

7. პარტნიორთა კრების ამ გადაწყვეტილების შესაბამისად,

2005 წლის 24 მაისს სანოტარო ფორმის დაცვით გაფორმდა ხელშეკრულება საზოგადოების წილის დათმობის შესახებ. ამასთან, 2005 წლის 3 ივნისს შედგა საზოგადოების პარტნიორთა კრება და ამ კრების ამსახველი №2 ოქმის შესაბამისად პარტნიორთა გადაწყვეტილებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი (12797 აშშ დოლარი) გაიზარდა და განისაზღვრა 12810 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე პარტნიორთა წილების პროპორციულად განისაზღვრა დამატებითი შენატანების ოდენობა – პირველი მოპასუხე 0,85 აშშ დოლარი, მეორე მოპასუხე 1,2 აშშ დოლარი, მესამე მოპასუხე 4,51 აშშ დოლარი, მეხუთე მოპასუხე 6,24 აშშ დოლარი და გ. ე-ე (შემდეგში: მეექვსე მოპასუხე) 0,3 აშშ დოლარი.

8. 2005 წლის 3 ივნისს ერთი მხრივ, მეოთხე მოპასუხესა და მეორე მხრივ პირველ, მეხუთე და მეექვსე მოპასუხეებს შორის კვლავ შედგა წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების ძალით საზოგადოებაში პირველი მოპასუხის წილმა შეადგინა 25%, მეექვსე მოპასუხის წილმა 10% და მესამე მოპასუხის წილმა 8%. პარტნიორთა კრების ამ ოქმებისა და აღნიშნული წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 3 ივნისის №5ა/4-205 დადგენილებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობად დარეგისტრირდა 12810 აშშ დოლარი, ხოლო პარტნიორთა შორის წილთა გადანაწილების შედეგები დარეგისტრირდა შემდეგნაირად: პირველი მოპასუხე 25% (3200 აშშ დოლარი), მეორე მოპასუხე 40% (5120 აშშ დოლარი), მესამე მოპასუხე 17% (2180 აშშ დოლარი), მეხუთე მოპასუხე 8% (1030 აშშ დოლარი) და მეექვსე მოპასუხე 10% (1280 აშშ დოლარი). ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 16 თებერვლის №3124/006-5/4-205-შპს ბრძანების ასლით დადასტურებულია, რომ განხორციელებული ცვლილებების (მეხუთე მოპასუხემ 8%-იანი წილიდან 2%, პირველმა მოპასუხემ 25%-იანი წილიდან 5%, მესამე მოპასუხემ 17%-იანი წილიდან 7%, ხოლო მეორე მოპასუხემ 40%-იანი წილიდან 10% გაასხვისეს მეექვსე მოპასუხის სასარგებლოდ) შესაბამისად 2006 წლის 16 თებერვლისათვის სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების პარტნიორთა შორის წილები ნაწილდებოდა შემდეგნაირად: პირველი მოპასუხე – 20%, მეორე მოპასუხე – 30%, მეხუთე მოპასუხე – 6%, მესამე მოპასუხე – 10% და მეექვსე მოპასუხე – 34%.

9. 2%-ის საზოგადოების 2008 წლის 15 მაისის პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით საზოგადოებასთან შეთანხმდა იმგვარი გარიგების დადება, რომელიც გულისხმობდა გ-ს-ის (შემდეგში: მეშვიდე

მოპასუხე) მხრიდან საზოგადოების სანესდებო კაპიტალში მეექვსე მოპასუხის კუთვნილი წილის – 34%-ის ნასყიდობას.

10. 2011 წლის 2 სექტემბერს შედგა საზოგადოების პარტნიორთა კრება და ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებით საზოგადოებასთან შეთანხმდა იმგვარი გარიგებების დადება, რომელიც ერთ შემთხვევაში გულისხმობს საკუთარი წილის -10%-ის გ. ს-ისათვის მიყიდვის გზით მესამე მოპასუხის საზოგადოებიდან გასვლას, ხოლო მეორე შემთხვევაში მეხუთე მოპასუხის მხრიდან საკუთარი წილიდან – 6%-დან ნაწილის – 4%-ის მეშვიდე მოპასუხისათვის მიყიდვას.

11. 2012 წლის 4 აპრილს მყიდველ მეშვიდე მოპასუხესა და გამყიდველებს – მესამე და მეოთხე მოპასუხეებს შორის სანოტარო ფორმის დაცვით დაიდო ორი ხელშეკრულება, რომელთაგან პირველი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომრით 120354496) გულისხმობს 210000 ლარად ზ. გ-ის მიერ შპს „გ-ს“ სანესდებო კაპიტალში საკუთარი წილის – 10%-ის გ. ს-ის სასარგებლოდ გასხვისებას (გაყიდვას), ხოლო მეორე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომრით 120354819) 84000 ლარად დ. გ-ის მიერ შპს „გ-ს“ სანესდებო კაპიტალში საკუთარი წილიდან – 6%-დან მხოლოდ 4%-ის გ. ს-ისათვის მიყიდვას.

12. საზოგადოების 2013 წლის 20 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით საზოგადოებასთან შეთანხმდა იმგვარი გარიგების დადება, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სანესდებო კაპიტალში საკუთარი წილის – მეშვიდე მოპასუხისათვის მიყიდვის გზით მეხუთე მოპასუხის საზოგადოებიდან გასვლას. მეხუთე და მეშვიდე მოპასუხეს შორის 2013 წლის 20 ივნისს სანოტარო ფორმის დაცვით გაფორმდა წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც საზოგადოების სანესდებო კაპიტალში საკუთარი წილი – 2% მეხუთე მოპასუხემ 42000 ლარად მიყიდა მეშვიდე მოპასუხეს.

13. 2015 წლის 13 ნოემბერს მოსარჩელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა სარჩელი, საზოგადოების მიმართ, აგრეთვე, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მოპასუხეების მიმართ, ზემოაღნიშნული კრების ოქმებისა და სამენარმეო საზოგადოებაში წილის გასხვისების შესახებ დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

14. მოპასუხეებმა წარმოადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა) და მიუთითეს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან გაირიცხა 1999 წელს,

სარჩელი წარმოადგინა 2015 წლის 13 ნოემბერს, ანუ გარიცხვიდან 15 წლის შემდეგ. ამასთან, მოპასუხეები არიან წილის კეთილსინდისიერი შემძენები და არ არსებობს მათი წილის მესაკუთრეობის გაბათილების გარემოება.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად, გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის განჩინებით.

16. სააპელაციო პალატამ გაიზიარა განჩინების პპ: 1-13-ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. იმავდროულად, მიუთითა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლზე, რომლის მიხედვით, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია.

17. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო, პარტნიორთა კრების ის გადაწყვეტილებები (ოქმები), რომელთა არსებობამაც ჯერ კიდევ 1999 წლის 21 აპრილს განაპირობა სამენარმეო რეესტრში ცვლილებათა განხორციელების შესაძლებლობა და მოსარჩელე ამოირიცხა საზოგადოების პარტნიორთა რიგებიდან, მიღებული იყო 1998 წლის 30 დეკემბერს, 1999 წლის 25 იანვრს და 1999 წლის 31 მარტს. ამდენად, ამ სადავო ოქმებიდან უახლესის შექმნის დღიდან სარჩელის აღძვრამდე – 2015 წლის 13 ნოემბრამდე გასული იყო 15 წელზე მეტი დრო. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის სამენარმეო საზოგადოება, რომელიც იქმნება ერთი ან რამდენიმე პარტნიორის მიერ კაპიტალის დაბანდების, გაერთიანების შედეგად. კაპიტალის ამგვარი გაერთიანების შედეგად დაფუძნებულ საწარმოში თითოეულ პარტნიორს აქვს საწარმოსათვის გადაცემული საკუთარი კაპიტალის შესატყვისი წილი, რომელიც პარტნიორს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობდეს საწარმოს მართვაში, რაც გულისხმობს საზოგადოების უმაღლესი მართვის ორგანოს – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას. ამასთან,

პარტნიორობა ორიენტირებულია იმ იურიდიულ ინტერესზე, იმ სარგებელზე, რასაც დივიდენდის მიღება ჰქვია. თავის მხრივ, დივიდენდის მიღების შესაძლებლობას განაპირობებს სანარმოს პარტნიორთა და ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სანარმოს საკეთილდღეოდ მოქმედება, პარტნიორთა მხრიდან მოგებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება და მენეჯმენტისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვა.

18. ამდენად, შპს-ში პარტნიორობა ბუნებრივად ითხოვს პარტნიორის აქტიურობას. მხოლოდ ის ინტერესი, რომ პარტნიორმა მიიღოს დივიდენდი, თავისთავად განაპირობებს მინიმუმ იმგვარ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სურვილს, თუ რა წარმატებით ვითარდება საზოგადოების საქმიანობა და საკუთარი კაპიტალის საზოგადოების სასარგებლოდ განკარგვის გზით მოპოვებული წილი საზოგადოებაში, თუ რამდენადაა სარგებლის (დივიდენდის) მომტანი. სწორედ აღნიშნული ინტერესისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნითაა ნაკარნახევი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-8 მუხლის დანაწესი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. ამ ნორმით დადგენილი შესაძლებლობის რეალიზება აუცილებლად საჭიროებს პარტნიორთა კრებაზე სანარმოს საქმიანობის ანალიზს, სიტუაციის შეფასებას, ფინანსურ/ ეკონომიკური მდგომარეობის აღქმას და რეალობის გათვალისწინებით სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას. იმავედროულად, ყურადღება გამახვილდა საზოგადოების წესდების 8.2. პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დირექტორი (დირექცია) ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც მოინვიოს მორიგი კრება. ამგვარი დანაწესის არსებობა იმთავითვე იმ ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება, რასაც განვლილი წლის სამეურნეო პოლიტიკის და მისი შედეგების შეფასება ჰქვია. გარდა აღნიშნულისა, წესდების 8.3. პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია პარტნიორის უფლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ საკითხზე, ე.ი. თუნდაც ყოველი მორიგი კრებისათვის დამახასიათებელი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის მიზნით, მოინვიოს საგანგებო კრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკანონმდებლო, თუ საწესდებო დანაწესთა (იხ. წესდების 6.10. პუნქტი) შესაბამისად, პარტნიორს აქვს უფლება საზოგადოებისაგან მიიღოს მის საქმიანობასთან

დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა პრეზუმცია იმისა, რომ მოსარჩელეს 1998 წლის 30 დეკემბრს, 1999 წლის 25 იანვრის და 1999 წლის 31 მარტს მიღებული, სადავო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების არსებობის თაობაზე უნდა გაეგო (სცოდნოდა) ამ გადაწყვეტილებათა მიღებიდან ერთი, ორი, სამი ან თუნდაც ოთხი წლის განმავლობაში. ამგვარი პრეზუმციის არსებობის პირობებში, მისი საწინააღმდეგო, გამაქარწყლებელი გარემოებების მტკიცების ვალდებულება მოსარჩელის მხარეზე იყო. მოსარჩელის მხრიდან მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითება, რომ ის ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, იშვიათად სტუმრობს საქართველოს და მთელი 15 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო ორი/სამი დღით იმყოფებოდა საქართველოში (მოისმინეთ 2016 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერი), ვერ გააქარწყლებდა პრეზუმირებულ გარემოებას.

19. იმავდროულად, წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 180-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მხარეს არ გააჩნდა აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი და განმარტა, რომ იურიდიული ინტერესი არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით, ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ, აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც. იურიდიული ინტერესების მიღწევადობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, თუ სამართლებრივად რამდენად დაცულია შედეგები, რომელთა დადგომაც სურს მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, ყველა იმ სადავო გარიგების (პარტნიორთა კრების ოქმები თუ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები) ბათილად ცნობა, რომელიც დაიდო მოსარჩელის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ 1998 წლის 30 დეკემბრის, 1999 წლის 25 იანვრის და 1999 წლის 31 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა, თუ სასამართლო მოსარჩელის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებათა ანულირებას მოახდენდა. მხოლოდ ამის შესაბამისად იარსებებდა მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ, მისი კუთვნილი წილის განკარგვის გზით დამდგარი შედეგების ბათილობისადმი ინტერესი. მაშინ, როდესაც საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გარიგებები ინარჩუნებდნენ ძალას, სამართლებრივი ობიექტურობის ქრილში მოსარჩელი-

სათვის იურიდიულ შედეგს არ წარმოშობდა სადავო წილის შემდგომი ბედი, მისი განკარგვის განმაპირობებელი გარიგებების მიმართ მოსარჩელეს აღარ ჰქონდა სამართლებრივად გამართლებული დაცვის ღირსი ინტერესი.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება.

21. კასატორის პრეტენზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 393-ე მუხლის დარღვევას ეფუძნება. კასატორს მიაჩნია, რომ დარღვეულია სსსკ-ის 102-ე, 105-ე, 394-ე მუხლის „ე“ პუნქტები.

22. კასატორის მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის მიზნებისათვის მოპასუხეს არ დაუდასტურებია, რომ მოსარჩელისთვის სადავო კრების ოქმების თაობაზე ცნობილი იყო. აღნიშნული ვადის დენის საწყისად კი, სააპელაციო სასამართლოს ზოგადი მსჯელობები, ვერ გამოდგება, რომლის მიხედვით, პარტნიორი უნდა დაინტერესებულიყო შპს-ში არსებული მდგომარეობით.

23. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სადავო კრების ოქმების იდენტიურ შინაარსზე, მასში გაკეთებულ მითითებაზე, რომ მოსარჩელე კრებას არ ესწრებოდა. არც მოწვევა ყოფილა მოსარჩელისათვის გაგზავნილი, რაც საზოგადოების წესდების 8.5 მუხლით დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენდა.

24. კასატორი ინტერესდება რა მოვალეობები იქნა მის მიერ დარღვეული, რამაც განაპირობა საზოგადოებიდან მისი გარიცხვა და ყურადღებას ამახვილებს სამივე კრების ოქმებში საკითხების ერთი და იმავე პირების მიერ დაყენებასა და დასმული საკითხების იდენტიურობაზე. იმავდროულად, კასატორს მიაჩნია, რომ სამსახურში გამოუცხადებლობა (როგორც ეს საფუძვლად დაედო მის გარიცხვას) არ შეიძლებოდა ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანის მართლზომიერი და საკმარისი საფუძველი ყოფილიყო.

25. კასატორი არ ეთანხმება ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისის განასაზღვრას და აღნიშნავს, რომ მხოლოდ პრეზუმციით (ვარაუდით) რომ პარტნიორმა იცოდა სადავო ოქმების შესახებ არ შეიძლება მხარეს უფლების სამართლიანი დაცვა სასამართლოს მეშვეობით. ან რატომ არის ვალდებული პარტნიორი იცოდეს ინფორმაცია თავის წილის შესახებ. ამასთან, პარტნიორის მოსაზრებით, რატომ საზოგადოებამ არ აცნობა მას აღნიშნულის შესახებ. არ არის დაცული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პარტნიორმა

იცოდა ინფორმაცია მისი უფლების დარღვევის შესახებ ან ობიექტურად უნდა ივარაუდებოდა ამგვარი ინფორმაციის ფლობა.

26. კასატორი აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა სააპელაციო პალატამ განსაზღვრა სპეციალური კანონის მე-15 მუხლით და მიიჩნია, რომ სადავო კრების ოქმების მიღებიდან გასული იყო გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა.

27. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მისი პოზიცია სსკ-ის 130-ე მუხლის რელევანტურობასთან მითითებით ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან კავშირში ნორმის ზოგადი შინაარსის საფუძველზე. თუმცა კასატორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მათგანის გამოყენების მიუხედავად ვადის დენის ათვლა უნდა დაინწყოს უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შეტყობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

29. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

30. განსახილველ შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ კრების ოქმების ბათლად ცნობის შესახებ საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნა უარყოფილი იქნა სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის მოტივით [სპეციალური კანონის მე-15 მუხლი].

31. ნიშანდობლივია, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის სპეციალური კანონის მე-15 მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობას, მისი პრეტენზია აღნიშნული მუხლით დადგენილი ვადის არასწორად ათვლას ეფუძნება (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები). კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ უბრალო ვარაუდით, თითქოს პარტნიორმა იცოდა სადავო ოქმების შესახებ, დაუშვებელია პარტნიორს აეკრძალოს უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით. მით უმეტეს, დაუცველია სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უნდა დასტურდებოდა, რომ პარტნიორმა იცოდა ინფორმაცია მისი უფლების დარღვევის შესახებ ან ობიექტურად უნდა ივარაუდებოდა მის მიერ ამგვარი ინფორმაციის ფლობა [იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები].

32. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის მოთხოვნას არ გააჩნია ვარგისი საპროცესო სამართლებრივი საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

33. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის პრეტენზია მისთვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ვერ იქნება გაზიარებული, იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომ მართალია ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა [სსკ-ის მე-2 მუხლი], რაც არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ მათი ეს უფლება რაიმე შეზღუდვას არ ექვემდებარებოდეს. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში, სადაც სადავო იყო გარკვეული საპროცესო მოქმედების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის არსებობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით განიმარტა შემდეგი: ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება რა ლეგიტიმურ მიზნებს, სასამართლო უნდა სარგებლობდეს მკაფიო და ხელშესახები კრიტერიუმებით იმის შესამოწმებლად და დასადგენად, რომ პირმა არ იცოდა და ობიექტურად არც შეიძლებოდა სცოდნოდა მის ინტერესებთან დაკავშირებული გადანყვეტილების არსებობის შესახებ. უნდა მოხდეს იმის პრევენცია, რომ პირმა დროში უმიზეზოდ არ გაახანგრძლივოს უფლების განხორციელება, ის შეზღუდული უნდა იყოს შესაძლებლობაში, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეეძლო ეს თავის დროზე განეხორციელებინა... (იხ., თ.ჯანაშვილი, ნ.ჯანაშვილი და ი.ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №3/1/531, ბათუმი, 2013 წლის 05 ნოემბერი). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადანყვეტილებაშია ნამსჯელი ხანდაზმულობის ლეგიტიმურობის სამართლებრივ საკითხზე, სახელდობრ, 1996 წლის 22 ოქტომბრის გადანყვეტილებაში, საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლომ განმარტა: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადანყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“).

34. საგულისხმოა, ერთ-ერთი სამოქალაქო საქმე, რომელ-

შიც, შპს-ს პარტნიორის მოთხოვნა საზოგადოების კრების ოქმის ბათილად ცნობისა და საზოგადოების პარტნიორად მისი აღდგენის შესახებ, ეფუძნებოდა მის უკანონოდ გაირიცხვას დამფუძნებელთა საბჭოს წევრობიდან. სარჩელის უარყოფის ერთ-ერთ მიზეზად მის უსაფუძლობასთან ერთად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლა დასახელდა (იხ., სუსგ №ას-1310-1249-2014, 6 მარტი, 2015 წელი).

35. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის მის მიერ სადავო კრების ოქმების არსებობისა და მაშასადამე, მისი გარიცხვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სპეციალური კანონით დადგენილ ვადებში [5 წელი], რასაც არ გააჩნია ვარგისი სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე იქიდან, როგორც ეს წინამდებარე განჩინების პპ: 2-3-შია დადგენილი 1998 წლის 30 დეკემბრს, 1999 წლის 25 იანვარს და იმავე წლის 31 მარტს შედგა საზოგადოების დამფუძნებელთა კრებები და მათი მიმდინარეობა და შინაარსი აისახა წელთა შესაბამისად №5, №6 და №7 ოქმებში. აღსანიშნავია, რომ ყველა ოქმი ერთი შინაარსისაა – სამივე შემთხვევაში, კრების დღის ნესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხებოდა საზოგადოების რიგეზიდან პარტნიორის გარიცხვას. საზოგადოების 1998 წლის 30 დეკემბრის №5, 1999 წლის 25 იანვრის №6 1999 წლის 31 მარტის №7 პარტნიორთა კრებების ოქმების საფუძველზე 1999 წლის 21 აპრილს ვაკის რაიონის სასამართლომ გამოიტანა დადგენილება საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გაუქმდა მოსარჩელის პარტნიორად რეგისტრაციის შესახებ მონაცემი. საგულისხმოა, რომ სპეციალური კანონის 1999 წლისათვის მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლი არეგულირებდა რეესტრის საჯაროობის საკითხს, რომლის 7.3 მუხლის მიხედვით, თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან იცოდა ამ უზესტობის შესახებ. 4.3 პუნქტის მიხედვით, კი სამენარმეო რეესტრის ინფორმაციის გაცნობა შეეძლო ნებისმიერ პირს. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ საკონსტიტუციო სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სანარმოს სახელით გარიგების დამდები პირის უფლებამოსილების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ „ნარმომადგენლო-

ბაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია ხდება სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას. შესაბამისად, მესამე პირებს, კონტრაგენტებს, შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ ეს ინფორმაცია ..“ (იხ., შპს „მ-ი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №1/1/543, ბათუმი, 2014 წლის 29 იანვარი).

36. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, პარლამენტის 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონის საფუძველზე, 2008 წლის 10 მაისიდან 2010 წლის 1 იანვრამდე, დროის მონაკვეთში, პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ ექვემდებარებოდა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო არაგონივრულ ვარაუდს დაეყრდნო და დაარღვია სტანდარტი რომლის მიხედვითაც უნდა დასტურდებოდა, რომ პარტნიორმა იცოდა ინფორმაცია მისი უფლების დარღვევის შესახებ ან ობიექტურად უნდა ივარაუდებოდა მის მიერ ამგვარი ინფორმაციის ფლობა (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძველები), გაზიარებული ვერ იქნება.

37. რაც შეეხება კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ დგინდება თუ კონკრეტულად რომელი მოვალეობები დაარღვია მან, რამაც მართლზომიერად განაპირობა საზოგადოებიდან მისი გარიცხვა და ყურადღებას ამახვილებს სამივე კრების ოქმებში ასახული საკითხების იდენტიურობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის ეს მითითებები უკავშირდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ მიღებული კრების ოქმის კანონიერების საკითხს, რომელიც იმ შემთხვევაში შემონმდებოდა თუ, დაცული იქნებოდა თავად კრების ოქმის გასაჩივრების სპეციალური კანონით დადგენილი ვადები. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელს უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო, და არ დგინდება რაიმე დარღვევები გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ, კასატორის მიერ დასმულ საკითხზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს.

38. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის განწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერ-

თვევაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადანყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

39. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, რადგანაც პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის ხანდაზმულობის საკითხზე საკითხებზე დადგენილია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

41. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. შ-იას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ ი. შ-იას უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 03 აპრილს ვ. დ-ს მიერ საკრედიტო საგადახდო დავალება №1 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (6000 ლარი) 4200 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეხელი

1. ცვლილება საწარმოს წესდებაში	
პარტნიორის ხმის უფლება	3
2. მოგების განაწილება	
დივიდენდის განაწილება	35; 47
3. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე	
უფლებამოსილ პირებთან	
ურთიერთობის რეგულირება	62; 77
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე	
უფლებამოსილი პირის	
უფლებამოსილების შეწყვეტა	127
4. პარტნიორთა საერთო კრება	
პარტნიორთა კრების	
გადაწყვეტილების კანონიერება	143
პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრება	155; 163
5. ხანდაზმულობა	
ხანდაზმულობის ვადის ათვლა	177

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 04 18
www.supremecourt.ge